საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№17 (488)
15 – 21 მაისი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## დედოფალი თამარი 11






## თურქეთი, რუსეთი და საქართველოს უთავმოყვარეო, უმაქნისი ხელისუფლება 2

## დიდ სამამულო ომში გამარჯვებულების ღირსეული მემკვიდრეები 10



## სამარცხვინო პრეზიდენტი



7

## ვაჟბატონებო, სად და რაში გადაყარეთ, რომელ მინდორში მოაბნიეთ ის ორი მილიარდი ლარი, რომელიც ჩვენი ჯიბიდან ამოიღეთ? 3



## ეროვნული ვალუტის მორიგი მარათონი 4





გია ხუხაშვილი:

## კაბინეტებში სხედან და თავიანთ ჭიას ახარებენ, მორჩა! სახელმწიფო და ხალხი წყალსაც წაუღია 5



6

ნიკოლოზ მჟავანაძე:

## «სურთ, მცირეწლოვან ბავშვებს აღმზრდე-ლებად დაუნიშნონ ლგბტ პირები»



ლევან ჩაჩუა:

## საზოგადოება უნდა გაემიჯნოს ხელისუფლების მატრაბაზობას, თუ ფარისევლები არ ვართ 8



## ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს 16

პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის წლებში სახელისუფლო პროპაგანდა წარმოაჩენდა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზას, როგორც „ფანჯარას ევროპაში“, სააკაშვილი ამ მატარებლით ლონდონში აპირებდა ჩასვლას და ა.შ. ბევრი ექსპერტი ხაზს უსვამდა იმას, რომ პროექტი რუსული გავლენისგან თავისუფალია. ახლა კი აღმოჩნდა, რომ თურქები მაგისტრალის სრულფასოვანი ამოქმედებისთვის სწორედ რუსებს უხმობენ, თანაც ამას საქართველოს ხელისუფლებისთვის შეურაცხმყოფელი ფორმით აკეთებენ.**

# თბილისი-ყარსი: თურქეთი, რუსეთი და საქართველოს უთავმოყვარეო, უმაქნისი ხელისუფლება

**გასულ კვირას საქართველოს ხელისუფლება ფრიად დამამცირებელ სიტუაციაში აღმოჩნდა. უჩვეულო და ახალი ამაში არაფერია, მაგრამ ამჯერად პრობლემა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზამ წარმოქმნა, რომელიც აქამდე მეზობელი ქვეყნების წარმატებული თანამშრომლობის სიმბოლოდ ითვლებოდა.**

სკანდალი თბილისში მას შემდეგ დაიწყო, რაც სახელმწიფო კომპანია „რუსეთის რკინიგზამ“ 6 მაისს შემდეგი შინაარსის პრესრელიზი გამოაქვეყნა: **„ორშაბათს ანკარაში რუსეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის სარკინიგზო კომპანიებმა ხელი მოაწერეს სამმხრივ მემორანდუმს სარკინიგზო გადაზიდვების განვითარების სფეროში თანამშრომლობის თაობაზე... მემორანდუმი ითვალისწინებს ერთობლივ საქმიანობას ბაქო-თბილისი-ყარსის მარშრუტით რეგულარული სარკინიგზო გადაზიდვების უზრუნველსაყოფად, მათ შორის ეკონომიკურად გამართლებული ტარიფების დადგენას და ახალი სატვირთო ბაზის მოზიდვას**. ამ მიზნისთვის მხარეები განიხილავენ თურქეთის ტერიტორიაზე მეორე, 1520 მმ სიგანის 75-კილომეტრიანი სარკინიგზო ხაზისა და ყარსში სატერმინალო-ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობის შესაძლებლობას“. ამავე რელიზში მოყვანილი იყო „რუსეთის რკინიგზის“ ხელმძღვანელ **ოლეგ ბელოზეროვის** განცხადება იმის თაობაზე, რომ ამ ხაზზე მოხვდება „ტვირთები ტრანსციმბირული მაგისტრალიდან, რომელიც სამხრეთ კორეიდან, ჩინეთიდან და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონიდან იგზავნება“.

თბილისში ამ ინფორმაციამ შოკი გამოიწვია და ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა: ჯერ ერთი, **საქართველო, ფორმალურად მაინც, პროექტის მონაწილე თანასწორუფლებიან მხარედ ითვლება და მისი წარმომადგენლის არმიწვევა სამიტზე, სადაც მის ტერიტორიაზე გამავალი სარკინიგზო მაგისტრალის მომავალი განიხილებოდა, ბევრმა ქართველმა შეურაცხყოფად აღიქვა.** ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ ყარსიდან საქართველოს საზღვრამდე 1520 მმ (ანუ საბჭოთა (რუსული) სტანდარტის) ხაზს გაიყვანენ, საჭირო გახდება მისი შეერთება 1520 მმ ხაზთან საქართველოს ტერიტორიაზე — მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაკვეთი მოკლე იქნება, მან ჩვენს ტერიტორიაზე უნდა გაიაროს. ყარსამდე 1520 მმ ხაზის მიყვანა აზრს უკარგავს იმ როლს, რომელიც პროექტის საწყის სტადიაზე ახალქალაქს მიენიჭა. სწორედ ახალქალაქში ხდება მატარებლების გადაყვანა საბჭოთა სტანდარტის ლიანდაგიდან ევროპულზე და რიგი სხვა ლოგისტიკური ხასიათის ოპერაციები. **ახალი პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში საკვანძო პუნქტი ყარსი გახდება, საქართველოს კი მოუწევს დაკმაყოფილება იმ მცირე შემოსავლით, რომელიც ტრანზიტიდან შემოვა, ხოლო ახალქალაქის სადგურის ფუნქცია დაიკარგება.**

ამ სარკინიგზო პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად საქართველომ აზერბაიჯანისგან 750 მილიონ დოლარზე მეტი ისესხა. ზოგიერთი კომენტატორი მიიჩნევს, რომ ხარჯები გაბერილი იყო, რომ პროექტის ბიუჯეტში კორუფციული შემადგენელი, ე.წ. ატკატები ჩაიდო, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარია სხვა რამ: საქართველოს ხელისუფლება ამ ფულს იმ შემოსავლის იმედით იღებდა, რომელსაც ახალქალაქის კვანძისგან მიიღებდა. ანკარაში დადებული შეთანხმება ამ თვალსაზრისით უმძიმეს პერსპექტივას გვიქადის.

პრობლემას კიდევ ერთი ასპექტი აქვს: **ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის წლებში სახელისუფლო პროპაგანდა წარმოაჩენდა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზას, როგორც „ფანჯარას ევროპაში“, სააკაშვილი ამ მატარებლით ლონდონში აპირებდა ჩასვლას და ა.შ. ბევრი ექსპერტი ხაზს უსვამდა იმას, რომ პროექტი რუსული გავლენისგან თავისუფალია. ახლა კი აღმოჩნდა, რომ თურქები მაგისტრალის სრულფასოვანი ამოქმედებისთვის სწორედ რუსებს უხმობენ, თანაც ამას საქართველოს ხელისუფლებისთვის შეურაცხმყოფელი ფორმით აკეთებენ.**

ამ სარკინიგზო ხაზით, მისი გახსნიდან დღემდე, 200 ათასი ტონა ტვირთიც კი არ გადაუტანიათ, მაშინ, როდესაც მას შეუძლია წელიწადში 6 მილიონ ტონაზე მეტი გაატაროს. თურქების სურვილი, ხაზი მაქსიმალურად დატვირთონ, გასაგებია, ისევე, როგორც მათი მოწადინება ლოჯისტიკური ცენტრი ყარსში გადაიტანონ, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც დაკვირვებას საჭიროებს. **თუ საქართველოს ხელისუფლება გაჯიუტდება და არ მისცემს თურქეთს შესაძლებლობას ჰიპოთეზური 1520 მმ ხაზი თავის ტერიტორიაზე გამავალ მაგისტრალს შეუერთოს, პროექტი არ განხორციელდება. შესაბამისად, გამოდის, რომ თურქული მხარე და ანკარაში გაფორმებული შეთანხმების სხვა მონაწილეები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ მხრივ პრობლემა არ შეექმნებათ.**

საქართველოს პრემიერმინისტრმა „რუსთავი 2“-ის კითხვას ამ თემაზე ასე უპასუხა: „საქართველოს გარეშე ამ პროექტის შემოერთება გამორიცხულია. თქვენ ეს ფიზიკურად როგორ წარმოგიდგენიათ? გარდა იმისა, რომ არსებობს სამმხრივი ხელშეკრულება აზერბაიჯანს, თურქეთსა და საქართველოს შორის, რომელიც განსაზღვრავს, რომ სამივე ქვეყნის თანხმობით შეიძლება მსგავსი რამ მოხდეს, ფიზიკურად როგორ წარმოგიდგენიათ, რომ საქართველოს გარეშე მოხდეს ამ პროექტის ან ცვლილება, ან იმგვარი განვითარება, რომელიც შეიძლება არ შეესაბამებოდეს ჩვენს ინტერესებს? ეს არის გამორიცხული პოლიტიკურადაც, საერთაშორისო სამართლის მიხედვითაც და ფიზიკურადაც... ამ პროექტში რაც არის მნიშვნელოვანი, და, ბუნებრივია, ამას ყოველთვის მხარს დავუჭერთ, არის ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოხდეს ორი სტანდარტის რკინიგზის შეერთება ახალქალაქში. სწორედ ახალქალაქში იყოს გადატვირთვის პუნქტი“.




**საქართველო, ფორმალურად მაინც, პროექტის მონაწილე თანასწორუფლებიან მხარედ ითვლება და მისი წარმომადგენლის არმიწვევა სამიტზე, სადაც მის ტერიტორიაზე გამავალი სარკინიგზო მაგისტრალის მომავალი განიხილებოდა, ბევრმა ქართველმა შეურაცხყოფად აღიქვა**

ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ კი თქვა: „არც ერთ ცალკეულ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს რამე ამ პროექტში, ამ პროექტს იმ ფორმით ვახორციელებთ, როგორითაც არის დამტკიცებული და შეთანხმებული და შეესაბამება ჩვენს სუვერენულ ინტერესებს“.

ყოველივე ეს, ერთი შეხედვით, დამაიმედებლად ისმის, თუმცა **ნაკლებად სავარაუდოა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ პროექტში არსებითი ცვლილებების შეტანა ისე განიზრახა, რომ „ქართული ფაქტორი“ არ გაითვალისწინა. შესაძლოა, ანკარაში ფიქრობენ, რომ პრობლემას იოლად, მინიმალური დანახარჯებით მოაგვარებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ დემონსტრაციული იგნორირება, ალბათ, არ მოხდებოდა.**

ვითარებას კიდევ ორი ფაქტორი ამძიმებს. ბოლო პერიოდში გართულდა საქართველოს ურთიერთობა აზერბაიჯანთან, ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, ის თურქეთთან და რუსეთთან ურთიერთობაში საქართველოს ინტერესების დამცველად მოგვევლინოს. ამასთანავე, თურქეთის ურთიერთობა აშშ-სა და ევროკავშირთან სულ უფრო იძაბება, ხოლო თანამშრომლობა რუსეთთან, პირიქით — ფართოვდება. საერთოდ, **ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ რუსეთისა და თურქეთის დაახლოება არც ისე ხშირია, თუმცა ქართველებს ახსოვთ, რა მოხდა 1921-ში, როდესაც მათი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. თუ ორივე მხარე ჩათვლის, რომ საქართველო მათ მიმართ მტრულად განწყობილი ძალების პლაცდარმად იქცა, საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდებათ. ეს გარემოება ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი დილემის წინაშე აყენებს — შეეცადოს, დარჩეს გარე ძალების რეგიონულ დასაყრდენად თურქეთ-რუსეთის მორიგი დაახლოების პირობებში თუ შეეცადოს მეზობელი ქვეყნებისთვის დამაკავშირებელი ხიდი გახდეს.** ამან კი, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ასპექტში, შეიძლება დღის წესრიგში აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის გახსნის საკითხიც დააყენოს.

სიტუაცია ძალიან მძიმე ჩანს, როგორც ქვეყნის პრესტიჟის, ისე ფინანსების თვალსაზრისით. ახალქალაქის ლოჯისტიკური პოტენციალი ეჭვქვეშ დადგა, ამასთაბავე, ჰაერში გამოეკიდა ანაკლიის პროექტიც — მთავრობისა და ინვესტორების მოლაპარაკებებში პროგრესი ჯერჯერობით არ შეინიშნება. პარალელურად მიდის საუბარი იმაზე, რომ საქართველოს რკინიგზას მიზანმიმართულად აკოტრებენ. მოკლედ, სატრანზიტო პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით, ქვეყანა, სულ ცოტა, „ბუქსაობს“, რეალურად კი უკან მიდის.

ეკონომიკური განზომილების გარდა, პრობლემას დიპლომატიური და ფსიქოლოგიური განზომილებაც აქვს. როდესაც არსებობს თუნდაც მინიმალური შანსი იმისა, რომ პატარა ქვეყანა წინააღმდეგობას გაწევს და დიდი პროექტის დაბლოკვაზე ლაპარაკს გაბედავს (განხილულ შემთხვევაში ამის შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს), მის პოზიციის სრულ იგნორირებას ზესახელმწიფოებიც კი არ მოახდენენ. მაგრამ, თუ დაინახავენ, რომ ასეთ ქვეყანას უთავმოყვარეო და მშიშარა ხელისუფლება ჰყავს, შესაბამისად მოეპყრობიან.

კიდევ ერთი და, შესაძლოა, მთავარი პრობლემა მითებში ცხოვრებაა. როდესაც ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები ბაქო-თბილისი-ყარსის ხაზის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასა და მის პროდასავლურ არსზე საუბრობდნენ, მათ არ უფიქრიათ იმაზე, როგორ უყურებენ ამ ხაზს თურქები, რომლებიც, შესაძლოა, ხედავდნენ უბრალოდ რკინიგზას, რომელიც გადაზიდავს თურქულ პომიდორს (თუ რაც იქნება) რუსეთში და რუსულ ხორბალს — თურქეთში, ამასთანავე, სხვა საქონელს, რომელიც თურქეთში გადანაწილდება და სხვადასხვა მიმართულებით წავა. თურქებს, დიდი ალბათობით, საერთოდ არ აინტერესებთ ის გეოსტრატეგიული მითები, რომლებსაც ამ რკინიგზას ქართველები მიაწერდნენ. სხვათა შორის, ამერიკელი კომენტატორების ნაწილი ამ პროექტს თავიდანვე თავშეკავებული სკეპტიციზმით უყურებდა, შესაძლოა, იმიტომ, რომ მასში რუსეთისა და თურქეთის დამაკავშირებელი რგოლის პოტენციალს ხედავდა.

მიუხედავად იმისა, აშენდება თუ არა ახალი ხაზი და წაართმევს თუ არა ყარსი ახალქალაქს მთავარი კვანძის ფუნქციას — ის, რაც ანკარაში მოხდა, უპირველეს ყოვლისა, გაკვეთილია. ის შესაძლებლობას გვაძლევს, დაშვებული შეცდომები გავაანალიზოთ და გავთავისუფლდეთ პროპაგანდისტული მითოლოგიისგან, რომელიც ხელს გვიშლის, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებს ცივი გონებით რომ მივუდგეთ.

**თუ საქართველოს ხელისუფლება გაჯიუტდება და არ მისცემს თურქეთს შესაძლებლობას, ჰიპოთეზური 1520 მმ ხაზი თავის ტერიტორიაზე გამავალ მაგისტრალს შეუერთოს, პროექტი არ განხორციელდება. შესაბამისად, გამოდის, რომ თურქული მხარე და ანკარაში გაფორმებული შეთანხმების სხვა მონაწილეები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ მხრივ პრობლემა არ შეექმნებათ**

**ლუკა ნემსაძე**

სასაცილოა, როცა ხელისუფლება ამაყად ამბობს, რომ სოფლის მეურნეობაში ორმილიარდიანი ინვესტიცია ჩადო. როცა ამ ოდენობის თანხას ხარჯავ, ვალდებული ხარ, გამოხვიდე და ახსნა, რაში დაიხარჯა ეს თანხა და რა შედეგი მივიღეთ. ჩვენ ვამბობთ, რომ შედეგი არ არის და, თუ სხვაგვარადაა, ახსენით, ბატონებო! მაგრამ ციფრები, რომლებიც დავწერეთ, თქვენივე სამსახურების მიერ არის გავრცელებული, ანუ ოფიციალურია და, თუ ორი მილიარდი იმისთვის დააბანდეთ, რომ უკუსვლა გვქონოდა, გვერწმუნეთ, ეს ისედაც მოხდებოდა, ორი მილიარდის გაფლანგვის გარეშეც.

რაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვაჟბატონებო, სად და რაში გადაყარეთ, რომელ მინდორში მოაბნიეთ ის ორი მილიარდი ლარი, რომელიც ჩვენი ჯიბიდან ამოიღეთ?

**2012 წელს ამჟამინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი დაპირება სოფლის მეურნეობის აღორძინება იყო. მაშინ, სოფელ-სოფელ მოარული „ქართული ოცნების“ ლიდერები ამბობდნენ, რომ თითოეული სოფელი ყოველწლიურად ხუთ მილიონ ლარს მიიღებდა და განვითარდებოდა. მართალია, ხუთი მილიონი ლარის დაპირებამ ჩაილურის წყალი დალია, მაგრამ სოფლის მეურნეობაში დახარჯულ ფულს რაც შეეხება...**



**უკრაინიდან 7 თეთრად ჩამოტანილ კვერცხს ქართულ ფერმებში გამოშვების თარიღს აწერენ, ქართულად ფუთავენ და სუპერმარკეტების დახლებზე ის ამის შემდეგ ხვდება. ყიდულობთ კვერცხს ქართული წარწერითა და შეფუთვით, სინამდვილეში კი უკრაინულია. ისიც ვიცით, რომ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კონკრეტულ ფერმას კვერცხმდებელი 4 ათასი ქათამი ჰყავდა, დღეში კი 12 ათას კვერცხს უშვებდა. ამ ლოგიკით, ერთ ქათამს დღეში სამი კვერცხი უნდა დაედო. შემოწმების შედეგები არ გახმაურებულა, რადგან იმპორტიორებს არ აძლევდათ ხელს**

ოფიციალური ცნობით, „ქართულმა ოცნებამ“ სოფლის მეურნეობაში, საერთო ჯამში, ორ მილიარდ ლარზე მეტი ჩადო. რიცხვი აშკარად შთამბეჭდავია და შთამბეჭდავ განცხადებასაც გავაკეთებთ — ის ადამიანები, რომლებსაც ამ ორი მილიარდის განკარგვა ჰქონდათ დავალებული, დასაჭერი არიან და ციხეში ხანგრძლივად გამოსამწყვდევი. ისე არ გაიგოთ, თითქოს ვინმეს დაჭერა გვიხაროდეს, მაგრამ...

საქართველოს მოსახლეობა წლიურად მოიხმარს დაახლოებით 36 ათას ტონა ხახვს. 2017 წელს, ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მოიყვანეს დაახლოებით 18 ათასი ტონა **ხახვი.** შესაბამისად, შემოტანილი ხახვის ხვედრითი წილი ბაზარზე 18 ათასი ტონა იყო. 2018 წელს საქართველოში წარმოებული ხახვის რაოდენობამ (ესეც ოფიციალური მონაცემით) შეადგინა 9 ათასი ტონა, ანუ ზუსტად ნახევარი იმისა, რაც 2017-ში იყო. სამაგიეროდ, შემოტანილი ხახვის ოდენობამ 27 ათას ტონამდე მოიმატა, მოსახლეობის მოთხოვნა ისევ 36 ათასი ტონა იყო, ოღონდ ახლა უკვე შემოტანილი ხახვის ხვედრითი წილი გაიზარდა. ანალოგიური სურათია სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებზე — ბოსტნეულზე, ბაღჩეულზე, ე.ი. საქართველოში მათი წარმოება ორ წელიწადში ორჯერ შემცირდა. ჰოდა, **ვაჟბატონებო, სად გადაყარეთ, რაში გადაყარეთ, რომელ მინდორში მოაბნიეთ ის ორი მილიარდი ლარი, რომელიც ჩვენი, რიგითი მოქალაქეების, ჯიბიდან ამოიღეთ? რაც მთავარია, ბოლო ორი წელია, სახელმწიფომ გლეხებისგან პროდუქტების (ყურძნის, ციტრუსის, ატმის) შესყიდვისას ყველანაირი სუბსიდია მოხსნა, და ვერავინ იტყვის, — ამ ფულის ნაწილი სუბსიდიაში წავიდაო.**

**რა ხდება რეალურად და რატომ გაურბის ქართველი გლეხი მიწაზე მუშაობას?** პირველ რიგში ის, რომ ქართულ ხარისხიან პროდუქტს ფასი ადევს, შემოტანილი, გენმოდიფიცირებული პროდუქტი კი იაფია და, ჩვენი სიდუხჭირიდან გამომდინარე, ის უკეთესად იყიდება. შესადარებლად გეტყვით, რომ რძის პროდუქტების მწარმოებლები ამბობენ, რომ ნატურალური და გაკეთებული რძის ფასში სხვაობა მხოლოდ 50 თეთრია, მაგრამ მოსახლეობა ამ 50 თეთრს უფრთხილდება და, ნატურალურის ნაცვლად, ფხვნილზე დაყენებულ რძეს ყიდულობს.

მხოლოდ ეს უბედურება არ გვჭირს. სოფლის მეურნეობის მიწების 70%-ზე მეტი სახელმწიფოს მფლობელობაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ მიწის დამუშავების შემთხვევაში სახელმწიფოს გადასახადი უნდა უხადო. როგორ გგონიათ, რამდენია გადასახდელი თანხა? ფასი ჰექტარზე ათას ლარს სცდება, ე.ი. თუ გლეხს ორი ჰექტარი აქვს, ორი ათასს სახელმწიფოს აძლევს, ერთი ამდენი მიწის დამუშავება-დათესვას სჭირდება, კიდევ ერთი ამდენი — შხამ-ქიმიკატებს, რათა მოსავალი მოვიდეს. გამოდის, რომ **ორი ჰექტარი მიწის დამუშავება გლეხს ექვსი ათასი უჯდება.** ამ ორ ჰექტარზე მოსავალმა თავი რომ გაიგიჟოს და, მაგალითად, 20 ტონა სიმინდი მოვიდეს, კილოგრამის თვითღირებულება 30 თეთრი იქნება და ამ თანხის ზემოთ რასაც დაადებს, ის იქნება გლეხის მოგება. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში არ იგულისხმება გლეხის შრომა, ანუ ადამიანური რესურსი, რომელიც საქართველოში სათვალავში არც არასდროს ჩაუგდიათ.

თუ გავიხსენებთ კომუნისტების პერიოდს, როცა 15 რესპუბლიკა ხუთწლედებსა და საერთო დოვლათის შექმნაზე იყო აწყობილი, ვნახავთ, რომ საქართველო საბჭოთა კავშირში ლიდერი იყო ჩაის, ყურძნისა და ციტრუსის წარმოებით. იმავეს გაკეთება შეიძლება ახლაც, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ არ გვაქვს ბევრი მიწა, არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ, მაგალითად, როგორც საფრანგეთში, ღვინის უმაღლესი ხარისხის მისაღებად, ერთ ძირ ვაზს ერთი მტევანი შევატოვოთ (საფრანგეთში ძირითადად ასე აკეთებენ, რათა იმ ერთმა ძირმა ვაზმა ერთ მტევანს მაქსიმუმი მისცეს და ასე მიღებული ყურძნისგან დამზადებული ღვინის ფასი 1700 ევროდან იწყება), არც იმის ფუფუნება გვაქვს, ჩინეთის მაღალმთიანი რეგიონივით რამდენიმე ათეული ძირი ჩაი გავახაროთ და მერე ერთი კილოგრამი ჩაი რამდენიმე ათას დოლარად გავყიდოთ. ბაზარში ეს სეგმენტი დაკავებულია (ამ სეგმენტში რომ შეხვიდე, შეიძლება, მაგრამ პოლიტიკური გავლენა-მხარდაჭერაა საჭირო. სად არიან ამ დროს ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირეები“? რატომ ამ რეალურ და ჩვენთვის მართლა საჭირო საკითხში არ გვიჭერენ მხარს? „შეშფოთებულები“ არიან, მეტი რა ქნან? — რედ.). **ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ბევრი კარგი ხარისხის ღვინო; უნდა ვაწარმოოთ ბევრი ჩაი, რომელიც იქნება ასევე კარგი ხარისხის, ციტრუსი და... გავიტანოთ იმ ბაზარზე, რომელზეც ქართული პროდუქციის მოთხოვნა არის, იყო და იქნება. რა თქმა უნდა, რუსეთის ბაზარს ვგულისხმობთ, იმ ბაზარს, რომელიც თავის დროზე ირაკლი ოქრუაშვილმა თავხედურად და მიუტევებლად შეურაცხყო, მაგრამ...**

მაგრამ, რუსეთი ხომ მტრად გვყავს გამოცხადებული. მტრად გვყავს შერაცხილი ქვეყანა, რომლის ბაზარშიც ქართული ეკონომიკის გასაღები დევს. ნაცვლად იმისა, რომ ეს ურთიერთობა როგორმე მოვაგვაროთ, პირიქით — ვაღიზიანებთ. ევროპელები კი დაცინვით გვეუბნებიან, რომ ქართული არაფერი არ სჭირდებათ, რომ „ევროპულ სტანდარტებამდე ჯერ ვერ მივედით“. **საბოლოო ჯამში, ვიღებთ წყალში გადაყრილ დამპალ ციტრუსს, ატამს, გაუსაღებელ ან თეთრებში გასაღებულ ყურძენს და უკმაყოფილო გლეხს. რაც მთავარია, წინ ვერ მიდის ეკონომიკა და ბიუჯეტის შევსებას მხოლოდ გადასახადებით ვცდილობთ.** სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის მიმართ არასწორი პოლიტიკა რომ აქვს არჩეული, იქიდანაც ჩანს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების 70%-ზე მეტი მის საკუთრებაშია. ხელისუფლება თავს იწონებს იმით, რომ ხალხის მოთხოვნის შემდეგ უცხოელებისთვის მიწის მიყიდვა აკრძალა, მაგრამ, პარალელურად, მიწას არც ადგილობრივებს აძლევს, რადგან იჯარით გაცემა მისთვის უფრო სარფიანია და არ ფიქრობს, რა არის სარფიანი გლეხისთვის (დაამუშაოს თვითონ, ბოლოს და ბოლოს, რისთვის გვაქვს ამხელა სოფლის მეურნეობის სამინისტრო?) წლების წინათ ვინ იფიქრებდა, რომ საქართველო თუნდაც ხახვის წარმოებით, ირანს, თურქეთსა და ინდოეთს ჩამოეკიდებოდა და იქიდან შემოტანილ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს შეიძენდა. **მხოლოდ ქვემო და შიდა ქართლის მოსახლეობას, შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში, შეუძლია იმდენი ხახვი მოიყვანოს, რომ საქართველოს წლის განმავლობაში ეყოფა. მაგრამ იმ იმპორტიორებს ხომ არ აზარალებენ (ნეტავ, რა ინტერესი აქვთ?), რომლებიც აღნიშნული ბიზნესით მილიონებს შოულობენ, ჩვენი და ჩვენი შვილების ჯანმრთელობის ხარჯზე მდიდრდებიან?!**

მარტივ მაგალითს გეტყვით: 3-4 წლის წინათ ბაზარში ქართული **ნიორი** 8-10 ლარი ღირდა. მისი ხარისხი ისე მაღალი იყო, რომ მასზე მოთხოვნა მეზობელ სახელმწიფოებსაც ჰქონდათ. ამის გამო გლეხებმა ნივრის მოყვანა დაიწყეს და დღეს ბაზარზე ქართული ნივრის ფასი დაეცა. სამაგიეროდ, რიგითი ადამიანები უკვე არა თურქულ, არამედ ქართულ ნიორს ყიდულობენ, ნამდვილს, გენმოდიფიცირების გარეშე და რა შედეგი მივიღეთ? მივიღეთ ის, რომ გაიაფებული პროდუქტი პრაქტიკულად სრულად შეისყიდეს თურქმა და ირანელმა ბიზნესმენებმა, გაიტანეს ქვეყნიდან და ახლა ისევ თავის გენმოდიფიცირებულ პროდუქციას გვტენიან, თანაც იმაზე ძვირად, ვიდრე ქართულია. ესეც უკონტროლო სიტუაციის ბრალია, იმის, რომ სახელმწიფო ამ ყველაფერზე არ ზრუნავს და არ ზრუნავს ერთადერთი მიზეზის გამო — რამდენიმე კაცს, რომლებიც ამ საქმით მილიონებს შოულობენ, ხელი არ შეეშალოს (ისევ რიტორიკული კითხვა: ნეტავ, რა ინტერესი აქვთ?).

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ ქართველ ფერმერებს **კვერცხის წარმოება** აკრძალული აქვთ. ჰო, აკრძალული და ამის ბრალია ის, რომ ბაზარზე ქართული კვერცხი მხოლოდ 12%-ით არის წარმოდგენილი, დანარჩენი კი შემოტანილია. ფერმერებს პირდაპირ ეუბნებიან, რომ მათ გარკვეული ოდენობის კვერცხის წარმოების უფლება აქვთ, დანარჩენი კი იმპორტიორებისგან უნდა შეისყიდონ. შედეგად, **უკრაინიდან 7 თეთრად ჩამოტანილ კვერცხს ქართულ წარწერებს უკეთებენ, ქართულად ფუთავენ და სუპერმარკეტების დახლებზე ამის შემდეგ ხვდება. ყიდულობთ კვერცხს ქართული წარწერითა და შეფუთვით, სინამდვილეში კი ის უკრაინულია. ისიც ვიცით, რომ შემოწმების შედეგად დადგინდა, კონკრეტულ ფერმას კვერცხმდებელი 4 ათასი ქათამი ჰყავდა, დღეში კი 12 ათას კვერცხს უშვებდა. ამ ლოგიკით, ერთ ქათამს დღეში სამი კვერცხი უნდა დაედო. შემოწმების შედეგები არ გახმაურებულა, რადგან იმპორტიორებს არ აძლევდათ ხელს.**

ჰოდა, ამ ყველაფრის ფონზე, სასაცილოა, როცა ხელისუფლება ამაყად ამბობს, რომ სოფლის მეურნეობაში ორმილიარდიანი ინვესტიცია ჩადო. როცა ამ ოდენობის თანხას ხარჯავ, ვალდებული ხარ, ახსნა, რაში დაიხარჯა ეს თანხა და რა შედეგი მივიღეთ. ჩვენ ვამბობთ, რომ შედეგი არ არის და, თუ სხვაგვარადაა, ახსენით, ბატონებო! მაგრამ ციფრები, რომლებიც დავწერეთ, თქვენივე სამსახურების მიერ არის გავრცელებული, ოფიციალურია და, თუ ორი მილიარდი იმისთვის დააბანდეთ, რომ უკუსვლა გვქონოდა, გვერწმუნეთ, ეს ისედაც მოხდებოდა, ორი მილიარდის გაფლანგვის გარეშეც.

**ბესო ბარბაქაძე**

ლარი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაზუსტებული ინფორმაციით, ხელისუფლება კვლავ ფიქრობს გადასახადების მომატებაზე, თუმცა გვარწმუნებენ, რომ ეს გადასახადების მატება მოსახლეობას არ შეეხება. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს მორიგი თვალში ნაცრის შეყრა იქნება, რადგან, მაგალითად, თუ პურის ქარხანას გაუძვირდება ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და საბიუჯეტო გადასახადები, როგორ გგონიათ, ბატონებო, პურის ფასი არ მოიმატებს? და ვინ გადაიხდის ნამატს? სწორია — მოსახლეობა. ხელისუფლება არაპირდაპირ, მაგრამ წიხლს მაინც მოსახლეობას აჭერს.**

# ეროვნული ვალუტის მორიგი მარათონი

**გასულ კვირაში ეროვნულმა ვალუტამ მორიგი მარათონი მოაწყო და გაიქცა. ხელისუფლება საკუთარ თავს არ აბრალებს ლარის კურსის დაცემას და ყველაფერს გარე ფაქტორებით ხსნის. ექსპერტები კი ამბობენ, რომ გარე ფაქტორებს ყველაზე ნაკლები გავლენა აქვს ამ ყველაფერზე და მთავარი ის არის, რომ ქვეყანაში ინვესტიციების სერიოზული ნაკლებობაა.**



**ხშირად გვეუბნებიან, მხოლოდ კრიტიკას ჯობია, გამოსავალი მოძებნეთ, თუ მაგრები ხართო, და აკი მოვძებნეთ კიდეც: პირველ რიგში, ერი და ქვეყანა უნდა გიყვარდეთ და, თუ ამბობთ, რომ პენსიონერებს 200 ლარი ჰყოფნით და 5-სულიან ოჯახს — 361 ლარი, ანალოგიურ რელსებზე გადადით თქვენც, ხელფასიდან მორჩენილი ათეულ მილიონობით ლარი კი სამუშაო ადგილების შექმნას მოახმარეთ და გვეშველება**

თუ 2017 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით საქართველოში 1.8 მლრდ დოლარი შემოვიდა, გასულ წელს ეს რიცხვი 600 მილიონით შემცირდა. ლარის სტაბილურობისთვის კი თურმე ყოველწლიურად, სულ ცოტა, 4-მილიარდიანი ინვესტიციაა საჭირო, რათა უცხოური ვალუტის დეფიციტი არ შეიქმნას. **ინვესტიციები არ ჩანს, ლარი გარბის და ამ ყველაფერს ხელისუფლება მშვიდად უყურებს. მიზეზი მარტივია: როცა დაბალი ხელფასი გაქვს, პროდუქტის რამდენიმე თეთრით გაძვირებაც კი პრობლემაა, მაგრამ, როცა რამდენიმე ათასი გერიცხება ყოველი თვის ბოლოს, მნიშვნელობა აღარ აქვს, რა მოუვა ვალუტას.**

ყველაზე საინტერესო არის ის, რომ 2012 წლის არჩევნების წინ „ქართული ოცნება“ გვარწმუნებდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ფასებს შეგნებულად ბერავდა, რომ გადასახადების შემცირება შეიძლებოდა, რომ ბენზინის თითოეული ლიტრიდან ერთი ლარი სააკაშვილის ჯიბეში მიდიოდა. ამის მიუხედავად, ამომრჩევლის მთავარი დაკვეთა მაინც სამართლიანობის აღდგენა იყო, ანუ იმ ადამიანების დასჯა, რომლებმაც თავის ერზე იძალადეს, რომლებმაც მოსახლეობა კრიმინალად გამოაცხადეს, რომლებსაც სურდათ, მოსახლეობის ნახევარი მონად ჰყოლოდათ, მეორე ნახევარი — ციხეში. ეს არ მოხდა, არ მოხდა გადასახადების შემცირებაც. მეტიც, ხელისუფლებამ უმარტივესად იმართლა თავი: რაღაც ვერ გავთვალეთ და დავთვალეთო და... გადასახადები გაზარდა.

სხვათა შორის, დიმიტრი ქუმსიშვილის ფინანსთა მინისტრობისას ნავთობპროდუქტებზე აქციზის ფასმა მოიმატა და მაშინ ქუმსიშვილმა ხმამაღლა და ამაყად თქვა: მომატებული აქციზი იმას ნიშნავს, რომ ნავთობკომპანიები ბიუჯეტში დამატებით 600 მილიონს შეიტანენო. მაშინ ვკითხე ქუმსიშვილს: ბიუჯეტში დამატებით თანხას ვინ შეიტანს — ნავთობკომპანიები თუ მოსახლეობა, რადგან საეჭვოა, ნავთობკომპანიებმა მოგების მარჟას დააკლონ-მეთქი და ასე ნუ უყურებთ პროცესებს, ისინი ვერ გაბედავენ ფასის მომატებასო! გაბედეს კი არა, იმაზე მეტად გააძვირეს, ვიდრე აქციზმა მოიმატა. კომპანიებმა მარტივი ლოგიკით იმსჯელეს — ხელისუფლება არ ინდობს ხალხს, ჩვენ რატომ დავინდოთო?! და 50 თეთრით გაძვირებულ აქციზს, ზედ თავიანთი 20 თეთრიც დაამატეს და ბენზინი ერთბაშად 70 თეთრით გააძვირეს. ანალოგიური რამ მოხდა თამბაქოზე, საკვებ პროდუქტებზე.

ისიც გავიხსენოთ, **გასული წლის შემოდგომაზე „მოულოდნელად“ გაძვირებულ პურზე პრემიერმა მამუკა ბახტაძემ საგანგებო ბრიფინგი რომ ჩაატარა და კონკურენციის სააგენტოს შეფს, ნოდარ ხადურს პირადად დაავალა „ხელოვნურად“ მომატებული ფასის კვლევა და დამნაშავეების გამოვლენა. ნახევარ წელზე მეტი გავიდა, ხადურის უწყებას დასკვნა არ გამოუქვეყნებია, არც ბახტაძეს გახსენებია, რა დაავალა ხადურს** და მთავარ საკვებზე მომატებული ფასიც შეგვრჩა. რეალობა კი ის არის, რომ ხადურმა, ბახტაძემაც და, საერთოდ, ყველამ ყველაფერი კარგად იციან: ისიც, რაც ხდება და ისიც, ვინ არის დამნაშავე, მაგრამ ხმამაღლა ვერ ამბობენ. ხელისუფლების წარმომადგენლები იმის იმედად არიან, რომ მოსახლეობას ნახევარი წლის წინათ გაცემული დაპირება არ ემახსოვრება და აკი არც ახსოვს კიდეც. ქართველებს ხომ ერთი უცნაურობა გვჭირს: არასოდეს არ ვაღიარებთ, რომ ეკონომიურად გვიჭირს. ქართველი თუ გამოვა საპროტესტო აქციაზე, ხელს გვერდით მდგომისკენ გაიშვერს: იმას რომ შია, იმიტომ ვარ აქ, თორემ მე მაძღარი ვარო. ეს იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო მასშტაბით არაერთხელ გამართულა საპროტესტო აქციები სწორედ სიდუხჭირის გამო და ამაში გასაკვირი ან დასაძრახი არაფერია, მაგრამ ჩვენ მეტისმეტად ამაყები ვართ.

იცით, რა მაინტერესებს? ის ადამიანები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას, რომლებიც 7 წლის წინათ გვიმტკიცებდნენ: გატყუებენ, ჩვენ კი არ მოგატყუებთ და ფასებს ისე დავარეგულირებთ, თვითონაც მიხვდებით, რა ოდენობის ფულს გილებდნენ ჯიბიდან ყოველთვიურადო? მიხვდით, როგორ არ მიხვდით — იმაზე მეტს ვიხდით ყველაფერში, ვიმეორებ — ყვე-ლა-ფერ-ში, ვიდრე მანამდე ვიხდიდით, შემოსავალი კი არ გაზრდილა. ახლა, თუ პენსიის მომატებას წამოგვაძახებთ (არაერთხელ წამოგიძახებიათ), დაგიანგარიშებთ დოლარის მიმართ რამდენი იყო ლარი 2012-ში და რამდენია ახლა. მსყიდველუნარიანობა დაკარგა ლარმა, იმ ლარმა, რომელმაც გასულ კვირას მორიგი მარათონი მოაწყო.

რაც შეეხება მათ, ვისაც, წესითა და რიგით, პასუხისმგებლობის განცდა უნდა ჰქონდეს, სოლიდური სამსახური მიიღეს და ახლა იქიდან გვმოძღვრავენ და მთავარი, რასაც გვეუბნებიან, ის არის, რომ თურმე 9-წლიანი უღელი მოგვხსნეს. არავინ დავობს, რომ წინა ხელისუფლება ცუდი იყო, რომ იყო ერზე ძალადობა, მაგრამ, აბა, **ხალხს ჰკითხეთ: აქვს თუ არა მათთვის მნიშვნელობა, კისერზე დადგმული უღელი წითელი იქნება თუ ლურჯი?** ჩანს, სწორედ ფერებშია სხვაობა, თორემ დანარჩენში — არაფერში. უმრავლესობა ვერ ხედავს სხვაობას და ეს არის ის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და ვეჭვობთ, იმ 9 წელს მოსახლეობა იმ წლებსაც დაამატებს, „ოცნების“ პირობებში რომ მოუწია არსებობა; სწორედაც რომ არსებობა, რადგან ამას ცხოვრება არ ჰქვია.

დაზუსტებული ინფორმაციით, ხელისუფლება კვლავ ფიქრობს გადასახადების მომატებაზე, თუმცა გვარწმუნებენ, რომ ეს გადასახადების მატება მოსახლეობას არ შეეხება და მხოლოდ კომპანიებს გაუძვირდებათ როგორც ენერგომატარებლები, ისე აქციზისა თუ სხვა გადასახადები. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს მორიგი თვალში ნაცრის შეყრა იქნება, რადგან, მაგალითად, თუ პურის ქარხანას გაუძვირდება ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და საბიუჯეტო გადასახადები, როგორ გგონიათ, ბატონებო, პურის ფასი არ მოიმატებს? და ვინ გადაიხდის ნამატს? სწორია — მოსახლეობა. ხელისუფლება არაპირდაპირ, მაგრამ წიხლს მაინც მოსახლეობას აჭერს და ბოლომდე ცდილობს, გამოწუროს.

ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მთავრობა შეგნებულად აკეთებს ამ ყველაფერს და აინტერესებს, სად გადის მოთმინების ზღვარი; ბოლომე უჭერს ქამარს და ამ მხრივ ზუსტად ისე იქცევა, როგორც მისი წინამორბედი. ნაციონალების მიერ შემოჭერილ-გადაჭერილი ქამარი ერმა ცხრა წლის შემდეგ გაწყვიტა და მისი შემოჭერა ამ პირობებშიც აღარ სურს. ქამარი ახლაც გაწყვეტაზეა შემოჭერილი და ეჭვი გვაქვს, ისიც თუ გაწყდა, მოქმედ გუნდს გაუჭირდება ხელისუფლების შენარჩუნება.

ერთ წელზე მეტი დარჩა არჩევნებამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ რაღაც უნდა მოიფიქროს ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ეს რაღაც კი ისეთი უნდა იყოს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას მოეწონოს. როგორც გვეუბნებიან, გადასახადების შემცირება გამორიცხულია, რადგან ასეთ შემთხვევაში ბიუჯეტი არ შეივსება და ლარის კურსს ვინ ჩივის, ხელფასებსა და პენსიებს ვერ დაარიგებენ. გამორიცხულია სამუშაო ადგილების იმ რაოდენობით შექმნა, რამდენიც საზოგადოების უდიდეს ნაწილს დააკმაყოფილებს. ასევე გამორიცხულია მორიგი ტყუილის მოგონება, რადგან ხელისუფლებაში ორი ვადით ყოფნის შემდეგ **ძნელი იქნება იმის ახსნა, რატომ არ შეცვალეს არაფერი, რატომ არ შეამცირეს სიღარიბე და რატომ გაუარესდა ცხოვრება. რჩება ერთადერთი გზა — ამომრჩეველს ერთჯერადად დაურიგებენ 50 ან 100 ლარს და ხმებს იყიდიან. ახლა საქმე ის არის, დათანხმდება თუ არა ამ ყველაფერს საქართველოს მოსახლეობა. ხმების გაყიდვის შანსი ძალიან დიდია, რადგან ადამიანებს არსებობის პრობლემა უდგათ და, თუ ზაქარია ქუცნაშვილს დავუჯერებთ, 100 ლარი კაცს 25 დღეს უნდა ეყოს კვებისთვის. თუ არ დავუჯერებთ და ჯიუტად დავდგებით იმაზე, რომ ეს ხელისუფლება აღარ გვინდა, მაშინ უნდა ავირჩიოთ სხვა და უბედურებაც ისაა, რომ ის სხვა არ ჩანს. არ ჩანს ძალა, რომელსაც ხალხი ენდობა, რომელსაც დაუჯერებს, რომლის იმედიც ექნება. 21-ე საუკუნის არქიფოებმა იმედი მოკლეს და ახლა ერს სრული უიმედობა სჭირს.**

ხშირად გვეუბნებიან, მხოლოდ კრიტიკას ჯობია, გამოსავალი მოძებნეთ, თუ მაგრები ხართო, და აკი მოვძებნეთ კიდეც: პირველ რიგში, ერი და ქვეყანა უნდა გიყვარდეთ და, თუ ამბობთ, რომ პენსიონერებს 200 ლარი ჰყოფნით და 5-სულიან ოჯახს — 361 ლარი, ანალოგიურ რელსებზე გადადით თქვენც, ხელფასიდან მორჩენილი ათეულ მილიონობით ლარი კი სამუშაო ადგილების შექმნას მოახმარეთ და გვეშველება.

ლიმონა დევდარიანის არ იყოს, რად გინდათ ამდენი ფული, შპალერად ხომ არ ხმარობთ მართლა და მართლა?!

**გასულ კვირას ეროვნულმა ვალუტამ მორიგი მარათონი მოაწყო...**

**ბესო ბარბაქაძე**

**ის ადამიანები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას, რომლებიც 7 წლის წინათ გვიმტკიცებდნენ: გატყუებენ, ჩვენ კი არ მოგატყუებთ და ფასებს ისე დავარეგულირებთ, თვითონაც მიხვდებით, რა ოდენობის ფულს გილებდნენ ჯიბიდან ყოველთვიურადო? მიხვდით, როგორ არ მიხვდით — იმაზე მეტს ვიხდით ყველაფერში, ვიმეორებ — ყვე-ლა-ფერ-ში, ვიდრე მანამდე ვიხდიდით, შემოსავალი კი არ გაზრდილა**

„მთავრობა „მიღწეულით“ კმაყოფილია და გეუბნება, რომ შენც კმაყოფილი უნდა იყოო. თუ დაიჯერებ — შეგიძლია, იხარო და იბედნიერო ამ ვირტუალური წარმატებებით; არ დაიჯერებ და — ხარ „დაუნახავი“. აი, ეს არის რეალურად მათი დამოკიდებულება საქმისადმი და ასე ცდილობენ, მოსახლეობაში კეთილდღეობის ილუზია შექმნან“.

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გია ხუხაშვილი:

# კაბინეტებში სხედან და თავიანთ ჭიას ახარებენ, მორჩა! სახელმწიფო და ხალხი წყალსაც წაუღია

**10 მაისს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა კრისტოფ კასტანერმა თავის ქართველ კოლეგა გიორგი გახარიასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოდან საფრანგეთში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის სტიქიურ მატებას შემაშფოთებელი უწოდა და დასძინა, რომ აღნიშნულმა პროცესმა უკვე ანომალიური ხასიათი მიიღო, რაც მისი ქვეყნისთვის პრობლემას წარმოადგენს. მინისტრის განმარტებით, ეს პროცესი რომ შეჩერდეს, საჭიროა აქტიური მუშაობა და ორმხრივი თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის, რათა პრობლემის აღმოფხვრა კოორდინირებული მოქმედებით მოხდეს.**

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა გააფორმა და რიგი საკანონმდებლო ვალდებულებების სანაცვლოდ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის დღემდე უცნობ დოკუმენტს მოაწერა ხელი, ქვეყანა დაახლოებით 300 ათასმა მოქალაქემ დატოვა. სოციალურმა სიდუხჭირემ, სიღატაკემ და ტოტალურმა უმუშევრობამ ხალხი მასობრივად აყარა და საზღვარგარეთ ლუკმაპურის საშოვნელად გააქცია. თუმცა ხელისუფლება, რომელიც გამუდმებით ეკონომიკურ ზრდაზე საუბრობს და „ათასობით სამუშაო ადგილის შექმნით“ ტრაბახობს (ბიუჯეტის სასწაულებრივ ზრდაზე რომ არაფერი ვთქვათ), ცხადია, ამ რეალობას აცდენილია.

**რა ღონისძიებებია დღეს საჭირო სახელმწიფოში იმისთვის, რომ ქვეყნიდან მოსახლეობის მასობრივი გადინება შეჩერდეს და რა რესურსები აქვს ჩვენს ქვეყანას რეალურად ამ პრობლემის გადასაჭრელად, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი გია ხუხაშვილი.**

**— ბატონო გია, ამას წინათ თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა კრისტოფ კასტანერმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში საქართველოდან ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობამ კატასტროფულად მიმატა, რასაც მან ანომალია უწოდა. რით არის ეს პროცესი განპირობებული? რა შეიძლება იყოს მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქვეყანა ასე ელვისებურად იცლება მოსახლეობისგან?**

— აქ ერთადერთი მიზეზი არსებობს. ეს არის ეკონომიკური სიდუხჭირე და, აქედან გამომდინარე, მაღალი სოციალური რისკი, რომელიც ადამიანებს უბიძგებს, დატოვონ ქვეყანა. დღეს საკითხი დგას ასე: იმ პირობებში, როცა, ერთი მხრივ, ქვეყანაში არის ტოტალური უმუშევრობა, უსახსრობა და გაჭირვება, ხოლო, მეორე მხრივ, ფასები გამუდმებით მატულობს, მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებულია, საზღვარგარეთ გადაიხვეწოს და იქაც უმძიმესი, არაადამიანური შრომით გაიტანოს თავი. თუ ვიღაცას ჰგონია, რომ ევროპაში ჩვენს მოქალაქეებს ულხინთ, ეს ასე ნამდვილად არ არის. რაც შეეხება **ხელისუფლების განცხადებებს იმის თაობაზე, რომ თურმე ხალხს ეჩვენება გაჭირვება, თორემ რეალურად ყველაფერი კარგადაა, სამწუხაროდ, ამ ცინიზმის მიღმა ნათლად ვხედავთ ერთ რამეს — მმართველი გუნდი არათუ მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობს, არათუ მას რამე ეკონომიკური სტრატეგია აქვს, არამედ დაგეგმილიც არ აქვს მსგავსი რამ.** მთავრობა კმაყოფილია „მიღწეულით“ და გეუბნება, რომ შენც კმაყოფილი უნდა იყოო. თუ დაიჯერებ — შეგიძლია იხარო და იბედნიერო ამ ვირტუალური წარმატებებით; არ დაიჯერებ და ხარ „დაუნახავი“. აი, ეს არის რეალურად მათი დამოკიდებულება საქმისადმი და ასე ცდილობენ, მოსახლეობაში კეთილდღეობის ილუზია შექმნან, ისინი ქმნიან ვირტუალურ საქართველოს, რომელშიც ეს ყველაფერი უკვე „გაკეთებულია“.

**— ხელისუფლების წარმომომადგენლები ხშირად ამბობენ, რომ საჭიროა მეტი მუშაობა საზოგადოებასთან, რათა მოხდეს ცნობიერების ამაღლება ვიზალიბერალიზაციის წესებით სარგებლობაზე. ეს ღონისძიებები შეამცირებს საზღვარგარეთ თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობას?**

— ხელისუფლების ნებისმიერი მსგავსი განცხადება თუ მოწოდება, ვფიქრობ, რეალობას აცდენილია და, რა კამპანიაც უნდა აწარმოონ მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად, შედეგის მომტანი ვერ იქნება. იმიტომ, რომ, თუ ვინმეს ჰგონია, საზღვარგარეთ მყოფმა ჩვენმა მოქალაქეებმა არ იციან უვიზო მიმოსვლის წესები და ამიტომ არღვევენ მას, ძალიან ცდება. ვინც მიდის, უკან იმიტომ არ სურს დაბრუნება, რომ აქედან გაჭირვებას გაექცა და, როგორი არაადამიანური შრომის ფასადაც უნდა უწევდეს იქ თავის გატანა, აქ მაინც უარესი მდგომარეობა ელოდება. ერთადერთი გზა და საშუალება, ადამიანებს ქვეყნიდან გაქცევაზე არ ეჭიროთ თვალი, არის ნორმალური საარსებო პირობების შექმნა აქ — საქართველოში. ეს თუ იქნება, მერწმუნეთ, არავის მოუნდება საზღვარგარეთ შავ მუშად გადახვეწა; მით უფრო, ქართველი, თავისი ბუნებით, არ არის ემიგრანტი და ის ყოველთვის მოწადინებულია, სამშობლოში იცხოვროს.

**— არსებული ეკონომიკისა თუ სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება, რომ მიგრაციის პროცესი მომავალში კიდევ უფრო გამძაფრდეს?**

— ახლა რაც უნდა გველაპარაკონ ეკონომიკის ზრდაზე ციფრებში, ეს მოსახლეობისთვის არაფერს არ ნიშნავს. მოსახლეობისთვის არსებითია კონკრეტული რამ, რაც უშუალოდ მის სოციალურ პირობებს უკავშირდება, მაგალითად, გაიაფებული საწვავი, მედიკამენტები, პური, შაქარი და ა.შ. თუმცა თვით ეკონომიკა დღეს ისე მანკიერადაა სტრუქტურირებული, რომ სოციალური პრობლემები არ მცირდება. საერთოდ, **თუ გვინდა, გავიგოთ, რა მდგომარეობაა ქვეყანაში ეკონომიკური თვალსაზრისით, ერთ პარამეტრს უნდა მივაქციოთ ყურადღება: იმპორტ-ექსპორტის სალდო უნდა ავიღოთ და ყველაფერი გასაგები გახდება.** დღეს ეს მონაცემი გვიჩვენებს, რომ **მომხმარებელ ქვეყნად ვიქეცით. ეს ნიშნავს, რომ ადამიანებს ვასაქმებთ არა აქ — ჩვენთან, არამედ უცხოეთში, ხოლო ადგილობრივი წარმოების პროდუქცია ფარავს შიდა ბაზრის მხოლოდ მინიმალურ სეგმენტს. აი, ეს არის რეალობა და ამ პირობებში, ბუნებრივია, რთულია იმაზე საუბარი, რომ ხვალზეგ რამე უკეთესობა იქნება. ვერ იქნება! და, რაც ყველაზე სამწუხაროა, მე პოლიტიკურ ნებასაც ვერ ვხედავ ამ ყველაფრის გამოსწორების...**

**— თქვენი აზრით, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც გამოსწორდეს?**

— იმისათვის, რომ ეკონომიკის რეალური სექტორი განვითარდეს და დამატებითი ღირებულება შეიქმნას, რითაც დავასაქმებთ ადამიანებს, გასატარებელია ღონისძიებები. პირველ რიგში, ამას სჭირდება პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც იქნება საშუალოვადიანი, საუბარია დაახლოებით 3-5-წლიან პოლიტიკაზე. ამის ნაცვლად კი ხშირად ლაპარაკობენ ღია ბაზარსა და მის პრინციპებზე. ეს კი სასიკვდილო განაჩენია ქვეყნის ეკონომიკისთვის. საერთოდ, **ეს ხელისუფლება გამოირჩევა იმით, რომ გადაწყვეტილების მიღება უჭირს. შეიძლება თეორიულად რაღაცას ფიქრობს, მაგრამ პრაქტიკულად ნაბიჯების გადადგმა არ შეუძლია.** ეს ნაწილობრივ შეიძლება იმითაც არის განპირობებული, რომ საერთაშორისო ინსტიტუტების ეშინიათ, მაგრამ მათ უნდა ავუხსნათ ერთი რამ: ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, გარდა იმისა, რომ წარმოებაზე ვიფიქროთ და ამისთვის საჭიროა გარკვეული რისკი, რაც, ბუნებრივია, მარტივი არ იქნება. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ირიბი გზები შიდა წარმოების დასაცავად, რაზეც ვერავინ მოგედავება და, რა თქმა უნდა, ესეც უნდა გაკეთდეს. სხვათა შორის, ამაზე ყოველთვის აქტიურად იწყება ხოლმე საუბარი, როცა ხელისუფლებას უჭირს და ქულები სჭირდება, მაგრამ გადის რაღაც პერიოდი და ჩერდება. აი, ეს არის მათი მოქმედების სტილი, გნებავთ, სტრატეგია დაარქვით. **კაბინეტებში სხედან და თავიანთ ჭიას ახარებენ, მორჩა! სახელმწიფო და ხალხი წყალსაც წაუღია...** მათი პოლიტიკა აგებულია იმაზე, რომ ოპონენტებისკენ გაიშვირონ თითი და თქვან: მე შეიძლება არ ვარ კარგი ბიჭი, მაგრამ უკეთესი რომელია — ნაციონალები?! გარდა ამისა, ხდება რესურსების მონოპოლიზება და, ასე თუ ისე, შედეგს იღებენ. მერე იწყება მოსახლეობის გაბრუება და ყურადღება გადააქვთ სხვა თემებზე, რომლებიც რეალურად არავისთვის არ არის მნიშვნელოვანი. აი, ასე გაჰყავთ დრო და თავიანთ საქმეს აკეთებენ. ასე რომ, ივანიშვილის ამოცანა არ არის, მისი ხელისუფლება ხალხის ნდობით სარგებლობდეს, მისი ამოცანაა, ძალაუფლება შეინარჩუნოს. ამას ახერხებს და რა მნიშვნელობა აქვს, ტყუილებითა და უკანონობით, თუ წარმატებული პოლიტიკით?..

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«რაც შეეხება ხელისუფლების რიტორიკასა და განცხადებებს იმის თაობაზე, რომ თურმე ხალხს ეჩვენება გაჭირვება, თორემ რეალურად ყველაფერი კარგადაა, სამწუხაროდ, ამ ცინიზმის მიღმა ნათლად ვხედავთ, რომ მმართველი გუნდი არათუ მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობს, არათუ მას რამე ეკონომიკური სტრატეგია აქვს, არამედ მას, საერთოდ, დაგეგმილიც არ აქვს მსგავსი რამ»**

**„მათი პოლიტიკა აგებულია იმაზე, რომ ოპონენტებისკენ გაიშვირონ თითი და თქვან: მე შეიძლება არ ვარ კარგი ბიჭი, მაგრამ უკეთესი რომელია — ნაციონალები?! გარდა ამისა, ხდება რესურსების მონოპოლიზება და ასე თუ ისე, შედეგს იღებენ. მერე იწყება მოსახლეობის გაბრუება და ყურადღება გადააქვთ სულ სხვა თემებზე, რომლებიც რეალურად არავისთვის არაა მნიშვნელოვანი. აი, ასე გაჰყავთ დრო და თავიანთ საქმეს აკეთებენ. ასე რომ, ივანიშვილის ამოცანა არ არის, მისი ხელისუფლება ხალხის ნდობით სარგებლობდეს, მისი ამოცანაა, ძალაუფლება შეინარჩუნოს. ამას ახერხებს, მორჩა! რა მნიშვნელობა აქვს ტყუილებითა და უკანონობით თუ რეალურად წარმატებული პოლიტიკით“**

**P.S. იმ დღეს, როცა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა კრისტოფ კასტანერმა თბილისში კონფერენცია გამართა და ლამის განგაში ატეხა იმის გამო, რომ საფრანგეთი სიღატაკეს გაქცეულ, დამშეულ და დაბეჩავებულ ქართველობას ვერ აუდის, პრემიერმა მამუკა ბახტაძემ მედიასთან „უკვე მიღწეულ ეკონომიკურ წარმატებებზე“ ისაუბრა. მისი თქმით, მთავრობის სწორი პოლიტიკის შედეგად წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტი, დაფინანსდა ასობით ინფრასტრუქტურული პროექტი და შეიქმნა სამუშაო ადგილები, რაც თურმე სერიოზული პროგრესია: „მოგეხსენებათ, რომ წელს მნიშვნელოვნად გავზარდეთ ბიუჯეტი ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის. განსახორციელებელი პროექტებისთვის ფონდიდან გამოყოფილი თანხა 261 მილიონ ლარზე მეტია, რაც შარშანდელ მაჩვენებელს 1,7-ჯერ აღემატება. აქაც გვაქვს ჩვენ მნიშვნელოვანი პროგრესი, ეს არის ფაქტობრივად 100% -იანი შესრულება და იმის ფონზე, რომ შარშან ამ პერიოდში იყო 73% -იანი შესრულება და გაზრდილი ბიუჯეტის ფონზე რომ თითქმის 100% -იანი შესრულებაა, ჩვენ გვაქვს საფუძველი, ვისაუბროთ მნიშვნელოვან პროგრესზე. ამასთანავე, მინდა, მთელ გუნდს მივმართო და მოვუწოდო: ჩვენ გვსურს მეტი, ჩვენ გვაქვს სერიოზული პროგრესი...“**

**თქვენს პირს შაქარი, ბატონო პრემიერო, მაგრამ პროგრესული ეკონომიკის მქონე საქართველოდან მოსახლეობა გეომეტრიული პროგრესიით რატომ გარბის?!**

პოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ საქართველოს მოსახლეობამ თავის ადგილი არ მიუჩინა ხელისუფლებას, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი ხელისუფლებაა, არათუ გეიაღლუმებს ჩაგვიტარებენ სპეცრაზმის თანხლებით, თაოგებს დაღუპავენ. ჩვენ გვეყოლება თავის ფესვებს მოწყვეტილი ახალგაზრდობა და ეს თაოგა უკვე თვითონ მიიღებს იმ გარყვნილებას ტაშითა და ზარ-ზეიმით.**



## ნიკოლოზ მჟავანაძე: სურთ, სკოლებსა და სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლებად შეიყვანონ ლგბტ პირები, რომლებიც მცირეწლოვან ბავშვებს აღმზრდელობით გაკვეთილებს ჩაუტარებენ

# გრძელდება დემოკრატიის სახელით უმცირესობის დიქტატურა უმრავლესობაზე

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სახალხო დამცველად წოდებულმა „მამალმა ლიბერალმა" და „ლიბერალების" მთავარმა ნუგეშმა ნინო ლომჯარიამ (რომლის გამოსვლებიც ბოლო პერიოდში ხშირად შეიცავს ერთგვარ დუჟნარევ ისტერიკას თუ კრუნჩხვა-გრეხვას იმის გამო, რომ თურმე სახელმწიფო უმცირესობების დაცვას დღემდე სათანადოდ ვერ ახერხებს), პარლამენტის მიერ „ანტიდისკრიმინაციული" კანონის მიღებიდან ხუთი წლის თავზე სპეციალური განცხადება გაავრცელა და ქვეყანაში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა კრიტიკულად შეაფასა.**

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას ევროკავშირთან ნაკისრი აქვს ვალდებულებები, რომლის თანახმად მან საზოგადოების ყველა ფენისა და ჯგუფისთვის სრულად უნდა უზრუნველყოს თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები ამ ვალდებულებას ეფექტიანად ვერ ახორციელებენ: „სამწუხაროდ, თანასწორობის მიღწევის პროცესში კვლავ არაერთი გამოწვევა არსებობს, რაც, ძირითადად, **საკანონმდებლო ჩარჩოს პრაქტიკაში ეფექტიანი იმპლემენტაციის პრობლემასა და საზოგადოებაში ჯერ კიდევ მყარად არსებულ სტერეოტიპებს(!) უკავშირდება.** სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ არსებულ გამოწვევებთან ეფექტიანი ბრძოლისთვის მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარის — ხელისუფლების, სამოქალაქო სექტორისა თუ საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობა და კოორდინირებული თანამშრომლობა..." **(ლომჯარიას ლოგიკით, ქართველი ხალხი ვის რაში აინტერესებს, ის დაინტერესებული მხარე არაა. ის ჩამორჩენილია, „სტერეოტიპების" ტყვეა და, რასაც „მოწინავე" „საერთაშორისო პარტნიორები" და „სამოქალაქო სექტორი" — ე.ი. ლომჯარია და მისნაირი გადაგვარებულები მიუთითებენ, უდრტვინველად და მორჩილად უნდა მიიღოს, რათა „გათანამედროვდეს", ე.ი გამამათმავლდეს, გალესბოსელდეს, გაპედოფილდეს, გაზოოფილდეს და ა.შ.).** მისივე შეფასებით, იმისთვის, რომ ეს ვალდებულებები შესრულდეს, საჭიროა კომპლექსური მოქმედებები, რაც, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიერ „ანტიდისკრიმინაციული" მექანიზმების უფრო მკაცრად აღსრულებას **(ე.ი. კანონის სახელით უმრავლესობის დატერორებას),** ხოლო მეორე მხრივ საზოგადოებასთან გაღრმავებულ მუშაობასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას **(ე.ი. ტვინის გამორეცხვას)** უნდა გულისხმობდეს... შეგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული განცხადება ლომჯარიას მიერ ხელისუფლების მწვავე კრიტიკის უკვე მერამდენე შემთხვევაა, რასაც ის ქვეყანაში „დისკრიმინაციული" ფონის არსებობას და უმცირესობების უფლებების სათანადოდ არ თუ ვერ დაცვას უკავშირებს. როგორც ჩანს, საბოლოოდ მთელი ეს შეშფოთება და აღშფოთება მაინც ერთი კონკრეტული ჯგუფის — **სექსუალური უმცირესობების „დაცვას" და მათი „უფლებების" იურიდიულ დონეზე გაზრდას (სინამდვილეში ყოველგვარი სქესობრივი უკუღმართობის პროპაგანდის გაძლიერებას)** ემსახურება, რაც, გარკვეულწილად, ერთგვარი პრელუდიაა ახლო მომავალში მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებებისთვის...

რას ნიშნავს ომბუდსმენის მხრიდან ხელისუფლების გამუდმებული კრიტიკა, რომ ქვეყანაში დისკრიმინაციული ფონის აღმოსაფხვრელად ეფექტიანი ღონისძიებები არ ტარდება და რა ცვლილებები შეიძლება განახორციელოს მმართველმა გუნდმა ამ კრიტიკის კვალდაკვალ ახლო მომავალში?

**„საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.**

**— ბატონო ნიკოლოზ, რამდენიმე დღის წინათ „ანტიდისკრიმინაციული" კანონის მიღებიდან ხუთი წელი შესრულდა. ეს საკმარისი დროა იმისთვის, რომ გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ. პირველ რიგში, შევაფასოთ ეს ხუთი წელი — რა შეიცვალა ქვეყანაში და რა მივიღეთ რეალურად.**

— თავის დროზე, როცა მიდიოდა ამ კანონის განხილვა და მერე უკვე დადგა მომენტი, როცა უნდა მიეღოთ, ცალკე ხელისუფლების და ცალკე უცხოეთიდან დაფინანსებული სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, საზოგადოებას ამშვიდებდნენ, რომ არაფერი ცუდი მასში ჩადებული არ იყო. პარალელურად მიდიოდა გაშმაგებული ლიბერალური პროპაგანდა, რომ ჩვენ არავინ არაფერს არ გვაძალებს და ისეთი ცვლილება მიღებული არ იქნებოდა, რომელიც ჩვენს ტრადიციულ ფასეულობებთან შეუთავსებელია. ამოქმედდა ეს კანონი და მერე რა პროცესებიც დაიწყო, ყველამ ვნახეთ — მიიღეს „ბავშვის უფლებათა კოდექსი", მიიღეს კანონი „ოჯახში ძალადობის შესახებ", რაც რეალურად სხვა არაფერია, თუ არა ისევ ლიბერალური დიქტატი და ამ დიქტატის მიერ ხელის ფათური ტრადიციულ ქართულ ოჯახში; მიიღეს კანონი სექსუალური შევიწროების შესახებ, რომელშიც, ერთი შეხედვით, თითქოს ცუდი არაფერია, მაგრამ ვინც დეტალურად გაეცნობა მას, მიხვდება, რომ ბევრი რამ არის მასში აბსურდული; დაიწყო ლაპარაკი ლგბტ პირებისთვის ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობის დაკანონებაზე და ა.შ. ფაქტობრივად მივიღეთ კასკადი საკანონმდებლო ცვლილებებისა, რომელმაც შექმნა ახალი რეალობა. ოღონდ აქ ხაზგასასმელია ის, რომ ეს ყველაფერი მოხდა ჩუმად და უხმაუროდ, რომ ხალხის ყურადღება არ ყოფილიყო ამ პროცესისკენ მიმართული. სხვათა შორის, იმ საკანონმდებლო ცვლილებების ტექსტები საზოგადოების დიდი ნაწილისთვის დღემდე უცნობია, იმიტომ, რომ არ მოხდა მათი საამშკარაოზე გამოტანა. ერთი მხრივ, თითქოს საჯაროა და ყველას შეუძლია ნახოს, მაგრამ, მეორე მხრივ, მიჩუმათებულია.

რაც შეეხება **ლომჯარიას** წუხილს იმის გამო, რომ თურმე ქვეყანაში ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა ეფექტიანად ვერ ხორციელდება, როგორც ჩანს, ეს შეშფოთება გამოწვეულია იმით, რომ, მიუხედავად გაშმაგებული მცდელობებისა, დღემდე ვერ ხერხდება გეიაღლუმის ჩატარება, ვერ ხერხდება დროშების ფრიალი, „ღირსების მარშები" და ა.შ. თუმცა სხვა დანარჩენში მათ აქვთ 100%-იანი შედეგი. ახლა ვიღაცამ შეიძლება თქვას: რა შედეგი აქვთ, საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის ხომ მაინც მიუღებლები არიანო. ერთია მიუღებლობა და მეორე — რას ცვლის ეს დამოკიდებულება; ფაქტია, რომ ვერაფერს. ლანძღავენ, აგინებენ, მაგრამ ისინი მაინც თანამდებობებზე რჩებიან და თავიანთ ბინძურ საქმეს აკეთებენ. უმცირესობის დიქტატურა უმრავლესობაზე დემოკრატიის სახელით ჩვეულებრივად გრძელდება...

**— თქვენი აზრით, საით მიჰყავს ქვეყანა ამ პროცესებს?**

— ამას დავარქმევდი მცოცავ ლიბერალურ ტერორსა და ტირანიას, რომელიც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ყველა სფეროს მოიცავს. აქ საუბარია არა მხოლოდ პოლიტიკაზე, არამედ კულტურაზე, განათლებაზე, სპორტზე, მეცნიერებაზე და ა.შ. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, **ათი წლის წინათ თუნდაც, უფრო შორს რომ არ წავიდეთ, ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოში ლგბტ პირების დამცველი ლიბერალები ხელოვან ადამიანებს საპატრიარქოს კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარს ათქმევინებდნენ?! ან ვინმე იფიქრებდა, რომ სახალხო დამცველი, რომელიც ჩვენი ჯიბიდან ფინანსდება, ჩვენივე ეროვნული იდენტობის მთავარ ინსტიტუტს, მართლმადიდებელ ეკლესიას, სიძულვილის ტირაჟირებაში დაადანაშაულებდა და პატრიარქს გალანძღავდა?!** აი, ეს არის ზუსტად ის სტრატეგია, რომ ადამიანები ნელ-ნელა უნდა მიაჩვიონ ყველაფერს. და დღეს ჩვენ უკვე ვცხოვრობთ რეალობაში, როცა **ლიბერალობა თავდაცვის რეჟიმში ყოფნას კი არ ნიშნავს, არამედ ტირანიულ უმცირესობას, რომელიც თავისუფლების სახელით ძალადობს და გეუბნება, რომ ეს ძალადობა ლეგიტიმურია.** სხვათა შორის, ახლა მთავარი აქცენტი გადატანილია განათლების სისტემაში გასატარებელ „რეფორმებზე", რომელიც ასევე უხმაუროდ ხორციელდება. საუბარია იმაზე, რომ სასწავლო პროგრამებში, როგორც უმაღლესებში, ისე სკოლებში, უნდა მოხდეს „ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებაზე" ორიენტირებული საგნების სწავლების გაძლიერება. სურთ, რომ სკოლებსა და სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლებად შეიყვანონ ლგბტ პირები, რომლებიც მცირეწლოვან ბავშვებს აღმზრდელობით გაკვეთილებს (საკუთარ მაგალითზე) ჩაუტარებენ. თუმცა ჩემთვის ეს ნამდვილად არ არის მოულოდნელობა. მეტსაც გეტყვით: **იმ პირობებში, როცა ხელისუფლება პრაქტიკულად გავსებულია ლგბტ აქტივისტებით, უფრო ღია და თამამი ნაბიჯების მცდელობაც არ უნდა გაგვიკვირდეს...**

**«საუბარია იმაზე, რომ სასწავლო პროგრამებში, როგორც უმაღლესებში, ისე სკოლებში, უნდა მოხდეს «ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებაზე» ორიენტირებული საგნების გაძლიერებული სწავლება. სურთ, რომ სკოლებსა და სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლებად შეიყვანონ ლგბტ პირები, რომლებიც მცირეწლოვან ბავშვებს აღმზრდელობით გაკვეთილებს (საკუთარ მაგალითზე) ჩაუტარებენ»**

**— ვინ არიან დღეს ხელისუფლებაში ლგბტ თემის ინტერესების დამცველები?**

— მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **ნათია მეზვრიშვილი**, პარლამენტარები — თამარ ხულორდავა, თამარ ჩუგოშვილი და სხვები. საკმაოდ დიდი ლობი ჰყავთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით მაინც ვერ ახერხებენ ბოლომდე იმას, რაც სურთ...

**— როგორ ფიქრობთ, მომავალში მოახერხებენ?**

— რატომაც არა. **ის თუ მოახერხეს, რომ ადამიანებს 9 მაისი ჩაუშალეს, 12 აგვისტოს დიდგორობა არ აღლესასწაულეს; ის თუ მოახერხეს, რომ გამოვიდნენ და საჯაროდ განაცხადეს: სიტყვა ეროვნულობა საერთოდ ამოღებული უნდა იყოს პოლიტიკოსების ლექსიკიდანო, გეიაღლუმებისა და მარშების ჩატარებას რა დაუშლით?! ვფიქრობ, რომ ამას წელსაც წარმატებით განახორციელებდნენ, მაგრამ არჩევნებია შუაში ცუდად გაჩხერილი, თუმცა, ეს საარჩევნო ციებ-ცხელება რომ გადაივლის, მერე იქნება შემოტევები.**

რაც შეეხება ამ პროცესების მთავარ მენტორს — დასავლეთს, უკვე პირდაპირ არის მითითება, რომ ხელისუფლებაში არ უნდა იყოს არც ერთი ადამიანი — არც აღმასრულებელში, არც საკანონმდებლოში და არც სასამართლოში, რომელიც არ იქნება „ლიბერალური" იდეოლოგიის გამტარებელი. ეს ნიშნავს იმას, რომ ხდება პოლიტიკური ველის სრული მონოპოლიზება, რომლის შედეგად ამ სპექტრში მინიმალური სივრცეც კი არ დარჩება განსხვავებული სუბიექტებისთვის. აი, ეს არის ზუსტად ლიბერალური ფაშიზმი და ამ პროცესებს ქვეყანა საით მიჰყავს, ვხედავთ. კიდევ ვიმეორებ: **წელს თუ საქართველოს მოსახლეობამ თავისი ადგილი არ მიუჩინა ხელისუფლებას, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი ხელისუფლებაა, არათუ გეიაღლუმებს ჩაგვიტარებენ სპეცრაზმის თანხლებით, თაოგებს დაღუპავენ. ჩვენ გვეყოლება თავის ფესვებს მოწყვეტილი ახალგაზრდობა და ეს თაოგა უკვე თვითონ მიიღებს იმ გარყვნილებას ტაშითა და ზარ-ზეიმით;** ამიტომ ვამბობ ყოველთვის ხაზგასმით, რომ წინააღმდეგობას უნდა დახვდე წინააღმდეგობით. როგორც იქნება და რანაირადაც იქნება საჭირო... თუ არადა, შორს არ არის დრო, როცა ეს მცოცავი ლიბერალური ექსპანსია წელში გადატეხავს ჩვენს საზოგადოებას და, არათუ წინააღმდეგობის ძალა არ შერჩებათ ადამიანებს, იმედის ნაპერწკალიც აღარ დაგვრჩება. **მე არ მინდა, ასეთ დაჩოქებულ და დამონებულ ქვეყანაში ვიცხოვრო, ასეთ ქვეყანას გინდ უარსებია და გინდ არა...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ დღეს პოსტსაბჭოთა სივრცეში „მენშევიკური“ რევანშის მცდელობა აშკარაა და მასთან ერთად ერთგვარი „ხრუშჩოვიზმიც“ მკვეთრად შეინიშნება, თავგასულ „ტროცკიზმთან“ ერთად. ქართველი კი, როგორც გვჩვევია ხოლმე, ამასაც სხვებზე მეტად ინდომებს და ჩვენი ქვეყანაც მსოფლიოში პირველ ადგილზეა მეენშევიკობა — „ხრუშჩოვიზმებში“.**



ბაქარ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყოველი წლის 9 მაისს ტრადიციად რომ იქცა სოციალურ ქსელებში რადიკალი ანტისტალინისტებისა და რადიკალი სტალინისტების დაპირისპირება — ამას უკვე მივეჩვიე და ისეთი მძაფრი რეაქცია აღარ მაქვს, როგორც შარშან ან შარშანწინ მქონდა. სხვათა შორის ამ თემაზე უკვე ორჯერ გამოვაქვეყნე ამ გაზეთში წერილები, რომლებშიც ორივე უკიდურეს მხარეს მოვუწოდებდი, საღად და ობიექტურად შეეხედათ მეორე მსოფლიო ომის მოგებასა და კაცობრიობის მთავარი ჭირის — ფაშიზმის დამარცხებაში როგორც სტალინის, ასევე მოკავშირე სახელმწიფოების წვლილისთვის.**

# სამარცხვინო პრეზიდენტი

## «ხრუშჩოვიზმის» აჩრდილი და მენშევიკური რევანშის უტიფარი მცდელობა, ანუ «ჰაილ ჰიტლერ!» ქართულად



**როცა ასეთ სისულელეებს შენი ქვეყნის პრეზიდენტი ტელეეთერში ლაპარაკობს, თუნდაც თავისი ლაჩარი და მოღალატე წინაპრების სულმდაბალი საქციელის როგორმე «გასაპრავებლად», ეს არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი ქვეყნისა და სახელმწიფოს სირცხვილია!**

აღარაფერს ვამბობ ისეთ არასერიოზულ ფრაზებზე, რომ თურმე „ჰიტლერს ომი რომ მოეგო, ახლა კაი ბავარიულ ლუდს დავლევდით“ და „მაგრად ვიგულავებდით“. ამას, ძირითადად, ტვინდაზიანებული ბავშვები, 20-25 წლის გოგო-ბიჭები ლაპარაკობენ ხოლმე, რომლებმაც მხოლოდ ახლაღა შეიტყვეს, რომ თურმე ვერმახტის მხარესაც იბრძოდა რამდენიმე ათასი ქართველი და ჰგონიათ, რომ ეს სხვებისთვისაც სიახლე იქნება. ამიტომ აღფრთოვანებით იწყებენ „ვერმახტელი ქართველების“ მხარდაჭერას და ამაყობენ თავიანთი „განსხვავებული აზრით“, რომელიც სინამდვილეში ძალიან მოძველებული და მსოფლიო საზოგადოებრიობის ჯანსაღი ნაწილის მიერ დიდი ხნის წინათ უარყოფილი თვალსაზრისია.

კიდევ ჯანდაბას, როდესაც ასეთი რამ 20 ან 25 წლის ახალგაზრდას ემართება, რომელთა უდიდესი ნაწილი, დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში შეიგნებს, რა სისულელეებსაც ლაპარაკობდა. საგანგაშო არის ის, როდესაც ასეთ მახინჯ აზრებს აფრქვევს სრულწლოვანი, მეტიც — უკვე ხანში შესული ქალბატონი და ისიც ქვეყნის პრეზიდენტი. ვლაპარაკობ საქართველოს პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილზე**, რომელმაც ვაკის პარკში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მედიასთან ასეთი კომენტარი გააკეთა: **„ეს ყველა იმ ომში დაღუპული ქართველის დღეა, მიუხედავად იმისა, ვის მხარეს იბრძოდა იგი. სადაც არ იყვნენ, მათ სჯეროდათ, რომ თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისთვის იბრძოდნენ. აქა თუ ტყვედ ჩავარდნილი გერმანელებთან თუ ემიგრანტები, რომლებიც იბრძოდნენ, თავიანთი გაგებით, საბჭოთა დამპყრობლების წინააღმდეგ. ყველა დაიღუპა საქართველოსთვის**“ – (ციტატაში სალომე ზურაბიშვილის მეტყველების სტილი დაცულია).

როგორ ფიქრობთ, რაღა აკლია ამ ფრაზას მოღალატე, დაბოღმილი „მენშევიკის“ სახის ბოლომდე დასახატავად? — ერთადერთ ფრაზა: „ჰაილ ჰიტლერ!“

სხვათა შორის, ჰიტლერის მხარეს რომ მხოლოდ ქართველები ან რუსები არ იბრძოდნენ, ეს, რაღა თქმა უნდა, ყველამ კარგად იცის. ფაშისტების მხარეს უამრავი ეროვნების ადამიანი იბრძოდა — იტალიელები, ნორვეგიელები, რუმინელები, სლოვაკები... დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ რომელ უცხოელ ნაცნობებთანაც შევძელი გადამოწმება, ჩემი ინფორმაციით, საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ფაშისტების მხარეს მებრძოლებსა და ანტიფაშისტური კოალიციის რიგებში მებრძოლებს ერთმანეთს უთანაბრებენ. კი ბატონო, ჩვენ გვტკივა თითოეული დაღუპული ქართველი, ისევე, როგორც სხვა ერებს. ვინც ვერმახტის დროშით იბრძოდა — შეგნებული მოღალატე იყო ეს თუ პროპაგანდით შეცდენილი, ღმერთმა უწყის, მაგრამ იმის თქმა, იქით მებრძოლიც და აქეთ მებრძოლიც ორივე თანაბრად გმირია, ორივე თანაბრად დასაფასებელია და ორივეს ღირსეული პატივი უნდა მივაგოთო, ასეთი წარმოუდგენელი სისულელე, მგონი, მსოფლიოს პრეზიდენტებს შორის, საქართველოს პრეზიდენტმა პირველმა და, იმედია, უკანასკნელმა თქვა.

საზოგადოდ, **შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ დღეს პოსტსაბჭოთა სივრცეში „მენშევიკური“ რევანშის მცდელობა აშკარაა და მასთან ერთად ერთგვარი „ხრუშჩოვიზმიც“ მკვეთრად შეინიშნება, თავგასულ „ტროცკიზმთან“ ერთად.** ქართველი კი, როგორც გვჩვევია ხოლმე, ამასაც სხვებზე მეტად ინდომებს და ჩვენი ქვეყანაც მსოფლიოში პირველ ადგილზეა „მენშევიკობა“-„ხრუშჩოვიზმებში“.

უდავო ფაქტია ისიც, რომ სალომე ზურაბიშვილის ასეთი, ნუ ვიპირფერებთ და, სულელური განცხადებაც, აშკარად თავისი მენშევიკი წინაპრების „გაპრავების“ თავგანწირული მცდელობაა. ისტორიული ფაქტია, რომ 1921 წელს საქარველოდან სამარცხვინოდ გაქცეული მენშევიკების დიდი ნაწილი ჩადგა კაცობრიობის ყველაზე სასტიკი მტრის, ჰიტლერის, სამსახურში. კაცობრიობის ყველაზე სასტიკი მტერი კი ჰიტლერისთვის მე არ მიწოდებია. ეს დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა, ასევე კომუნიზმისა და კომუნისტების დაუძინებელმა მტერმა უინსტონ ჩერჩილმა თქვა. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ სალომესნაირები ცდილობენ, მენშევიკების ეს სულმდაბალი საქციელი სამშობლოსადმი ერთგულებითა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილით ახსნან. **სინამდვილეში კი არც შალვა მაღლაკელიძე, არც სპირიდონ კედია და არც სხვა ქართველი ემიგრანტი მენშევიკები ნამდვილად არ იყვნენ ისეთი ჩლუნგები და გულუბრყვილოები, რომ ჰიტლერის მიერ ნაჩუქარი „დამოუკიდებლობა“ დაეჯერებინათ, ჰიტლერს მოღალატე ქართველები მხოლოდ კავკასიის დაპყრობამდე სჭირდებოდა და მათ ყველაფერს ჰპირდებოდა, რასაც ითხოვდნენ. კავკასიის დაპყრობის დასრულებისთანავე, რა თქმა უნდა, ჰიტლერი აქაც თავის გაულაიტერს დანიშნავდა, ხოლო თუკი მოტყუებული ქართველები წინააღმდეგობას გაუწევდნენ, მათ რასაც უზამდა, ყველამ კარგად ვიცით.**

უბრალოდ, მენშევიკები ისე იყვნენ დაბოღმილი ყოფილ თანამოაზრე და კოლეგა ბოლშევიკებზე, რომ სატანასთან თანამშრომლობაც არ ითაკილეს, ოღონდ კი ისინი გაემწარებინათ. მაგრამ სალომე ზურაბიშვილი ამას ასე პირდაპირ ხომ არ იტყვის?! ისიც ულამაზოა, როდესაც საფრანგეთიდან „გუშინწინ“ დაბრუნებული ემიგრანტი ქალი საკუთარი ბაბუების დამმარცხებელი, თავისივე წინაპრების დაუძინებელი მტრების დღესასწაულზე მიდის... არადა, რომ არ მივიდეს, არც ეგ გამოდის... რჩება ერთდადერთი — სისულელეების როტვა და სამშობლოს მოღალატე და ბოღმით გახეთქილი წინაპრების რამენაირად გამართლების მცდელობა... თუნდაც გმირებად მათი გამოცხადებით.

აი, ასე იცის, როდესაც გაუთვითცნობიერებელი და ახალბედა პოლიტიკოს-მილიარდერი საქართველოს პრეზიდენტად სამშობლოს მოღალატეთა შთამომავალს ასახელებს, ვიღაცების ჩიჩინისგან იმაში დარწმუნებული, რომ მას თურმე „გმირი“ და „პატრიოტი“ წინაპრები ჰყავდა.

მართლა საოცარია იმ ადამიანების აზროვნება, რომლებიც კომუნისტებს, სოციალისტებს აძაგებენ, ლანძღავენ, ხოლო მენშევიკები მიაჩნია სამშობლოზე გადამკვდარ და ძალიან ჰუმანურ ადამიანებად. სამწუხაროდ, ბევრი ვერ იაზრებს, რომ მენშევიკები და ბოლშევიკები ერთი ხიდან ამოზრდილი ორი ტოტი იყო და, თუკი ბოლშევიკები დაუნდობლად უსწორდებოდნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, იქვე სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მენშევიკებიც არ შვებოდნენ ნაკლებს. მე ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ვაპირებ კამათს არც პროკომუნისტებთან და არც ანტიკომუნისტებთან. მხოლოდ იმას ვამბობ, რომ არ მოგწონდეს ბოლშევიკები მათი სისასტიკის გამო და გიყვარდეს მენშევიკები — ეს ან უვიცობის ბრალია, ან კიდევ მიზანმიმართული მახინჯი პროპაგანდისა.

ცალკე თემაა სსრ კავშირის ყველაზე სულელ მმართველად მიჩნეული **ნიკიტა ხრუშჩოვი,** რომლის ნარატივსაც რატომღაც აქტიურად იმეორებენ დღევანდელ საქართველოში. საუბარია არა უბრალო ხალხზე, არამედ სერიოზულ და გავლენიან მედიასაშუალებებზეც. 9 მაისს ქართულ ტელეეთერებში ხშირად ისმოდა ტრაბახი იმის თაობაზე, რომ ქართველებს განსაკუთრებული წვლილი გვაქვს შეტანილი მსოფლიოში ფაშიზმის დამარცხებაში, რადგან ჩვენი ქვეყნიდან ამ ომში 700 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა და მათგან ნახევარი უკან ვერც დაბრუნდა. ეს, თავისთავად, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ **ამდენი ილაპარაკო „მსოფლიოში ფაშიზმის დამარცხებაზე“ და არ ახსენო ფაქტი, რომ კაცობრიობის ისტორიის ამ უბრწყინვალესი ფურცლის ერთ-ერთი უმთავრესი ავტორი ეროვნებით ქართველია — ეს ღორობაცაა, მოღალატეობაც, შტერობაც და ხრუშჩოვიზმიც.**

მე თუ მკითხავთ, საამაყოა ისიც, რომ ე.წ. საიდუმლო ფრონტზე, ანუ მეორე მსოფლიო ომის დროს ჯაშუშთა ჯახშიც მთავარი მოქმედი პირი ქართველი იყო და მან პირწმინდად მოუგო თავის ჯერ გერმანელ და, ომის დამთავრების შემდეგ — ამერიკელ კოლეგებს.

მოკლედ, 9 მაისზე ამდენი საუბრისას **იოსებ ჯუღაშვილი-სტალინისა** და **ლავრენტი ბერიას** ერთხელ მაინც არხსენება სწორედ ისაა, რასაც ნიკიტა ხრუშჩოვი ცდილობდა 1950-იან წლებში, რაც მაშინ არ გამოუვიდა და, რასაც ახლა უკვე ერთგვარი წარმატებით ახორციელებენ თანამედროვე ქართველი ხრუშჩოველები. უნამუსობაა ის, რომ მათი ასეთი საქციელი „საქართველოს სიყვარულითა“ და „პატრიოტიზმითაა“ შენიღბული. აქაოდა, ვინც სტალინის დამსახურებებს აღიარებთ, ცუდი ქართველები ხართ, რადგან სტალინს საქართველოსთვის არ უღვაწიაო. ახლა აქ ზედმეტია იმაზე კამათი, რა უღვაწია და რა არა რეალურად სტალინს ან ბერიას საქართველოსთვის, მაგრამ მინდა პასუხი მივიღო კითხვაზე: მაშინ ის მითხარით, ხრუშჩოვის ნარატივზე მომართულო „პატრიოტებო“, მაგ თქვენმა კერპმა ნიკიტამ რა იღვაწა საქართველოსთვის, რომ მისი სულელური ნარატივის ასე თავგადაკლული მიმდევრები გახდით?

ისიც სათქმელია, რომ უცხოური, ევროპული დოკუმენტური ფილმები ისე არ აკნინებენ სტალინს და მის როლს მეორე მსოფლიო ომში, როგორც ამას შემართებით ცდილობენ სწორედ ქართველი ხრუშჩოვისტები და ტროცკისტები.

არ ვაპირებ მეორე უკიდურესობაში გადავვარდე და ფაშიზმის დამარცხებაში სსრკის მოკავშირეთა როლი რამენიარად დავაკნინო ანდა ამ ყბადაღებული „ლენდ-ლიზის“ მნიშვნელობა უარვყო (უანგაროდ კი არ გვეხმარებოდნენ, საბჭოთა კავშირი ნატურალურ ოქროს უხდიდა ამერიკელებს), მაგრამ ის, რომ საბჭოთა კავშირმა და კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა სამხედრო სტრატეგმა იოსებ ჯუღაშვილმა უმთავრესი როლი ითამაშეს ისტორიის ამ უბრწყინვალესი ფურცლის დაწერაში — ეს უდავო ფაქტია და ამაზე მეცნიერულ დონეზე გაკეთებული ნებისმეირი ევროპული დოკუმენტური ფილმის ავტორებიც საუბრობენ.

ეს მხოლოდ საქართველოშია ასე მიღებული — ვერმახტის მებრძოლების გათანაბრება ანტიფაშისტური კოალიციის მებრძოლებთან. ისევე, როგორც ჰიტლერისა და სტალინის „თანაბარ ბოროტებაზე“ საუბარი. კაცი იფიქრებს, **ფრანკლინ რუზველტს, უინსტონ ჩერჩილს, შარლ დე გოლს** და სხვებს თავში ტვინი არ ჰქონდათ, ვერ გაარჩიეს რომელი უფრო დიდი ბოროტება იყო და „შეცდომით“ გახდნენ სტალინის მოკავშირეები, ხოლო „უფრო კეთილმა“ ჰიტლერმა ეს ძალიან განიცადა, ინერვიულა და 1945 წლის აპრილის ბოლოს ბერლინში თავი მოიკლა ამ ამაგდარმა ადამიანმაო!

და, რა თქმა უნდა, ვიმეორებ: **კიდევ იმხელა ტრაგედია არ არის, როცა ასე 20-25 წლის გოგო-ბიჭები აზროვნებენ... მაგრამ, როცა ასეთ სისულელეებს შენი ქვეყნის პრეზიდენტი ტელეეთერში ლაპარაკობს, თუნდაც თავისი ლაჩარი და მოღალატე წინაპრების სულმდაბალი საქციელის როგორმე „გასაპრავებლად“, ეს არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი ქვეყნისა და სახელმწიფოს სირცხვილია!**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სიმართლე ნახევრად არ უნდა ვთქვათ, რადგან ნახევარსიმართლე ბოროტებასა და სიცრუეზე მეტი დანაშაულია. სიმართლე კი არის ის, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციის, გადაგვარებული სექსუალური ურთიერთობების მომხრე ხელისუფლება უნდა ვამხილოთ. ბოლომდე უნდა ვამხილოთ საქართველოს ხელისუფლება ფარისევლობაში და მისგან არ უნდა მივიღოთ გადმოგდებული „სიკეთეები“.**



# ლევან ჩაჩუა: საზოგადოება უნდა გაემიჯნოს ხელისუფლების მატრაბაზობას, თუ ფარისევლები არ ვართ

# ფეკალიები წყალში ტივტივებს, მარგალიტები სიღრმეშია და არ ჩანს

**ამა წლის 8 მაისს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა „შრომის კოდექსში“ ცვლილებას, რომლის მიხედვით, 12 მაისის უქმე დღედ გამოცხადების საფუძვლად ანდრია მოციქულის ხსენების დღესთან ერთად ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღეც გამოცხადდა. „შრომის კოდექსში“ შევიდა ცვლილება: „12 მაისი — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღე, საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის — წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე — იმედის დღე“.**

**«ხელისუფლება დემოკრატობანას გვეთამაშება. მას სურს, დაანახვოს ყველას, როგორი სახისა და დონის დემოკრატია გვაქვს; მას სურს, დაანახვოს ყველას, რომ საქართველოში გამოხატვის უფლება აქვს ნებისმიერ ადამიანს, როგორი მრწამსისაც არ უნდა იყოს ის. ვიღაცას სურს, ღვთისმშობლის წილხვდომი იყოს? — იყოს; ვიღაცას სურს, ლგბტ თემის წარმომადგენელი იყოს? არავინ არ უშლის. კანონი «საუკეთესო» გვაქვს, ეს საქართველოს ხელისუფლების დემოკრატიაა — გინდა, «პრაიდი» ჩაატარე; გინდა, საეკლესიო დღესასწაული»**

„ერი მოხარულია, რომ დღევანდელი დღე იქნება წილხვედრი, საქართველო იქნება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი – მოხარული ვარ, რომ ამას ჩვენი პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე იზიარებს“, — განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია მეორემ** ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ტაძრის კურთხევის შემდეგ გამართულ ცერემონიაზე. „თვით განგებამ ინება, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ყოფილიყო. როცა მოციქულებმა წილი ყარეს, ვინ სად უნდა წასულიყო საქადაგებლად, მონაწილეობა მიიღო ღვთისმშობელმა დედამ. მას წილად ხვდა ივერია და იმ დღიდან საქართველო არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი. გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს. გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს! ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ღმერთი ჩვენთან არის“, — ბრძანა ილია მეორემ. 2018 წლის ბოლოს წმინდა სინოდმა 12 მაისი საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღედ და ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადა.

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა რომ არის, მორწმუნე ქართველებისთვის არახალი ამბავია, პრობლემა ლიბერალებს აქვთ, საქართველოში მცხოვრებ ლიბერალებს, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, რომელსაც „წილხვდომილობის დღის“ დაწესებით რისი თქმა სურდა, ბევრმა ვერ გაიგო... **ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე პოლიტიკური გაერთიანება „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა გვესაუბრება.**

— ხელისუფლებამ „წილხვდომილობის“ დღის დაწესებით საქართველოს მოსახლეობის კონსერვატორულ ნაწილს კოჭი გაუგორა — ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტი განწყობილია ეკლესიის, ღვთისმშობლის, უფლის რწმენითა და პატივისცემით. მათ სწამთ და ძვირად ულირთ წინაპრების ღვაწლი, ეს ხელისუფლებამაც კარგად იცის და ისიც იცის, რომ „წილხვდომობა“ მოსახლეობის დიდ ნაწილს მოესალბუნებოდა... ეს ერთ-ერთი კარგად გათვლილი პიარნაბიჯია ამ ხელისუფლების...

**— იქნებ ჩამოთვალოთ, რა ნაბიჯები აქვთ გათვლილი...**

— პრემიერმინისტრმა ევროპაში რაც განაცხადა, შევეცდები მის ზუსტ ციტირებას: „ჩვენ მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, ჩვენ ვამაყობთ ამით, ეს იყო პროგრესისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი. თუ ჩვენი კანონმდებლობა რაიმე კუთხით კიდევ უნდა გაძლიერდეს, მზად ვართ, რომ მივიღოთ თქვენი რეკომენდაციები, ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს რეკომენდაციებს და გამოხატვის უფლების აღსრულებაში სახელმწიფო მიიღებს ყველა ზომას და ყველას მიეცემა საშუალება, თანაბრად გამოხატოს საკუთარი უფლებები და თავისუფლება“. პრემიერმა ამ განცხადების შემდეგ გააკეთა მორიგი განცხადება: „ჩვენ დავაკმაყოფილებთ როგორც ეკლესიის გამოხატვის უფლებას, ასევე სხვადასხვა სექსუალური უმცირესობის გამოხატვის უფლებას“. ჩვენი ხელისუფლება დემოკრატობანას გვეთამაშება. მას სურს, დაანახვოს ყველას, როგორი სახისა და დონის დემოკრატია გვაქვს. მას სურს, დაანახვოს ყველას, რომ საქართველოში გამოხატვის უფლება აქვს ნებისმიერ ადამიანს, როგორი მრწამსისაც არ უნდა იყოს ის. ვიღაცას სურს, ღვთისმშობლის წილხვდომილი იყოს? — იყოს; ვიღაცას სურს, ლგბტ თემის წარმომადგენელი იყოს? არავინ არ უშლის. კანონი საუკეთესო გვაქვს, ეს საქართველოს ხელისუფლების დემოკრატიაა — გინდა, პრაიდი ჩაატარე; გინდა, საეკლესიო დღესასწაული. ის, რაც აქ ხდება, ყოვლად დაუშვებელია.

**— დაუშვებელია, მაგრამ „წილხვდომობისთვის“ ნახევარ მილიონ ლარზე მეტი უკვე გამოეყო სამ სამინისტროს, დღესასწაულიც შედგა და ხელისუფლებასაც არავინ არაფერი არ უთხრა...**

— დღესასწაული შედგა, მაგრამ საზოგადოებას უარყოფითი გამოხმაურება ჰქონდა, რადგან ასეთ ფარისევლობას ქართველი საზოგადოება არ „ჭამს“. თუმცა საშიშია, რომ მსგავსი ფარისევლური გამოხდომებით, ივანიშვილის მიერ სხვადასხვა ტაძრის მოხატვისა და დაფინანსების წინ წამოწევით, ხალხმა იმედი არ დაკარგოს და გული არ აიცრუოს ეკლესიაზე.

**— როგორ უნდა დაანახვოს საზოგადოებამ ხელისუფლებას, რომ მისი ფარისევლობის არ სჯერა?**

— ჩვენ ხელისუფლების მატრაბაზობას არ უნდა შევეგუოთ, არ უნდა დავთანხმდეთ იმას, რომ, როცა ჩვენ ოჯახის სიწმინდის დღეს აღვნიშნავთ რუსთაველზე, მათ პარალელურ ქუჩაზე სახელმწიფო კანცელარიის წინ გეიაღლუმი ჩაატარონ, იქ, სადაც სამღვდელოება გალობით აღნიშნავს უდიდესი სიწმინდის — ოჯახის დღეს, მათ ვერ უნდა იბოგინონ. ხელისუფლებამ უნდა შეიგნოს, რომ ხალხსა და ეკლესიას ვერ შეურაცხყოფს. ჩვენ გვახსოვს **კვირიკაშვილის** პრემიერობისას როგორ ამბობდნენ — „გამომრევლებული ბრბო“ და „გამოციანიდებული ეკლესია“. ეს აღარ უნდა განმეორდეს. ამას არც ერთ შემთხვევაში არ უნდა შევეგუოთ ქართველები, ვისაც ღირსება აქვს, ვინც არ არის ფარისეველი, ვინც სინდისს ფეხს არ დააბიჯებს, ვინც 17 მაისს ჩაიარა რუსთაველზე, აღნიშნა „ოჯახის სიწმინდის“ დღე და დაგმო ლგბტ ლონისძიება კანცელარიასთან. აი მაშინ სულ სხვაგვარად წავა ამ ხელისუფლების საქმე.

**— 17 მაისს აღარ აღნიშნავენ უმცირესობის დაცვის დღეს...**

— ვიცი, 17 მაისს არა, მაგრამ **უკვე კვირეულის ჩატარებას აპირებენ 18-23 ივნისს, რაც კიდევ უფრო დიდი გამოწვევაა მას შემდეგ, რაც „წილხვდომობის“ დღესასწაული დააწესეს. ამით ხელისუფლებამ განაცხადა — ჩვენ მორწმუნეებს, კონსერვატორებს პატივი გეცით, ახლა თქვენც აიტანეთ...**

ჩვენი მარიონეტი ხელისუფლება, ერთი მხრივ, კონსერვატორ საზოგადოებას იმადლიერებს; მეორე მხრივ, იღებს ანტიდისკრიმინაციულ კანონს და მსოფლიოს აჩვენებს, როგორი დიდი ნაბიჯი გადადგა „დემოკრატიისკენ“, ამით უსაფრთხოების გარანტიას იღებს ყველასგან, რათა სოდომიის პროპაგანდაში ხელი არ შეეშალოს. საზოგადოება უნდა გაემიჯნოს ხელისუფლების მატრაბაზობას, თუ ფარისევლები არ ვართ. სიმართლე ნახევრად არ უნდა ვთქვათ, რადგან ნახევარსიმართლე ბოროტებასა და სიცრუეზე მეტი დანაშაულია. სიმართლე კი არის ის, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციის, გადაგვარებული სექსუალური ურთიერთობების მომხრე ხელისუფლება უნდა ვამხილოთ. ბოლომდე უნდა ვამხილოთ საქართველოს ხელისუფლება ფარისევლობაში და მისგან არ უნდა მივიღოთ გადმოგდებული „სიკეთეები“.

**— საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა რომ არის, ყველა ქართველმა კარგად იცის, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ რომელი საქართველო იგულისხმა: განახევრებული, დაუძლურებული და გაელგებეტებული?**

— საქართველოს მოსახლეობა პატივს სცემს ღვთისმშობელს. ჩვენ ვართ ქრისტიანი მართლმადიდებლები, მაგრამ უხამსობის, ნარკომანობის ჭაობში ჩაკარგული საქართველო ვერ იქნება „წილხვედრი“ და ვერც ქართველი საზოგადოების ნაწილი ვერ გახდება. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არიან ორგანიზაციები, რომლებიც გულუხვად ფინანსდებიან უცხოეთიდან, ისინი ბევრნი არ არიან, მაგრამ კარგად დაფინანსებულნი არიან და მეტად ჩანან, ვიდრე ჩვენ... ფეკალიები წყლის ზედაპირზე ტივტივებს, მარგალიტები სიღრმეშია და არ ჩანს.

**— ჩვენი ხელისუფლება საერთაშორისო ასპარეზზე „წილხვდომობას“ გამოიყენებს, იტყვის, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, მაგრამ მაინც ვახერხებთ ჰომოსექსუალების სიმშვიდის უზრუნველყოფასო...**

— აუცილებლად გამოიყენებენ, სწორედ ამაზე აქვთ ეს ყველაფერი გათვლილი, „წილხვედრობაც“ ამისთვის სჭირდებოდათ, ისინი ხომ თავისუფალი არ არიან, მარიონეტები არიან და იძულებულნი ხდებიან, ყველა ფრონტზე ითამაშონ, კონსერვატორულზეც და ლიბერალურზეც. ხელისუფლების წარმომადგენლებს **ზუსტად ეგ ჰქონდათ გათვლილი — ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის გული მოეგოთ და მეორე ხელით ლიბერალების დაკვეთა შეესრულებინათ.**

**— ორი ღმერთის მსახურება არასდროს არავის არ გამოსვლია. ჩვენი ხელისუფლება ორ ღმერთს ემსახურება და ორ სკამზე ჩამოჯდომას ცდილობს...**

— არც საქართველოს ხელისუფლებას არ გამოუვა ორი ღმერთის მსახურება და ორ სკამზე ჯდომა. „შუშის სასახლეში მყოფი ჩვენი „მმართველი“ სულიერი და პოლიტიკური მემკვიდრეა როსტომ ხანისა, რომელიც აშენებდა ხიდებს, ემსახურებოდა ეკლესიებს და პარალელურად შემოჰქონდა მამათმავლობის სიბინძურე. მან დაახრჩო კათალიკოს-პატრიარქი, რომელიც ამხელდა და ეუბნებოდა: „ქრისტიანთა მამინაცვალი ხარ და მუსლიმანთა მამა“. როსტომ ხანმა გაუხსნა გზა ანგარებას, მამათმავლობასა და ქართველებისთვის მანამდე უცხო მრავალ სხვა ადამიანურ მანკიერებას. როსტომ ხანმა ცხოვრება ცუდად დაასრულა. ის დღეს **შაჰ-აბასის** გვერდით არის დასაფლავებული. ასეთი დასასრული ექნება ყველა იმ ქართველს, რომლებიც ქვეყანასა და თანამემამულეებს უღალატებენ.

**«საშიშია, რომ მსგავსი ფარისევლური გამოხდომებით, ივანიშვილის მიერ სხვადასხვა ტაძრის მოხატვისა და დაფინანსების თემის წინ წამოწევით ხალხმა იმედი არ დაკარგოს და გული არ აიცრუოს ეკლესიაზე»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ჩანაწერის ხმაურიანი გასაჯაროება შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ხელისუფლებას მალხაზ მაჩალიკაშვილის დისკრედიტაცია სურს. ამასთანავე, საზოგადოების ყურადღების გადატანა შვილის (სპეცრაზმელების მიერ მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის) საქმიდან მისი მამის, მალხაზ მაჩალიკაშვილის, საქმეზე. ეს ამ ეტაპზე ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც, ვინაიდან „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პროპაგანდისტები მედიასა და სოცქსელებში შესაბამის მესიჯებს მთელი კვირის განმავლობაში ავრცელებდნენ.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა შეცდომებს უშვებს ხელისუფლება მაჩალიკაშვილის საქმეში?

**მთელი კვირის განმავლობაში საზოგადოება ცდილობდა, დაედგინა, რას უპირებს ხელისუფლება მალხაზ მაჩალიკაშვილს, მაგრამ ვერაფერი გაიგო. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სამართალდამცავები არა მხოლოდ იძიებენ კონკრეტულ საქმეს, არამედ აწარმოებენ პოლიტიკურ თამაშს, ამასთანავე, საინფორმაციო ომს და სამივე ამას, ჩვეულებისამებრ, არაპროფესიულად, არათანმიმდევრულად აკეთებენ. ალბათ, საჭიროა იმის დადგენა, რისთვის დასჭირდათ ეს.**



**მნიშვნელოვანია, რომ ეს მოვლენები პანკისში მომხდარი არეულობის შემდეგ განვითარდა. ხელისუფლების გაუაზრებელ ქმედებებს ჰესის მშენებლობის მიმართ... მოჰყვა ადგილობრივი მცხოვრებლების ჯგუფური თავდასხმა პოლიციელებზე... ადგილობრივი მოსახლეობა კატეგორიულად მოითხოვდა, ამ მოვლენებში მონაწილე პირები არ დასჯილიყვნენ და შსს სიტუაციის შემდგომ გამწვავებას მოერიდა. ამის შემდეგ არაერთმა კომენტატორმა შენიშნა, რომ ხელისუფლება ამ კონკრეტულ ეპიზოდში დამარცხდა და გამორიცხული არ არის, რომ ამან «ქართული ოცნება» სიმბოლური რევანშის აუცილებლობაზე დააფიქრა. შესაძლოა, მალხაზ მაჩალიკაშვილის მისამართით (ამ ფორმით) გამოთქმული ბრალდებების უკან ეს ქვეტექსტიც იდგა**

7 მაისს სუს-მა გაავრცელა განცხადება „სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულ ცენტრში 2018 წლის 1 ივნისს დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს ტერორისტული აქტის მომზადებისა და ტერორისტული მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის ან (და) ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 18, 323-ე და 323 პრიმა მუხლებით“. სუს-ის ინფორმაციით, „გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ქალაქ თბილისში პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე 2018 წლის 31 მაისს მალხაზ მაჩალიკაშვილის მიერ საჯაროდ გაკეთებული მუქარის შემცველი განცხადება, რომლის თანახმად იგი და მასთან მყოფი პირები, რომლებსაც, მალხაზ მაჩალიკაშვილის განცხადებით, ფიცი ჰქონდათ მიცემული, მზად იყვნენ, შეეღწიათ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობაში და თავი აეფეთქებინათ. გამოძიების ფარგლებში, ინფორმაციის გადამოწმებისა და მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით, შესაბამისი სასამართლო განჩინებების საფუძველზე განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის: სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა, ფარული ვიდეო (აუდიო) ჩაწერა და ფოტოგადაღება. პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად ცნობილი გახდა, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილს განზრახული ჰქონდა ტერორისტული აქტის ჩადენა. დანაშაულებრივი განზრახვის თანახმად, ტერორისტული აქტის ჩადენა იგეგმებოდა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი პირველი მოადგილის, იოსებ გოგაშვილის მამის საფლავზე იოსებ გოგაშვილისა და მისი თანმხლები პირების მისვლის დროს, რასაც მოჰყვებოდა მათი და სხვა მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფა“.

ამ განცხადების შემდეგ ბევრმა ჩათვალა, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილსა და მის ძმისშვილ მორის მაჩალიკაშვილს დაუყონებლივ დააკავებდნენ. მორის მაჩალიკაშვილს, სუს-ის ინფორმაციით, „უნდა დაედგინა იოსებ გოგაშვილის საცხოვრებელი მისამართები, გადაადგილების მარშრუტები“ და ა.შ. სწორედ მას ესაუბრებოდა მალხაზ მაჩალიკაშვილი სუს-ის მიერ გამოქვეყნებულ ფარულ ჩანაწერში. საინტერესოა, რომ პარლამენტის ვიცესპიკერმა **ირმა ინაშვილმა** იმავე დღეს განაცხადა: **„თუ დღეს გავრცელებული ჩანაწერების ავთენტურობა დამტკიცდება და ეჭვქვეშ რომ იყოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განცხადებას არ გაავრცელებდა, მაშინ საქმე გვაქვს მძიმე დანაშაულთან. ეს მოულოდნელი არ იყო, რადგან საუბარია არაერთ ფაქტზე, რომელიც ხსნიდა და ადასტურებდა საქართველოში ტერორისტული ჯგუფის საქმიანობას. ვფიქრობ, მაჩალიკაშვილს დააკავებენ. ვფიქრობ, რომ პარლამენტის წინ კარვებიც მშვიდობიანად უნდა აიკეცოს“.**

მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და მაჩალიკაშვილი არ დააკავეს, არც ბრალი წარუდგინეს. 10 მაისს ის მოდულის შენობაში გამოკითხვაზე მივიდა, რომელიც დაახლოებით შვიდ საათს გაგრძელდა. იმავე დღეს პანკისის ხეობაში მისი მხარდამჭერი აქცია გაიმართა. შეიქმნა ფრიად უცნაური სიტუაცია: ერთი მხრივ, ხელისუფლების პირველი პირები, მათ შორის პრემიერმინისტრი, აცხადებდნენ, რომ „სუს-მა უმძიმესი დანაშაულის პრევენცია შეძლო“, მაგრამ, ამასთანავე, რამდენიმე დღის განმავლობაში მთავარი ფიგურანტისთვის ბრალი არ წარუდგენიათ, არ დაუკავებიათ. ბევრისთვის გაუგებარი შეიქნა, რისთვის დასჭირდა სუს-ს ფირის გამოქვეყნება და ამხელა სკანდალის ატეხვა. ამის გამო საზოგადოებაში კითხვები გაჩნდა: **შეიძლება თუ არა საუბარი ტერორიზმზე და 323-ე მუხლზე, საერთოდ?** არსებობს თუ არა ტერაქტის მომზადების დამაჯერებელი მტკიცებულებები, თუ საქმე მხოლოდ გამწარებული, შვილმკვდარი მამის ემოციურ მონოლოგთან გვაქვს?

ეჭვი ფართოდ და სწრაფად გავრცელდა. ამის მთავარი მიზეზია სამართალდამცავი ორგანოების (და ზოგადად, ხელისუფლების) დაბალი ავტორიტეტი და მოსახლეობის დიდი ნაწილის უნდობლობა მათ მიმართ.

ჩანაწერის ხმაურიანი გასაჯაროება შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ხელისუფლებას მალხაზ მაჩალიკაშვილის დისკრედიტაცია სურს. ამასთანავე, საზოგადოების ყურადღების გადატანა შვილის (სპეცრაზმელების მიერ მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის) საქმიდან მისი მამის, მალხაზ მაჩალიკაშვილის, საქმეზე. ეს ამ ეტაპზე ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც, ვინაიდან „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პროპაგანდისტები მედიასა და სოცქსელებში შესაბამის მესიჯებს მთელი კვირის განმავლობაში ავრცელებდნენ. საგულისხმოა, რომ პანკისის ხეობაში ამ პროპაგანდამ შედეგი ვერ გამოიღო — ადგილობრივებმა მალხაზ მაჩალიკაშვილს მხარდაჭერა გამოუცხადეს. საერთოდ, ბევრმა როდი შეამჩნია, რომ **ბოლო თვეების განმავლობაში თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობის გამოძიება პანკისელი ქისტებისთვის ღირსების საქმედ იქცა, ისე, როგორც თავის დროზე თბილისელთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ღირსების საქმე გირგვლიანის მკვლელობის გამოძიება გახდა. იმას, რომ ეს საქმეები ერთმანეთისგან განსხვავდება, განხილულ კონტექსტში მნიშვნელობა არ აქვს.**

ჩანაწერის გავრცელებიდან რამდენიმე დღეში ხელისუფლებამ საინფორმაციო ინიციატივა დაკარგა და ცხადი შეიქნა, — მაჩალიკაშვილი რომც დაიჭირონ, მაინც მოუწევს თავის მართლების რეჟიმში გადასვლა.

ხელისუფლების საინფორმაციო კამპანია 100%-ით წარმატებული არ იყო. ამის მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, ისაა, რომ ყველას როდი შეუძლია, სუს-ის უფროსის ყოფილ მოადგილე სოსო გოგაშვილში უდანაშაულო მსხვერპლი დაინახოს (ეს მკაფიოდ აისახა სოცქსელებში). გოგაშვილის სახელს უამრავი ბრალდება და ნეგატიური ინფორმაცია უკავშირდება. ყველას ახსოვს სიუჟეტები უძრავ ქონებაზე, რომელსაც მისი ნათესავები ფლობენ, ბრალდებები ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების შევიწროებაზე, ხოლო მალხაზ მაჩალიკაშვილი სწორედ მას ადანაშაულებს იმ ოპერაციის დაგეგმვაში, რომელსაც მისი შვილი ემსხვერპლა.

მნიშვნელოვანია, რომ ეს მოვლენები პანკისში მომხდარი არეულობის შემდეგ განვითარდა. ხელისუფლების გაუაზრებელ ქმედებებს ჰესის მშენებლობის მიმართ („როგორც ჩანს, არასაკმარისი ანალიზი იყო გაკეთებული“, — განაცხადა გასულ კვირას შს მინისტრმა **გიორგი გახარიამ**), მოჰყვა ადგილობრივი მცხოვრებლების ჯგუფური თავდასხმა პოლიციელებზე, რომლის შედეგად, ორივე მხრიდან რამდენიმე ათეული ადამიანი დაშავდა. ადგილობრივი მოსახლეობა კატეგორიულად მოითხოვდა, ამ მოვლენებში მონაწილე პირები არ დასჯილიყვნენ და შსს სიტუაციის შემდგომ გამწვავებას მოერიდა. ამის შემდეგ არაერთმა კომენტატორმა შენიშნა, რომ ხელისუფლება ამ კონკრეტულ ეპიზოდში დამარცხდა და გამორიცხული არ არის, რომ ამან „ქართული ოცნება“ სიმბოლური რევანშის აუცილებლობაზე დააფიქრა. შესაძლოა, მალხაზ მაჩალიკაშვილის მისამართით (ამ ფორმით) გამოთქმული ბრალდებების უკან ეს ქვეტექსტიც იდგა.

კიდევ რამდენიმე მსგავსი ეპიზოდი და პანკისის ხეობაში მუდმივი დაძაბულობის კერა გაჩნდება. საინფორმაციო სივრცეში უკვე გაჩნდა საგულისხმო დაყოფა — „ჩვენ — ისინი“; კეთდება კომენტარები, რომლებშიც აქცენტი გადატანილია ეთნიკურ წარმომავლობაზე, რელიგიაზე და ა.შ. ეს ძალზე საშიში ტენდენციაა.

ხელისუფლებას, როგორც ჩანს, არ ძალუძს იმის გააზრება, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის „გადაგორება“ და მეორე პლანზე გადაწევა არ გამოვა. მიუხედავად იმისა, რომ იმ აქციებს, რომლებსაც მამამისი მართავს, დიდი მასშტაბი არ აქვს (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მასში **ზაზა სარალიძე** არ მონაწილეობს), ის მაინც რჩება მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც გავლენას ახდენს პანკისის მცხოვრებთა დამოკიდებულებაზე ხელისუფლების მიმართ და მის იმიჯს ზიანს აყენებს.

ძნელი წარმოსადგენია, რამ შეიძლება შეცვალოს სიტუაცია უკეთესობისკენ საპარლამენტო და, ამასთანავე, საზოგადოებრივი კომისიის შექმნის გარდა (ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის გამოძიებამ აჩვენა, რომ ცალკე აღებული საპარლამენტო კომისია დამაკმაყოფილებელ შედეგს, სავარაუდოდ, ვერ მიაღწევს). ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება, რომელიც არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ, როგორც ჩანს, საზოგადოებასაც არ აქვს. ფიქსირდება მხოლოდ რაღაც ზოგადი სურვილები, რომლებიც გააზრებულ და თანმიმდევრულ მოქმედებას არ წარმოშობს.

**ხელისუფლების პირველი პირები, როგორც ჩანს, აცნობიერებენ, რომ მოსახლეობა მათ შინაგან სისუსტეს გრძნობს და ნებისმიერ სიტუაციაში გამუდმებით იმეორებენ, რომ „ყველა დამნაშავე პასუხს აგებს, კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება“ და ა.შ. ამ რიტუალურმა ფორმულებმა ძალა, დიდი ხანია, დაკარგა მას შემდეგ, რაც ძველი რეჟიმის ასობით წარმომადგენელი, რომლებიც ბიზნესმენებს ქონებას ართმევდნენ, არჩევნებს აყალბებდნენ თუ მომიტინგეებს სცემდნენ, არა მხოლოდ არ დაისაჯა, ხშირ შემთხვევაში დაწინაურდა კიდეც. ყველამ დაინახა, რომ უბრალო მოქალაქისთვის მოქმედებს ერთი კანონი, ხოლო ხელისუფლებასთან დაახლოებული პირებისთვის, მაგალითად, ოთარ ფარცხალაძისთვის — მეორე.** ასეთ ვითარებაში გამორიცხულია, მოქალაქეების უმრავლესობა სამართალდამცველებს „სიტყვაზე ენდოს“.

„ჩემიანებს — ყველაფერი, დანარჩენებს — კანონი“ — ამ ფრაზას ხან **მუსოლინის** მიაწერენ, ხან — **ფრანკოს**. ეს არსებითად ფაშისტური პრინციპი, დიდი ხანია, დამკვიდრდა და, ვიდრე მას კანონის უზენაესობა არ შეცვლის, საქართველო ჩამორჩენილ, შეუმდგარ სახელმწიფოდ დარჩება.

**დიმიტრი მონიავა**

თაჩილი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უკვდავი პოლკი“ კარგი ტერმინია, ლიბერალები ნუ გაგიჟდებიან იმის გამო, რომ რუსებმა მოიგონეს. ეს ღონისძიება ჩატარდა ყველგან, მათ შორის, ამერიკაში და იქ ამის გამო დისკომფორტი არავის ჰქონია. საქართველოს ლიბერალების პარპაში მალე დასრულდება, ელისაშვილებისა და მისთანების დრო მალე დასრულდება. ისინი ჩვენ, ისტორიის დამცველებს, ვერაფერს დაგვაკლებენ, მადლობა თქვან, რომ თბილისში თავისუფლად დადიან.**

# დიდ სამამულო ომში გამარჯვებულების ღირსეული მემკვიდრეები

**2011 წელს საქართველომ საბჭოთა სიმბოლოების გამოყენება აკრძალა. თავისუფლების ქარტია ოფიციალურად გია თორთლაძის პირმშოდაა ცნობილი. „ის პატრიოტთა აქტისა და ლუსტრაციის კანონის ერთგვარ შერწყმას წარმოადგენს“, — ნათქვამია ოფიციალურ დოკუმენტში.**

2010 წლის შემოდგომიდან, ანუ პირველი მოსმენით განხილვიდან მესამე მოსმენამდე კანონპროექტში გარკვეული ცვლილებები შევიდა.

ამ კანონის თანახმად, საქართველოში, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან (და არა პრეზიდენტთან, სახელმწიფო კომისიის ფორმით, როგორც ეს თავიდან იყო გათვალისწინებული) შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ორი ძირითადი ფუნქცია აქვს. ერთი მათგანი სიმბოლოებთან არის დაკავშირებული. ის „საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩებისა და მოედნების დასახელებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ითვალისწინებს“. მეორე ფუნქციაა ინფორმაციის შეგროვება საჯარო თავშეყრის ადგილების შესახებ, რომლებიც საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიისა და პროპაგანდის ელემენტებს თუ მათი იდეოლოგიის ლიდერთა სახელწოდებებს მოიცავს. მათი აღმოფხვრის მიზნით კომისია ღია ან დახურულ სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას. ეს კანონი არ მოქმედებს კერძო სფეროში, შესაბამისად, არ გულისხმობს სსრკ-ს წარწერიანი მაისურის ჩამცმელის დაპატიმრებას ან იმ კერძო ეზოს მეპატრონის დასჯას, რომელსაც სახლში სტალინის ბიუსტი უდგას და ბელადის სადღეგრძელოს სვამს. გარდა გარეგნულ-სიმბოლური ეფექტისა, კომისიას ადამიანურ ფაქტორთანაც ექნება შეხება. იმ პირთა შესახებ, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ან თანამშრომლობენ სპეცსამსახურებთან, კომისია მონაცემებს აგროვებს და შესაბამის რეესტრს აწარმოებს. ამ ე.წ. პადოშას კანონის გამო ყოველ წელიწადს დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობის მსურველ მოქალაქეებს პრობლემა ექმნებათ. გამონაკლისი არც წელს ყოფილა. 9 მაისს ვაკის პარკში საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც სურდა, რომ პატივი მიეგო დიდ სამამულო ომში დაღუპული მეომრების ხსოვნისთვის, პოლიციის დაცვა დასჭირდათ, თუმცა ღონისძიება, რომელიც დაგეგმილი იყო, მაინც გაიმართა, თანაც გრანდიოზულად. ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „საქართველოს უკვდავი ჯარის“ აქციის რამდენიმე ორგანიზატორი გვესაუბრება.

## „წითელი დროშები დაგვიწუნეს, სულელური კანონი მიიღეს და გადაწყვიტეს სიმბოლოების აღკვეთა ვიღაცა „პადოშას“ გამო, რაც არ არის კარგი და სწორი“

**გულბაათ რცხილაძე, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— „საქართველოს უკვდავი ჯარის“ მსვლელობას, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ, დადებითად ვაფასებ. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ვაკის პარკში ჩვენ გვერდით იდგნენ და პატივი მიაგეს დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომრებს. აგრეთვე, მადლობას ვეუბნები მსვლელობის ყველა მონაწილეს იმისთვის, რომ პროვიკაციებს არ შეუშინდნენ, რადგან წინა დღეებში საქართველოში არსებული ყველა ტელეარხი ისეთ სურათს ხატავდა, თითქოს იქ ჯოჯოხეთი იქნებოდა. ამის მუხედავად, საკმაოდ ბევრი ადამიანი მოვიდა ჩვენ მიერ დაგეგმილ ღონისძიებაზე. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ ამ ადამიანებს არანაირი მატერიალური დაინტერესება არ ჰქონიათ, ჩვენმა აქციამ ჩაიარა ლამაზად და მშვიდად. ჩვენ გვერდით იყო პოლიციაც, მათ მხოლოდ რამდენიმე ადამიანის იზოლაციაში მოქცევა მოუწიათ; მყვირალა ხალხიც კი, ვინც ჩვენ წინააღმდეგ იყო განწყობილი, ცხვრებივით იდგა და მხოლოდ „ბე, ბე, ბეე“-ს გაჰყვიროდა. მთავარი შედეგი იყო ის, რომ „საქართველოს უკვდავი ჯარის“ მსვლელობაში მონაწილეობდა მართლმადიდებელი სასულიერო პირი. დარწმუნებული ვარ, მალე დიდ სამამულო ომში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდის გადახდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა მოქმედ ტაძარში აუცილებელი გახდება.

გარდა ამისა, საქართველოში პატრიოტული სულის ასამაღლებლად და გმირი წინაპრებისადმი პატივისცემისა და ხსოვნის გასაძლიერებლად დავამზადეთ საბჭოთა კავშირის გმირი ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ფოტოებიანი ბანერები, მათი სახელ-გვარებითა და დაბადება-გარდაცვალების (დაღუპვის) წლების მითითებით. ეს ბანერები, თბილისის მერიის ნებართვით, დავდგით ვაკის



პარკში, უცნობის ჯარისკაცის საფლავთან. ბანერებმა ვაკის პარკის სტუმრების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მერიასთან შეთანხმებით, ბანერები ადგილზე 26 მაისის (დამოუკიდებლობის დღის) ჩათვლით დარჩება.

ვულოცავ ყველა პატრიოტს 9 მაისს და იმას, რომ ღირსეულად ჩავატარეთ ეს დღე. **ჩვენ მოვახერხეთ, გაგვეტანა საქართველოს ფარგლებს გარეთ ამბავი, რომ დიდ სამამულო ომში გამარჯვებულების ღირსეული მემკვიდრეები ვართ. ყველას დავანახვეთ, რომ ქართველებმა არა მხოლოდ სადღეგრძელოები ვიცით, არამედ ვართ შთამომავლები მეომარი წინაპრებისა, რომლებსაც პატივს მივაგებთ, და ბრძოლის შნო და განწყობაც არ დაგვიკარგავს. ამ ღონისძიების მიზანიც ეს იყო და ეს გავაკეთეთ.** ჩვენი „მესიჯი“ გავგზავნეთ ყველგან, მათ შორის, რუსეთშიც.

**— 9 მაისის ღონისძიებას ვაკის პარკში მეც ვესწრებოდი, ჩემი თვალით ვნახე, იქ რაც ხდებოდა. სიმართლე გითხრათ, მომეჩვენა, რომ ქართველი საზოგადოების ლიბერალური ნაწილი აგონიაშია, სულს ლაფავს...**

— გეთანხმებით. აგონიაში ნამდვილად არიან, არ მოველოდი ლიბერალების ასეთ განწირულ რეაქციას, ისინი მართლაც სულს ღაფავენ. კარგად ხედავენ, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ჯანსაღია; ხედავენ, რომ ისტორია ქართველების უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია და ეს ისტორია ყველამ კარგად იცის. მათი მხრიდან მისი დამახინჯების დიდი მცდელობის მიუხედავად, ჩვენი ღონისძიების შემდეგ სოციალურ ქსელში ბევრი რამ წავიკითხე, მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩვენი მხარდამჭერი იყო, ხოლო ლიბერალებით — ფრიად უკმაყოფილო.

არიან ადამიანები, რომლებსაც საქართველო სათარეშო ადგილი ჰგონიათ. ერთერთი ასეთი პერსონაჟი (უცნაური წვერით) ტელეეთერში გამოვიდა და განაცხადა: ჩემს ეზოში ვიღაც რომ შემოვიდეს და თავისი წესები დაამყაროს, ამას როგორ შევეგუებიო. სამწუხაროდ, ასეთ ადამიანებს საქართველო თავისი ეზო ჰგონიათ. ასეთებს სურთ, თავიანთი ეზო, ანუ საქართველო ცისარტყელას ფერებში გადაღებონ. არ გამოუვათ ეს.

ჩვენ ჩავატარეთ 9 მაისის ღონისძიება, მაგრამ მეტი აქტიურობაა საჭირო, შორიდან ყურება არ არის საკმარისი და მერე დადებითად შეფასება შორიდან ნანახის. კომპიუტერებს უნდა მოვშორდეთ, ჩვენი ოჯახის წევრების ფოტოები დავიკავოთ ხელში, ადამიანების, რომლებმაც დიდ სამამულო ომში გაიმარჯვეს, და ღონისძიებას დავესწროთ ყველანი.

წითელი დროშები დაგვიწუნეს, სულელური კანონი მიიღეს და გადაწყვიტეს სიმბოლოების აღკვეთა ვიღაც „პადოშას“ გამო, რაც არ არის კარგი და სწორი. მე მკითხეს — რატომ უკვდავი ჯარი? — მათ ვუპასუხებ: ვინმემ უკეთესი შემოგვთავაზა? ხელისუფლება დადის 9 მაისს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე და გვიხარია. ვაი, ჩვენს პატრონს... კარგია, რომ 17 მაისს არ მიდიან იქ... შემოგვთავაზოს ხელისუფლებამ „უკვდავი ჯარის“ მაგივრად უკეთესი რამ, არ ვგულისხმობ „ცხვარსა და ოცლიტრიანს“ და ჩვენც აღვნიშნავთ ისე, როგორც იტყვიან...

ტერმინი „უკვდავი პოლკი“ კარგი ტერმინია, ლიბერალები ნუ გაგიჟდებიან იმის გამო, რომ რუსებმა მოიგონეს. ეს ღონისძიება ჩატარდა ყველგან, მათ შორის, ამერიკაში და იქ ამის გამო დისკომფორტი არავის ჰქონია. საქართველოშიო ლიბერალების პარპაში მალე დასრულდება, ელისაშვილებისა და მისთანების დრო მალე დასრულდება. ისინი ჩვენ, ისტორიის დამცველებს, ვერაფერს დაგვაკლებენ, მადლობა თქვან, რომ თბილისში თავისუფლად დადიან.

## „9 მაისს წითელი დროშებით მივედით ვაკის პარკში და ამით ულტრალიბერალების წინააღმდეგ გავილაშქრეთ. ჩვენ მათზე მორალურად გავიმარჯვეთ“

**თემურ ფიფია, ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი:**

— ლიბერალებმა გამოჭამეს საკუთარი თავი, მათი დომინირების ყველანაირი რესურსი ამოწურულია. 9 მაისს წითელი დროშებით მივედით ვაკის პარკში და ამით ულტრალიბერალების წინააღმდეგ გავილაშქრეთ. ჩვენ მათზე მორალურად გავიმარჯვეთ. ასე მგონია, 10 მაისს საქართველოში უკვე სხვანაირად გათენდა. 9 მაისს ჩვენ წერტილი დავუსვით ულტრალიბერალების თარეშს.

კმაყოფილი ვარ ჩვენ მიერ ჩატარებული ღონისძიებით, მიუხედავად იმისა, რომ დამაპატიმრეს. ეროვნული ძალები გავერთიანდით, ჯანსაღი ძალები შევიკრიბეთ, ერთიანობა ვაჩვენეთ ლიბერალებს, მორალურად ძლიერი ვიყავით.

**ლიბერალიზმი და კანონი, რომელიც კომუნისტური სიმბოლოების წინააღმდეგ მიიღო საქართველომ, ფაშიზმის გაბატონების მხარდაჭერაა. ამ კანონის მოქმედებამ აკრძალა გამარჯვების დროშის მიტანა გამარჯვების პარკში, სადაც, ჩვენდა საბედნიეროდ, დღესაც მიდის საქართველოს ხელისუფლება.** მთავრობა დილემის წინაშე დგას, ორჭოფობს, ფაშისტების მესმის, მაგრამ ჩვენი მთავრობისა — არა. სამწუხაროდ, როგორი მთავრობაც უნდა მოვიდეს დღეს ხელისუფლებაში, გარეშე ძალების ზეწოლას ვერ გაუძლებს და ყოველთვის ასეთ ორმაგ თამაშს ითამაშებს — მივლენ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე და „უკვდავ პოლკს“ არ აღიარებენ, არ აღიარებენ დროშას, რომელიც ჩვენმა თანამემამულე **მელიტონ ქანთარიამ** გამარჯვების ნიშნად ბერლინის თავზე აღმართა. მთავრობა ვერ უწევს წინააღმდეგობას ლიბერალ-ფაშისტებს, რადგან თვითონაც ამ სისტემის ნაწილია. საქართველოში ლიბერალების თარეში მალე დასრულდება. 9 მაისს ვაკის პარკში მყოფმა ყველა ადამიანმა ნათლად დაინახა, რომ ლიბერალები სულს ღაფავენ, მსოფლიოს ლიბერალები კრიზისში არიან, მსოფლიო ავად არის და ასე დიდ ხანს ვერ გაგრძელდება, ავადმყოფობა გაივლის, მსოფლიო გამოჯანმრთელდება, მათ შორის, საქართველოც.

*მოამზადა*
**ეკა ნასყიდაშვილმა**







რელიგია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 14 მაისს ქრისტეს ეკლესია აღნიშნავს თამარობას — იხსენიებს წმინდა კეთილმსახურ მეფე თამარს

**დავით აღმაშენებლის მიერ დაწყებული საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობის დიადი საქმე თამარ მეფემ (1184-1213) დააგვირგვინა. სრულიად საქართველოს ბრძნული საჭეთმპყრობელობითა და შორსგამჭვრეტელი პოლიტიკით თამარმა თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში ბრწყინვალედ მართა ქვეყანა, რომელიც დავითის დაუღალავი მკლავით, დიდი ჭკუით, მხნეობითა და სამაგალითო მამაცობით იყო შექმნილი და ეს ხელთუქმნელი ნაგებობა ქალის სიბრძნითა და ნებისყოფით დაასრულა. ეკლესიამ თამარის ცხოვრება მენელსაცხებლე დედათა ღვაწლს გაუტოლა და წმინდანთა დასში კანონიზირებისას სწორედ მენელსაცხებლე დედათა ხსენების დღეს დააწესა მისი ხსენება (აღდგომიდან მესამე კვირას) და ასევე, მაისის პირველ დღეს — ახალი სტილით 14 მაისს.**

**ამ ხანის პოლიტიკურ და სოციალურ მოძრაობაზე, საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლაზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკასა და საქართველოს მახლობელი აღმოსავლეთის მოწინავე სახელმწიფოდ ქცევაზე მოგვითხრობს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „მეფეთმეფე თამარი“, რომლის შემოკლებულ ვარიანტს აქვე ვთავაზობთ მკითხველს.**

# მეფეთმეფე თამარი



დავით აღმაშენებლის მეფობითგან მოყოლებული საქართველო ისეთი სისწრაფით გაიზარდა და იმდენად დიდ სახელმწიფოდ იქცა, რომ მისი მესაჭეობა კარგად გამოცდილსა და გამობრძმედილი სახელმწიფო მოღვაწისათვისაც-კი ძნელი განსაგებელი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს ძნელი იქნებოდა ნორჩი ქალისათვის, რომელსაც მხოლოდ ექვსი წლის გამოცდილება ჰქონდა...

ეტყობა, თვით დარბაზის წევრთა შორისაც-კი საცილობლად იყო ქცეული თამარის საქართველოს ერთადერთ მეფედ დასმის მიზანშეწონილობა.

**...სახელმწიფო დარბაზის დასტურის მიღების უმალ, თამარი საქართველოს მეფეთ-მეფედ იქნა კურთხეული და როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მესაჭე სამეფო ტახტზე ავიდა.**

**...ეხლა-კი, როდესაც სამეფო ტახტზე მამაკაცის მაგიერ უკვე ნორჩი ქალიშვილი იჯდა, როცა იმავე დროს კათალიკოს-პატრიარქთან შებრძოლების დროს მას მარცხიც მოუვიდა, დიდგვარიან აზნაურ ხელისუფლებმა გადასწყვიტეს, რომ მათ უკვე დრო დაუდგათ და წინანდელი უპირატესობის დასაბრუნებლად სრული საშუალება მიეცათ. ეს მოხელეები გაიფიცნენ და თამარ მეფეს კოლექტიური განცხადება წარუდგინეს, რომელშიც აღნიშნული ჰქონდათ, რომ ამიერითგან ისინი უგვარო და უხამსი ხელისუფლების ბრძანებასა და განკარგულებას, რომელთა ხელქვეშეთაც ეს მსახურეული და ძველი საგვარეულობის წარმომადგენლების შვილები იმყოფებიან, აღარ დაემორჩილებოდნენ.**

**...ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის მონათხოვნი, მოკლედ რომ გამოისახოს, იმაში მდგომარეობდა, რომ მეფეს კანონმდებლობითი ხელისუფლება უნდა ჩამორთმეოდა და მთლიანად ამ ახალ დაწესებულებას უნდა გადასცემოდა. მეფეს ისინი მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას უტოვებდნენ.**

...მეფეცა და მისი მრჩევლები განცვიფრდნენ, როდესაც გაიგეს, რასაც ეს დასი თხოულობდა. თამარი უმალ მიხვდა, რომ მისი ასრულება მეფის ხელისუფლების თითქმის მოსპობას უდრიდა. სახელმწიფოს იმდროინდელ მესვეურთა რჩევით, თამარმა განკარგულება გასცა, რომ ამ პოლიტიკური დასის მეთაური დაეჭირათ. ...ყუთლუ-არსლანის დაჭერის უმალ, მისი თანამოაზრენი კვლავ შეიკრიბნენ და ხელმეორედ ფიცის წიგნი დასდეს, რომ მათ მეფეს გადაჭრით თავიანთი მეთაურის, ყუთლუ-არსლანის, უვნებლობა და განთავისუფლებაც მოსთხოვონ და იმ პოლიტიკური მონათხოვნის ასრულებაც, რომელიც წინათ ჰქონდათ წარდგენილი. ...ამგვარად, **ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ საქმე სამხედრო ძალას უნდა გადაეწყვიტა. ესოდენ პასუხსაგებ დროს თამარმა ბრძნული წინდახედულობა გამოიჩინა და თავის ჩვეულებრივ მრჩევლებს ორი გამოჩენილი ქართველი მანდილოსანი ამჯობინა, რომელნიც სიბრძნითა და გავლენიანობით იყვნენ ცნობილნი მაშინდელ საქართველოში: ამ უთანხმოებისა და განხეთქილების მშვიდობიანად მოგვარება მათ დაავალა.** ყუთლუ-არსლანის აჯანყებულ პოლიტიკურ დასს მოსალაპარაკებლად თამარმა **კრავაი ჯაყელი**. დედა სამძივართა, და **ხვაშაქ ცოქალი**, დედა ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატისა, მიუგზავნა. **ამ ორმა მანდილოსანმა უაღრესად პასუხსაგები პოლიტიკური დავალებისა და კონფლიქტის მოგვარება მოახერხეს.** შეთანხმება ურთიერთ დათმობით გახდა შესაძლებელი.

...ამგვარად, თამარ მეფემ დარბაზის თანადგომის, ე.ი. სახელმწიფოს საქმეების განხილვა-გადაწყვეტის მონაწილეობის უფლება აღიარა, მაგრამ სამაგიეროდ უარყო, რომ მეფეს ამ დადგენილების ასრულების გარდა სხვა აღარვითარი ხელისუფლება არ ჰქონოდა: თავისთვის მან დამტკიცების უფლება შეინარჩუნა. მართლაც, **ამ დროითგან მოყოლებული, ქართულ საისტორიო წყაროებში ყოველ ცნობას დიდი თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ ისეთი გამონათქვამები ახლავს, რომელთა კვალი წინანდელ საისტორიო ძეგლებში არსად ჩანს: ასეთ შემთხვევაში უკვე ნათქვამია ხოლმე „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა შვიდთავე სამეფოთა“ თამარმა დაამტკიცაო ესა და ეს პირიო.**

...უეჭველია, აქ იმავე მოძღვრებისა და იმავე პროგრამის ანარეკლი გვაქვს, რომელთაც XI საუკუნეში ქართული მონასტრების მონარქიული წესწყობილება რესპუბლიკურ წესწყობილებად შეცვალეს.

ამგვარად, ამიერიდან საქართველოს მეფეთ-მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის თანდგომითა და ერთნებობით იყო შეზღუდვილი.

ამ შეთანხმებამ საქართველოს ხანგრძლივი პოლიტიკური მყუდროება მიანიჭა. ...შეთანხმების შემდეგ, ახლად შემოღებული წესის თანახმად, თამარ მეფემ ისეთი პირები დაამტკიცა ვაზირებად და მათ თანაშემწეებად, რომელნიც თამარის მამის, გიორგი III-ის, გაზრდილნი ანდა შეზრდილნი იყვნენ...

ზემოაღნიშნულ მნიშვნელოვან სახელმწიფო პრობლემის მოგვარების შემდგომ, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურთა საზრუნავს თამარისათვის ქმრის მოძებნა წარმოადგენდა, რადგანაც მას, როგორც ქალს, არ შეეძლო საქართველოს ჯარის მთავარსარდლობა ეკისრა, როგორც ამას, ჩვეულებრივ, მეფეები ასრულებდნენ.

იმ დროს მეფის პირად მონაწილეობას ომში ფრიად დიდი გამამხნევებელი მნიშვნელობა ჰქონდა. 1185-86 წლებში, სახელმწიფო დარბაზის წევრთა გადაწყვეტილებით, რუსეთიდან ჩამოყვანილი იყო უფლისწული **გიორგი რუსი**, რომელთანაც ქორწინება მოხდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც უარყოფითი მხარეები გამომჟღავნდა, ის საქართველოთგან გააძევეს. ...1189 წელს თამარისათვის საქმროდ ოსთა მეფის შთამომავალი, დედით ქართველ მეფეთა, ბაგრატიონთა ასულის შვილი **დავით უფლისწული** იყო დასახელებული. ...1190-91 წლებში გიორგი რუსმა, უეჭველია, დიდგვარიან აზნაურებთან წინასწარ შეთანხმებით, დაკარგული ხელისუფლებისა და საქართველოს მეფეთ-მეფის ქმრობის კვლავ დაბრუნება სცადა. ...გიორგი რუსი ჯერ **მესხეთის** თემში შემოიჭრა, შემდეგ-კი იქითგან დასავლეთ საქართველოში გადაიყვანეს და **გეგუთში** მეფედ დასვეს. ...თამარმა გიორგი რუსი კვლავ გააძევა, აჯანყებაში გარეულ ყველა მომხრეებს-კი თანამდებობა ჩამოართვა.

...1192-93 წ. თამარის პირმშო ვაჟიშვილი **გიორგი-ლაშა** დაიბადა. ამის აღსანიშნავად ლაშქრობა იყო მოწყობილი ერთი მხრით არზრუმის, კარნუ-ქალაქის მიმართულებით და მეორე მხრით საქართველოს არეზის სანაპიროებისაკენ.

...როდესაც გიორგი III გარდაიცვალა და სამეფო ტახტზე ნორჩი ქალიშვილი თამარი ავიდა, ყველა მეზობელს ეგონა, რომ ეხლა-კი სამაგიეროს გადახდის დრო დაუდგათ, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდათ; საქართველოს სამხედრო ძლიერება ოდნავადაც არ შესუსტებულა... **თამარს ხასიათის დიდი სიმტკიცე და მამაცური ნებისყოფა ჰქონდა; ქვეყნის მესაჭეობასაც კარგად ახერხებდა, იმისდა მიუხედავად, რომ მას მაინც-და-მაინც საშუალება არ ჰქონდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეებში ხანგრძლივი გამოცდილება მოეპოვა...**

ერანის აზერბაიჯანის ამირთ-ამირას ყიზილ-არსლანის ათაბაგის შვილი აბუ-ბაქრ ათაბაგი 1192 წელს შირვანს შეესია... 1195 წელს შანქორთან დიდი და სისხლისმღვრელი ბრძოლა მოხდა, რომლის დროსაც მტერი საშინლად დამარცხდა... მერმე ქართულმა მხედრობამ განძაზედაც გაილაშქრა... მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად, განძის მმართველის სახლეში დიდი დარბაზობა გადაიხადა.

...საქართველოს სამხედრო ძლიერება ამ დროითგან მოყოლებული თანდათან სულ უფრო და უფრო მატულობს. მისი სამხედრო მოქმედების ასპარეზად საქართველოს სამხრეთით და დასავლეთით მდებარე სანაპიროები იქცნენ. 1196 წ. გელაქუნი და ამბერდი იყო აღებული. 1201 წელს ბიჯნისი იქნა შემოერთებული. რაკი აბუბექრ ათაბაგი მაინც წინანდებურად არ ისვენებდა, მის დასასჯელად კვლავ იყო ლაშქარი გაგზავნილი და 1203-1204 წ. სამხედრო მოქმედება დვინამდის და მის სანახებამდის წარმოებდა.

ამავე ხანაში დასავლეთის თურქობამაც დაიწყო იერიშის მოტანა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის თემების წინააღმდეგ. ამიტომ მათ ასალაგმავად და გასანადგურებლადაც საქართველოთგან გაგზავნილი იყო ჯარი, რომელმაც გაიარა პალაკაციო, არტაანი და სხვა თემები, დაიპყრო ხახული, ოშკი და ბანა.

**1204 წელს თამარი იძულებული გახდა საქართველოს სამხედრო მოქმედება უფრო შორეულ მანძილზედაც-კი გადაეტანა.** უცხოეთითგან ჩამოსულ ქართული სავანეების წარმომადგენლებს თამარ მეფემ 1204 წელს დიდი ქონებრივი შეწირულობა გადასცა, მაგრამ უკან დაბრუნებისას ამ მონასტრების წარმომადგენლებს ბიზანტიის კეისარმა ეს ფული ჩამოართვა და დაისაკუთრა. ასეთი გაუგონარი საქციელისა და კადნიერების დასასჯელად თამარმა საქართველოს მხედრობა წარგზავნა და ბიზანტიის სახელმწიფოს იმ სანაპიროს შეუსია, რომელიც საქართველოს მოსაზღვრე იყო და რომელშიც ქართველთა მონათესავე ლაზებისა და ჭანების ტომები ცხოვრობდნენ.

ამ ლაშქრობის დროს საქართველოს ჯარმა ლაზიკა დაიპყრო, ტრაპიზონი, სამისონი, სინოპი, კერასუნი, კოტიორა აილო და ერაკლიამდის მიაღწია. მთელი ეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო საქართველოს მთავრობამ ბიზანტიას ჩამოართვა და ცალკე საკეისრო შექმნა. ამ საკეისროში მან შთამომავლობით ბერძენი უფლისწული ალექსი კომნენოსი გაამეფა, რომელიც დედის მხრით ქართველ მეფეთა ბაგრატონიანთა მონათესავე და საქართველოში ნამყოფი იყო.

ამნაირად, საქართველოს მეზობლად ამ დროითგან მოყოლებული თვით საქართველოს წყალობითვე შექმნილი საკეისრო გაჩნდა, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომით იყო დასახლებული, პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოებრივობასთან იყო უმჭიდროესად დაკავშირებული.

...მომდევნო, 1204-05 წელს საქართველოს ჯარი ჯერ ხლათში და შემდეგ მანასკერტამდე და არჭეშამდე შლიდა თავის მოქმედებას. 1205 წელს საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა, დაეპყრო ის ერთადერთი სამ უმნიშვნელოვანეს ციხე-ქალაქთაგანიც, რომელიც საქართველოს ჯერ კიდევ შემოერთებული არ ჰქონდა და რომლის ფლობა მას სამხრეთითგან მომავალი გარეშე მტრის საშიშროებისაგან უზრუნველჰყოფდა. თამარმა თავისი ჯარი **კარის** ციხე-ქალაქის ასაღებად წარგზავნა. ...ამრიგად, სამხედრო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის მქონებელი ანისისა და დვინის შემდეგ უდიდეს ციხეთაგანი ეს ციხე-ქალაქი კარიც საქართველოს საზღვრებში მოექცა. ...საქართველოს ამ გამარჯვებით ყველაზე მეტად რუმის **სულტანი რუქნადინი** იყო აღშფოთებული, რომელმაც კარის აღების უმალ მეზობელ ყველა მაჰმადიან სამფლობელოების უფროსებთან გააბა მოლაპარაკება, რომ შეერთებული ძალის საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშქრათ და, არამცთუ კარის ციხე-ქალაქი უკან დაებრუნებინათ, არამედ საქართველოც-კი გაენადგურებინათ.

მოკავშირეებმა რომ 400 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარ ლაშქარს მოუყარეს თავი, რუქნადინმა თამარ მეფეს მუქარითა და უკმეხი გამონათქვამებით სავსე ეპისტოლე გამოუგზავნა, რომელშიც წინადადებას აძლევდა, უბრძოლველად დაჰმორჩილებოდა. ასეთი უკმეხი მომართვის მიღებისთანავე, თამარ მეფემ 1206 წელს ბრძანება გასცა, რომ საქართველოს მხედრობას თავი მოეყარა. **...საქართველოს მხედრობამ რუქნადინთან ბრძოლა მოულოდნელი თავდასხმით დაიწყო.** ...დამარცხებული, შორეულ თემში გახიზნული რუქნადინი მაინც იმედს არ ჰკარგავდა, რომ საქართველოს სამაგიეროს გადაუხდიდა, მაგრამ ამისათვის მზადებაში გარდაიცვალა და განზრახვა აუსრულებელი დარჩა.

1207 წელს თამარის მეუღლე **დავითი გარდაიცვალა** და მის მაგიერ თამარმა სამეფო ტახტზე თანამოსაყდრედ თავისი თორმეტი წლის ვაჟიშვილი **გიორგი ლაშა** აიყვანა. დავითის სიკვდილის მიუხედავად, საქართველოს სამხედრო ძლიერება მომდევნო წლებში არამცთუ შესუსტებულა, არამედ გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა.

1208 და 1209 წელს **არჭეში** იქნა აღებული. ...**1210 წელს საქართველოს ჯარის მხედართმთავარმა, ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა და სხვა მაღალმა ხელისუფლებმა თამარს გეგმა წარუდგინეს, რომ ერანში დიდი ლაშქრობა მოწყობილიყო.**

**...ერანის აზერბაიჯანი საქართველოს ყმადნაფიცად იქცა და ყოველწლიური ხარკის ძლევა იკისრა. ...ეს თამარის მეფობის უკანასკნელი დიდი ლაშქრობა იყო და ამის შემდგომ საქართველოს მშვიდობიანობა გარეშე მტრისაგან დარღვეული აღარ ყოფილა.**

...1213 წელს, ავადმყოფობის შემდგომ, თამარ მეფე გარდაიცვალა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რა არის რადა? მე ვუპასუხებ: რადა, ან უფრო ზუსტად, მისი გენერალური სამდივნო არის მთავრობა სოციალიზმის მოღალატეებისა, რომლებიც მასების მოსატყუებლად თავს სოციალისტებს უწოდებენ, სწორედ ისე, როგორც მთავრობა კერენსკისა და სავინკოვისა, რომლებიც აგრეთვე სოციალისტებს უწოდებენ თავს. რადა, ან უფრო სწორად, მისი გენერალური სამდივნო ბურჟუაზიული მთავრობაა, რომელიც ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებთან შეკავშირებული იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ რადის მთავრობა დამხობილი იქნება უკრაინის მუშებისა და ჯარისკაცების ძალისხმევით“.

# სტალინი და 9 მაისი

**1945 წლის 9 მაისი არ არის კომუნისტური ან რუსული დღესასწაული, ეს არის მსოფლიოს მოწინავე საზოგადოების მიერ აღიარებული საზეიმო დღე, რომლითაც აღინიშნება გერმანული ფაშიზმისგან კაცობრიობის გადარჩენა. განურჩევლად სახელმწიფო წყობისა, რელიგიისა და კანის ფერისა, მსოფლიო 8-9 მაისს ზეიმობს ცივილიზაციის გადარჩენას.**




როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში გამართულ 2019 წლის 9 მაისის საზეიმო ღონისძიებების კოლაჟს ვუყურებდი, სრულიად ნორმალურად მომეჩვენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ყველა შტატში ჩატარდა 9 მაისის საზეიმო ღონისძიებები ომში დაღუპულთა პატივსაცემად, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად. ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში დაღუპულებს პატივი მიაგეს არგენტინაში, ურუგვაიში, პაკისტანში, ინდოეთში, ინგლისში, საფრანგეთსა და მსოფლიოს უამრავ სახელმწიფოში. გამარჯვების დღის ზეიმის აღნიშვნისას არც ერთ ქალაქში ხელისუფლების მხრიდან არ განხორციელებულა მოზეიმეთა შემაფერხებელი მოქმედებები, მათ შორის, არც გერმანიის დედაქალაქ ბერლინში. მოზეიმეთა ხელში თითქმის ყველგან ჩანდა წითელი დროშები ომისდროინდელი სიმბოლიკით, საქართველოში კი...

**რით არის გამოწვეული ის სიმახინჯე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხდება დიდი სამამულო ომის ვეტერანების მიმართ?**

კალატოზი რომ გახდე, ჯერ ქვის მიმწოდებლად უნდა იმუშაო. გუთნისდედობა თუ გინდა, ჯერ თოხით უნდა გადააბრუნო, სახნისის მიერ გადაუბრუნებელი ბელტი, თუ მჭედლობა გსურს, ჯერ ურო უნდა დაარტყა მჭედლის მიერ გრდემლზე გასწორებულ გავარვარებულ რკინას. ყველა სპეციალობამდე მისვლას თავისებური გასავლელი გზა სჭირდება. ყველაზე იოლი „პროფესია“, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში არანაირი გზის გავლა არ სჭირდება, არის „პატრიოტობა“.

თუ „უძველესი პროფესიის“ წარმომადგენელი ხარ, მაგრამ არავის სჭირდები და „სამუშაოს“ მოკლებული ხარ, არსებობს მეორე „პროფესია“ — „პატრიოტობა“. ამისთვის ქუჩაში უნდა გამოხვიდე ან ტელეეკრანზე გამოჩნდე და საათობით ილაპარაკო, რომ პროფესიონალიც ხარ, პროგრესულიც და სამშობლოსთვის თავდადებული მგზნებარე „პატრიოტიც“.

ვაკის პარკის გაშენება ჩემი სტუდენტობის პერიოდში დაიწყო — გასული საუკუნის 50-იან წლებში. იმხანად სტუდქალაქში ვცხოვრობდი და სტუდენტები ხშირად ვატარებდით დროს მშენებარე პარკის ახალდარგულ ხეებსა და ყვავილებში. ამ ადგილს ყველაზე ხშირად სტუმრობდნენ დიდი სამამულო ომის მონაწილეები, რომლებიც რეაბილიტაციას გადიოდნენ — დაჭრილ ფეხებს ავარჯიშებდნენ ან ნატყვიარებს იშუშებდნენ, ამიტომაც დაერქვა მას გამარჯვების პარკი. შემდეგ კი მისი სახელი იმითაც განმტკიცდა, რომ რუსეთის შორეული რაიონიდან იქ გადაასვენეს უცნობი ჯარისკაცის ნეშტი. **ძაძებში გახვეული მრავალი დედა მინახავს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე დამხობილი — თავისი შინმოუსვლელი შვილის საფლავად თვლიდა ამ ადგილს.**

სანამ ქვეყანა ქვეყანას ჰგავდა, თბილისის გამარჯვების პარკი 9 მაისს მართლაც და გამარჯვებისა და ზეიმის ადგილად იყო გადაქცეული. 9 მაისი იყო ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელი პირველი მდივნის — **ვასილ მჟავანაძისთვის** ზეიმის, სიხარულის, თავის თანამებრძოლებთან დროსტარებისა და სამახსოვრო ფოტოების გადაღების დღე; შემდეგი 9 მაისი, დღე იმ ვეტერანების მოგონებისა, რომლებიც ერთი წლის შემდეგ 9 მაისს ველარ დაესწრნენ. **ასე გაგრძელდა შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც. ვიდრე საბჭოთა კავშირის სათავეში საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტი გორბაჩოვი არ მოვიდა. ახლა ხომ საარქივო მასალებით მტკიცდება, რომ მთავარი დისიდენტი საბჭოთა კავშირში იყო იური ანდროპოვი, რომელიც მსოფლიოს დასანახავად ისე იქცეოდა, როგორც პირველი კომუნისტი, ისიც ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ანდროპოვის ბარტყი იყო მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც ქვეყნის გასაყიდად პარტიულ ასპარეზზე გამოიყვანა.**

ნამუსგარეცხილო და სინდისგაყიდულო ლიბერასტებო! რა უფლებით ან რა ნამუსით შემოდიხართ გამარჯვების ვაკის პარკში, ის ხომ იმ რაინდებისთვის გაშენდა, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს და მის ერთიანობას? თქვენ ხომ სამშობლოს გამყიდველები ხართ? კომუნისტური სიმბოლიკა დიდი სამამულო ომის სიმბოლიკა, სტალინური სიმბოლიკა ხომ ჩვენი, ომგამოვლილი თაობისთვის, გამონაკლისის გარდა, სიწმინდეა?! რატომ ეხებით ჩვენს სიწმინდეებს? ჩვენ, გამარჯვების პარკისა და საბჭოთა ჯარისკაცის საფლავის პატივისმცემლები, როდის შემოგივარდით თქვენს საროსკიპოებში, როდის დავარღვიეთ თქვენი მყუდროება?! თქვენ ხომ 33 ვერცხლზე თუ დოლარზე გაყიდული თახსირი პიროვნებები ხართ, საკუთარი სხეულისა და სამშობლოს გამყიდველები?!

საბჭოთა კავშირში ყველა ხალხისა და ქვეყნის მიერ ამქვეყნიურ სამოთხედ წოდებული იყო ორად ორი რესპუბლიკა — უკრაინა და საქართველო. დღეს კი ქართველები ყველაზე უმადურ, უცოდინარ და ამპარტავან ხალხად ვართ წარმოჩენილი მსოფლიოში. დღევანდელი საქართველო და ქართველი ხალხი რაც არის, ამას ყველა ხედავს და ამ ჭაობში, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენ არ ვართ, ამ ამყრალებულ გუბეში ჩვენზე არანაკლებ აყიყინდა მრავალმილიონიანი უკრაინაც. სწორედ ამ ორ ქვეყნაში სძულთ სტალინი ყველაზე მეტად. ქართველების მესმის, მათ არ უყვარდათ **გორგასალი, დავითი, თამარი, სააკაძე, ერეკლე, ილია** და გასაკვირი არ არის, რომ არ უყვართ თვისტომი სტალინი. სტალინის დრო მაშინ დასრულდა საქართველოში, როდესაც მაღალი თანამდებობის ქართველი კაცი (უპრიანი იქნება, კაცყოფილი ვუწოდოთ) პირველად შედგა ქალის მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე და ტუჩებზე პომადა წაისვა, დღეს კი მისი გამზრდელები მორალს უკითხავენ ქართველ ახალგაზრდობას. **რას ერჩის სტალინს უკრაინელი ხალხი, რომელსაც ევროპაში უდიდესი და უმდიდრესი სახელმწიფო შეუქმნა თავისი სამხედრო პოტენციალით? წყეულიმც იყოს უმადური უკრაინელი და ქართველი კაცი! ახლა კი უნდა მოგიყვეთ ვინ იყო სტალინი უკრაინელი მშრომელებისა და არაუკრაინელი ფაშისტებისათვის.**

> **ვაკის პარკის გაშენება ჩემი სტუდენტობის პერიოდში დაიწყო — გასული საუკუნის 50-იან წლებში. იმხანად სტუდქალაქში ვცხოვრობდი და სტუდენტები ხშირად ვატარებდით დროს მშენებარე პარკის ახალდარგულ ხეებსა და ყვავილებში. ამ ადგილს ყველაზე ხშირად სტუმრობდნენ დიდი სამამულო ომის მონაწილეები, რომლებიც რეაბილიტაციას გადიოდნენ — დაჭრილ ფეხებს ავარჯიშებდნენ ან ნატყვიარებს იშუშებდნენ. ამიტომაც დაერქვა მას გამარჯვების პარკი. შემდეგ კი მისი სახელი იმითაც განმტკიცდა, რომ რუსეთის შორეული რაიონიდან იქ გადაასვენეს უცნობი ჯარისკაცის ნეშტი. ძაძებში გახვეული მრავალი დედა მინახავს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე დამხობილი — თავისი შინმოუსვლელი შვილის საფლავად თვლიდა ამ ადგილს**


ომის ვეტერანი მარადიულ ცეცხლთან

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უკრაინის რადამ უარი განაცხადა, ეცნო საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის გზას დაადგა. ლენინი უძლური იყო უკრაინელების მოთხოვნების წინაშე და მან რამდენიმე კომპრომისული ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ, როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო და რადაც დასავლეთის გავლენითა და მათი ინტერესების სასარგებლოდ, უფრო და უფრო ღრმად შედიოდა საბჭოეთთან კონფლიქტში. ათასი ჯურის, ბაზრისა თუ მადნის მაძიებელნი პოზიციებს იმაგრებდენ და ქვეყანა თანდათან ეშვებოდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქაოსში. 1917 წლის მაისში ტურუხანსკში ტუსაღის ნარზე წამოწოლილი სტალინი, ჩაფიქრებული გაჰყურებდა ეზოს ძაღლს. ცხოველი ლოკავდა ჯამს, რომლიდანაც ეს-ეს იყო სტალინმა პატიმრის ულუფა მიიღო. გაივლის ექვსი თვე და რევოლუციაში გამარჯვებული უჭკვიანესი და უშიშარი კობა, საქვეყნოდ აღიარებული სტალინი, 12 დეკემბერს ხელში აიღებს უკრაინის საკითხს და იწყებს გადამწყვეტ ბრძოლას უკრაინის რადის წინააღმდეგ: „უკრაინის რადასთან ურთიერთობის გამწვავების დღიდან, ამხანაგი უკრაინელებისგან მრავალი რეზოლუცია და წერილი მომდის რადასთან კონფლიქტის საკითხზე, ამიტომ გადავწყვიტე, გამოვყო მათგან ისეთი საკითხები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება და პასუხი გავცე ისე გარკვევით, რომ საეჭვო არაფერი დარჩეს. ეს საკითხები ყველასათვის ცნობილია:

1 როგორ წარმოიშვა კონფლიქტი;

2 რა პუნქტების გამო წარმოიშვა კონფლიქტი;

3 რა ზომებია საჭირო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად,

4 ნუთუ დაიღვრება მოძმე ხალხების სისხლი.

უწინარესად, უნდა აღინიშნოს ინფორმაციების ერთგვარი აღრევა უკრაინელი ამხანაგების მხრიდან. რადასთან კონფლიქტს ისინი ზოგჯერ ისე ხატავენ, როგორც კონფლიქტს უკრაინელ და რუს ხალხებს შორის. მაგრამ ეს სწორი არ არის. უკრაინელ და რუს ხალხებს შორის კონფლიქტი არ არის და ▶

გრიგოლ ოniანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სახალხო კომისართა საბჭოს ხელში ჩაუვარდა დაშიფრული დეპეშა, რომლიდანაც ირკვევა, რომ, უკრაინის რადა უშუალოდ დაკავშირებულია საფრანგეთის მისიასთან, რათა გაზაფხულამდე გააჭიანუროს ზავის დადება საფრანგეთის მისიის მეშვეობით კალედინთან. ეს კავშირი მიმართულია ზავისა და რევოლუციის წინააღმდეგ, ეს კავშირი უნდა დაირღვეს და დაირღვევა კიდეც.



„უკვდავი პოლკი“ აშშ-ში

**ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ყველა შტატში ჩატარდა 9 მაისის საზეიმო ღონისძიებები ომში დაღუპულთა პატივსაცემად, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად. ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში დაღუპულებს პატივი მიაგეს არგენტინაში, ურუგვაიში, პაკისტანში, ინდოეთში, ინგლისში, საფრანგეთსა და მსოფლიოს უამრავ სახელმწიფოში. გამარჯვების დღის ზეიმის აღნიშვნისას არც ერთ ქალაქში ხელისუფლების მხრიდან არ განხორციელებულა მოზეიმეთა შემაფერხებელი მოქმედებები, მათ შორის, არც გერმანიის დედაქალაქ ბერლინში. მოზეიმეთა ხელში თითქმის ყველგან ჩანდა წითელი დროშები ომისდროინდელი სიმბოლიკით**

◀ არც შეიძლება იყოს. თავიანთი საარსებო ინტერესებისთვის ბრძოლაში მათ არ აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ კონფლიქტი. რა თქმა უნდა, მშრომელთა მტრებისთვის ხელსაყრელია რადასთან კონფლიქტი წარმოადგინონ რუსი და უკრაინელი ხალხების კონფლიქტად, ვინაიდან საკითხის ასე წარმოდგენით ყველაზე ადვილი იქნება, ერთმანეთს მიუსიონ მონათესავე ხალხთა მუშები და გლეხები, ამ ხალხების მჩაგვრელთა სასიხარულოდ. კონფლიქტი წარმოიშვა არა რუსეთისა და უკრაინის ხალხებს შორის, არამედ სახალხო კომისართა საბჭოსა და რადის გენერალურ სამდივნოს შორის. რა საკითხზე წარმოიშვა კონფლიქტი? ამბობენ, რომ კონფლიქტი წარმოიშვა ცენტრალიზმისა და თვითგამორკვევის საკითხზე, რომ სახალხო კომისართა საბჭო არ ანებებს უკრაინერლ ხალხს, საკუთარ ხელში აიღოს ძალაუფლება და თავისუფლად განსაზღვროს თავისი ბედი. მართალია თუ არა ეს? — არა, არ არის მართალი. სახალხო კომისართა საბჭო სწორედ იმას ცდილობს, რომ მთელი ძალაუფლება უკრაინაში ეკუთვნოდეს უკრაინელ ხალხს, ესე იგი უკრაინელ მუშებსა და ჯარისკაცებს, გლეხებსა და მატროსებს. საბჭოთა ხელისუფლება, ე.ი., მუშათა და გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა ხელისუფლება უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ — სწორედ ეს არის სახალხო ხელისუფლება, რომლისთვისაც იბრძვის სახალხო კომისართა საბჭო. გენერალურ სამდივნოს არ სურს ასეთი ხელისუფლება, ვინაიდან არ სურს, დარჩეს მემამულეებისა და კაპიტალისტების გარეშე. აი ამაშია საკითხის არსი და არა ცენტრალიზმში. სახალხო კომისართა საბჭო თავიდანვე იდგა და კვლავაც დგას თავისუფალი თვითგამორკვევის თვალსაზრისზე. მას, იმის საწინააღმდეგოც კი არაფერი აქვს, რომ უკრაინა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოიყოს. მან ეს რამდენჯერმე განაცხადა ოფიციალურად. მაგრამ, როცა ხალხის თვითგამორკვევას კალედინის თვითმპყრობელობაში ურევენ, როცა რადას გენერალური სამდივნო ცდილობს, კაზაკთა გენერლების კონტრევოლუციურ თარეშში სახალხო თვითგამორკვევის გამოხატულება წარმოადგინოს — სახალხო კომისართა საბჭოს არ შეუძლია, არ შენიშნოს, რომ გენერალური სამდივნო თვითგამორკვევობას თამაშობს და ამ თამაშით ფარავს თავის კავშირს **ალექსეი კალედინისა** (თეთრგვარდიელი გენერალი — გ.ო.) და **მიხეილ როძიანკოსთან.** ჩვენ მხარს ვუჭერთ ხალხთა თვითგამორკვევას, მაგრამ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ თვითგამორკვევის დროშით, კონტრაბანდულად გააპარონ თვითმპყრობელობა **ალექსეი კალედინისა**, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ მოითხოვდა, სისხლში ჩაგვეხრჩო ფინეთი. ამბობენ, რომ კონფლიქტი წარმოიშვა უკრაინის რესპუბლიკის საკითხზე, რომ სახალხო კომისართა საბჭო არ ცნობს უკრაინის რესპუბლიკას. მართალია თუ არა ეს? — არა, არ არის მართალი. სახალხო კომისართა საბჭომ ოფიციალურად ცნო უკრაინის რესპუბლიკა უკრაინელთა პეტროგრადის შტაბისადმი „ულტიმატუმსა“ და „პასუხში“. იგი მზად არის, ცნოს რუსეთის ყოველი ნაციონალური ოლქის რესპუბლიკა, თუ ეს ამ ოლქის მშრომელ მოსახლეობას სურს. იგი მზად არის, ცნოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ფედერაციული წყობა, თუ ამას რუსეთის ოლქების მშრომელი მოსახლეობა მოისურვებს. მაგრამ, როცა სახალხო რესპუბლიკას კალედინის სამხედრო დიქტატურაში ურევენ, როცა რადის გენერალური სამდივნო ცდილობს, რესპუბლიკის ბურჯების როლში წარმოგვიდგინოს მონარქისტები, კალედინი და როძიანკო, სახალხო კომისართა საბჭოს არ შეუძლია არ თქვას, რომ გენერალური სამდივნო რესპუბლიკობანას თამაშობს და ამ თამაშით ფარავს თავის დამოკიდებულებას ჯიბესქელ მონარქისტებთან. ჩვენ უკრაინის რესპუბლიკის მომხრე ვართ, მაგრამ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ რესპუბლიკის დროშით დაფარონ ხალხის დაუძინებელი მტრები, მონარქისტები — კალედინი და როძიანკო. ლაპარაკობენ იმის საჭიროებაზე, რომ სახალხო კომისართა საბჭო შეუთანხმდეს რადის გენერალურ სამდივნოს. განა ძნელი მისახვედრია, რომ ამჟამინდელ გენერალურ სამდივნოსთან შეთანხმება კალედინსა და როძიანკოსთან შეთანხმებაა? განა ძნელი მისახვედრია, რომ სახალხო კომისართა საბჭოს არ შეუძლია თვითმკვლელობა ჩაიდინოს. იმისათვის კი არ დაგვიწყია ჩვენ რევოლუცია მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომ იგი ჩამომხრჩობ კალედინთან კავშირით დავამთავროთ. იმისათვის კი არ ღვრიდნენ სისხლს მუშები და ჯარისკაცები, რომ სამოწყალოდ დანებდნენ ალექსეევებსა და როძიანკოვებს. ორში ერთია: ან რადა გაწყვეტს კავშირს კალედინთან, ხელს გაუწოდებს საბჭოებს და გზას გაუხსნის



9 მაისი საფრანგეთში

რევოლუციურ ჯარებს დონის კონტრევოლუციური ბუდის წინააღმდეგ, — და მაშინ უკრაინისა და რუსეთის მუშები და ჯარისკაცები დაძმობილების ახალი აზვირთებით განამტკიცებენ თავიანთ რევოლუცვიურ კავშირს; ან რადა არ მოისურვებს კალედინთან კავშირის გაწყვეტას, გზას არ გაუხსნის რევოლუციურ ჯარებს, — და მაშინ რადის გენერალური სამდივნო მიაღწევს იმას, რის მიღწევასაც ამაოდ ცდილობდნენ ხალხის მტრები, ე.ი., მოძმე ხალხთა სისხლის დაღვრას. რადა ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ ძალაუფლება გაიყონ, ერთი მხრივ, ბურჟუაზიამ, ხოლო, მეორე მხრივ, პროლეტარიატმა და გლეხობამ. საბჭოები კი ასეთ გაყოფას უარყოფენ და ძალაუფლებას აძლევენ ხალხს უბურჟუაზიოდ. ამიტომაა, რომ რადა ლოზუნგს „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ (ე.ი., ხალხს) უპირისპირებს თავის ლოზუნგს — „მთელი ძალაუფლება ქალაქისა და ერთობის თვითმმართველობებს“ (ე.ი., ხალხსა და ბურჟუაზიას). სახალხო კომისართა საბჭოს არ შეუძლია, ხელი აიღოს კალედინის წინააღმდეგ ბრძოლაზე. კალედინის კონტრევოლუციური ბუდე უნდა დაინგრეს. ეს გარდაუვალია. თუ რადამ ხელი შეუშალა ჩვენს ქმედებას კალედინის წინააღმდეგ და თავისი ზურგით დაიფარა იგი, მაშინ კალედინის წინააღმდეგ მიმართული დარტყმები რადას მოხვდება. სახალხო კომისართა საბჭო არ მოერიდება გადამწყვეტ ბრძოლას რადის წინააღმდეგ, ვინაიდან მისთვის საიდუმლოება არ არის, რომ რადას ფარული კავშირი აქვს კალედინთან. **სახალხო კომისართა საბჭოს ხელში ჩაუვარდა დაშიფრული დეპეშა, რომლიდანაც ირკვევა, რომ, უკრაინის რადა უშუალოდ დაკავშირებულია საფრანგეთის მისიასთან, რათა გაზაფხულამდე გააჭიანუროს ზავის დადება საფრანგეთის მისიის მეშვეობით კალედინთან. ეს კავშირი მიმართულია ზავისა და რევოლუციის წინააღმდეგ, ეს კავშირი უნდა დაირღვეს და დაირღვევა კიდეც.** ჩვენ გვსაყვედურობენ, რომ მკაცრ პოლიტიკას ვაწარმოებთ რადის წინააღმდეგ. მაგრამ სწორედ ამ მკაცრმა პოლიტიკამ აუხილა თვალი უკრაინელ მუშებსა და გლეხებს, გამოააშკარავა რადის ბურჟუაზიული არსი. ეს ჩანს თუნდაც დეპეშიდან იმის შესახებ, რომ უკრაინაში შეიქმნა უკრაინის ახალი რევოლუციური ხელისუფლება, რომელიც ცნობს საბჭოთა ხელისუფლებას და მოქმედებს ბურჟუაზიული რადის წინააღმდეგ. ჩვენ არ გვინდა, შევეხოთ „ჩვენი მოკავშირეების“ სამხედრო მისიების ქცევას, მათი როლი საკმაოდ არის გამოკვეთილი. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ „მოკავშირეთა“ მოძალადურ წამოწყებას ჩაშლის რუსეთის ხალხთა ბრძოლა დემოკრატიული ზავისთვის, მისიებს ისე უჭირავთ თავი, თითქოს ცენტრალურ აფრიკაში იყვნენ. მაგრამ „მოკავშირენი“ მალე დარწმუნდებიან, რომ რუსეთი ცენტრალური აფრიკა არ არის... აქ ჩვენ უმთავრესად გვაინტერესებს ის არასახარბიელო როლი, რომელიც რადამ იკისრა. მე ხშირად მომმართავენ ამხანაგი უკრაინელები შეკითხვით: **რა არის რადა? მე ვუპასუხებ: რადა, ან უფრო ზუსტად, მისი გენერალური სამდივნო არის მთავრობა სოციალიზმის მოღალატეებისა, რომლებიც მასების მოსატყუებლად თავს სოციალისტებს უწოდებენ, სწორედ ისე, როგორც მთავრობა კერენსკისა და სავინკოვისა, რომლებიც აგრეთვე სოციალისტებს უწოდებენ თავს. რადა, ან უფრო სწორად, მისი გენერალური სამდივნო ბურჟუაზიული მთავრობაა, რომელიც ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებთან შეკავშირებული იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ რადის მთავრობა დამხობილი იქნება უკრაინის მუშებისა და ჯარისკაცების ძალისხმევით.** ბურჟუაზიული გაზეთები გამალებით ავრცელებენ ხმებს თითქოს „დაიწყო მოლაპარაკება რადასა და სახალხო კომისართა საბჭოს შორის“.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**



ქართველი ვეტერანები

უცნობი ფაქტები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არსებობს დუაიტ ეიზენჰაუერის მიერ გამოვლენილი სისასტიკის სხვადასხვა ახსნა, სისასტიკისა, რომელსაც მილიონზე მეტი გერმანელის სიცოცხლე შეეწირა. თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს ეს ახსნები, საბჭოთა კავშირი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში შეუდარებლად მძიმე დანაკლისი განიცადა, ასე არ დაცემულა. და ეს მხოლოდ ნაწილია სიმართლისა მეორე მსოფლიო ომზე. ცნობისთვის: დუაიტ ეიზენჰაუერი აშშ-ის 34-ე პრეზიდენტი იყო.**

# დუაიტ ეიზენჰაუერის სიკვდილის ბანაკები

## როცა ნიურნბერგში დაიწყო ნაცისტი დამნაშავეების სასამართლო პროცესი, იქიდან არც ისე შორს, რაინის ველზე ამერიკელი გამარჯვებულები გენოციდს უწყობდნენ გერმანელ ტყვეებს

**დასავლური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის ფაშიზმზე დიადი გამარჯვების დღე არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ხალხებმა და აშშ-მა მცირედი, მაგრამ მაინც, წვლილი შეიტანეს ამ გამარჯვებაში.**

9 მაისს ბი-ბი-სის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მოკლე წერილში აღნიშნული იყო, რომ რუსეთში წარსულიდან ბრუნდება სტალინის, გამარჯვების ბელადის, ხატება, ამასთანავე, ივიწყებენ მის დანაშაულებს. ბოლო გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მოიმატა სტალინის მოღვაწეობის დადებითმა შეფასებებმა რუს ახალგაზრდებს შორის. წერილის ავტორი ამ საკითხში ჩაღრმავებას ვერ რისკავს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის რთულია სტალინის როლის დაკნინება, არამედ იმიტომაც, რომ შეიძლება გამჟღავნდეს მოკავშირეთა სარდლების საზიზღარი საქციელები. როგორც კი ფაქტების გაცნობას დაიწყებთ, დასავლელი გამარჯვებულების იმიჯი გაცამტვერდება.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ისტორიის ერთ-ერთი დრამატული ფურცელი იყო ამერიკელების მოპყრობა გერმანელი სამხედრო ტყვეებისადმი. ამის შესახებ არ ლაპარაკობენ, მაგრამ „არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს“ *(ლუკას სახარება, თავი 8. მუხლი 17.).* 1989 წელს დაიბეჭდა **ჯეიმს ბაკის** (James Bacque) წიგნი **„ეიზენჰაუერის სიკვდილის ბანაკები. მეორე მსოფლიო ომის ბოლო ბინძური საიდუმლო“.** ამ წიგნში მოყვანილია ფაქტები, რომლებზეც დასავლელი ისტორიკოსები ხშირად თვალს ხუჭავენ.

ომის ბოლოს ამერიკელები შეეჯახნენ პრობლემას — ტყვედ დანებებული ვერმახტის ჯარისკაცების რაოდენობამ კოლოსალურ ციფრებს მიაღწია. მხოლოდ გერმანიის ოკუპირებულ მიწებზე 2,5 მლნ ტყვე იყო. ჟენევის კონვენციის თანახმად, სამხედრო ტყვეებისთვის გარანტირებული უნდა ყოფილიყო სამი ძირითადი უფლება: **მათი კვება და საცხოვრებელი პირობები უნდა ყოფილიყო იმ სტანდარტების შესაბამისი, როგორიც ჰქონდათ გამარჯვებულებს; მათ უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა, მიეღოთ და გაეგზავნათ წერილები; ისინი აუცილებლად უნდა მოენახულებინათ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციებს, რომლებსაც უნდა შეედგინათ მოხსენება „დამცველი მხარისთვის“, რომელშიც იგულისხმებოდა შვეიცარია.**

სინამდვილეში კი მოხდა შემდეგი: 1945 წლის 25 აპრილს ამერიკის ჯარების მთავარსარდალმა **დუაიტ ეიზენჰაუერმა** (აშშ-ს მომავალმა პრეზიდენტმა) მოიწონა ტყვეების ახალი კატეგორიის შექმნა — Disarmed Enemy Forces, მტრის განიარაღებული ძალები. ამერიკელების მიერ მოგონილი ეს კატეგორია ტყვეებისა არ ექვემდებარებოდა ჟენევის კონვენციას და ამიტომ ამერიკელებმა მათზე არ გაავრცელეს ჟენევის კონვენციით დადგენილი უფლებები, უპირველესად — არ ამარაგებდნენ ელემენტარული საკვებითაც კი. **პირველმა გერმანელმა ტყვეებმა, რომლებიც ამერიკელებს ჩაბარდნენ, 1945 წლის 4 მაისს მიიღეს „მტრის განიარაღებული ძალების“ სტატუსი. იმავე დღეს აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ტყვეებს აუკრძალა წერილების გაგზავნა და მიღება. რამდენიმე დღის შემდეგ კი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა აცნობა „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტს, რომ ამ ორგანიზაციის დელეგაციების მიერ ტყვეების მონახულების საჭიროება აღარ არსებობდა.** ამერიკულ ბანაკებში გერმანელ სამხედრო ტყვეებს არ მისცეს არა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთობის უფლება, ფოსტის მიღებისა და გაგზავნის, საკვებისა და ტანსაცმლის მიღების უფლებაც წაართვეს.




გერმანელი სამხედრო ტყვეების გადაყვანით „მტრის განიარაღებული ძალების“ კატეგორიაში ამერიკელებს ხელები გაეხსნათ, შეექმნათ ისეთი პირობები, რომლებიც არათუ ჩამორჩებოდა, არამედ ჰიტლერის სიკვდილის ბანაკების პირობებზე უარესიც იყო. 2 მლნ-ზე მეტი გერმანელი ტყვე მოათავსეს მდინარე რაინის ნაპირების გასწვრივ მოწყობილ მავთულხლართებით შემოღობილ 19 გიგანტურ ბანაკში, რომლებშიც სრულიად შეუსაბამო პირობები იყო სიცოცხლისთვის. ტერიტორიაზე არ იყო ბარაკები, ტუალეტები, წყალმომარაგება, არც პრიმიტიული სამზარეულო; ადამიანები იძულებულნი იყვნენ, მიწაზე დაეძინათ, მიწაში გამოეთხარათ ბუნაგები, რათა თავი დაეცვათ წვიმისა და ქარისგან. რადგანაც მიწის გათხრა აკრძალული იყო, ამერიკელები ბუნაგებს ბულდოზერებით ანგრევდნენ. ბევრი დასუსტებული ტყვე ვერ ასწრებდა ბუნაგებიდან გამოძრომას და ბულდოზერების ქვეშ იღუპებოდა. საკვები უკიდურესად მწირი იყო. არადა, ამერიკის არმიის ზურგში საწყობები გამოტენილი იყო სურსათ-სანოვაგითა და მედიკამენტებით. სამედიცინო დახმარებაზე ლაპარაკიც არ იყო. ადამიანები მასიურად კვდებოდნენ შიმშილისა და წყურვილისგან. მოიმატა სიკვდილის შემთხვევებმა დიზინტერიისგან. დამკრძალავი რაზმები ტყვეების გვამებს პირდაპირ თხრილებში ყრიდნენ და მიწას აყრიდნენ.



ჯეიმს მაკის წიგნში მოყვანილია ერთი სამხედრო ტყვის მოგონება: **„შემდეგი ბანაკი იყო რამაგენი რაინზე, 400 000 კაცი — ერთ ბანაკში. პირობები იყო შემაძრწუნებელი, საკვებს 2-3 დღეში ერთხელ გვაძლევდნენ, წყალს რაინიდან ვსვამდით. დილით რიგში ვდგებოდით ნახევარი ლიტრი წყლისთვის. ისინი, ვინც წყალს არ ადუღებდნენ, ავადდებოდნენ დიარეით და კვდებოდნენ, ხშირად — ორმო-ტუალეტებში. რაინის ნაპირის გასწვრივ ხილის ბაღები იყო, მაგრამ რამდენიმე კვირაში ხილისგან აღარაფერი დარჩა. ჩვენ ვამტვრევდით ტოტებს, ვანთებდით კოცონს, ვადუღებდით წყალს და ვხარშავდით თითო კარტოფილს ორი კაცისთვის. 40 ადამიანი იღებდა მხოლოდ 1 კგ პურს. მე კუჭის მოქმედება არ მქონდა ერთი თვის განმავლობაში. ასეთ პირობებში კვირაში 1000 კაცი კვდებოდა. ისე დავსუსტდით, რომ ადგომა და სიარული აღარ შეგვეძლო. ეს მოგონებები სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩემს გონებაში“.**

„უწოდეთ ამას გულქვაობა, უწოდეთ შურისძიება, მტრული მიუღებლობა, მაგრამ ამერიკელების ტყვეობაში მილიონი გერმანელი ტყვე დაიღუპა“, — წერს ჯეიმს ბაკი. მისი გაანგარიშების დაზუსტება შეიძლება იმ ანკეტების გაანალიზებით, რომლებსაც სამხედრო ტყვეებს უხსნიდნენ ბანაკებში, მაგრამ **გაირკვა, რომ 2,5 მლნ ანკეტიდან 1,5 მლნ განადგურებული იყო. ის ადამიანები კი, რომლებზეც გახსნილი იყო ეს ანკეტები, გამოცხადებული იყვნენ უგზო-უკვლოდ დაკარგულებად. შესაძლოა, სწორედ ეს არის ნამდვილი რაოდენობა გერმანელებისა, რომლებიც ამერიკის ბანაკებში დაიღუპნენ.**

როცა ნიურნბერგში დაიწყო ნაცისტი დამნაშავეების სასამართლო პროცესი, იქიდან არც ისე შორს, რაინის ველზე, ამერიკელი გამარჯვებულები გენოციდს უწყობდნენ გერმანელ ტყვეებს.

არსებობს დუაიტ ეიზენჰაუერის მიერ გამოვლენილი სისასტიკის სხვადასხვა ახსნა, სისასტიკისა, რომელსაც მილიონზე მეტი გერმანელი ტყვის სიცოცხლე შეეწირა. თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს ეს ახსნები, საბჭოთა კავშირი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში შეუდარებლად მძიმე დანაკლისი განიცადა, ასე არ დაცემულა.

და ეს მხოლოდ ნაწილია სიმართლისა მეორე მსოფლიო ომზე.

**ცნობისთვის: დუაიტ ეიზენჰაუერი აშშ-ის 34-ე პრეზიდენტი იყო.**

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**«შემდეგი ბანაკი იყო რამაგენი რაინზე, 400 000 კაცი — ერთ ბანაკში. პირობები იყო შემაძრწუნებელი, საკვებს 2-3 დღეში ერთხელ გვაძლევდნენ, წყალს რაინიდან ვსვამდით. დილით რიგში ვდგებოდით ნახევარი ლიტრი წყლისთვის. ისინი, ვინც წყალს არ ადუღებდნენ, ავადდებოდნენ დიარეით და კვდებოდნენ, ხშირად — ორმო-ტუალეტებში. რაინის ნაპირის გასწვრივ ხილის ბაღები იყო, მაგრამ რამდენიმე კვირაში ხილისგან აღარაფერი არ დარჩა. ჩვენ ვამტვრევდით ტოტებს, ვანთებდით კოცონს, ვადუღებდით წყალს და ვხარშავდით თითო კარტოფილს ორი კაცისთვის. 40 ადამიანი იღებდა მხოლოდ 1 კგ პურს**





ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტრანსგენდერი ქალთა საპყრობილეში გაამწესეს



**2001 წელს კარენ უაიტი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა მცირეწლოვანზე ძალადობის ბრალდებით. ტრანსგენდერ ქალს არ შეუცვლია სქესი და ტექნიკურად მამაკაცად რჩებოდა, მაგრამ სასამართლომ თავისი ვერდიქტით დამნაშავე ქალთა საპყრობილეში გაამწესა. მანაც ისარგებლა ხელსაყრელი ვითარებით და სამჯერ გააუპატიურა ერთ-ერთი პატიმარი, —იუწყება The Sun.**

საინტერესოა, რომ კარენი ქალად უცებ არ გარდაქმნილა — ათ წელიწადზე მეტი მან კაცების ციხეში დაჰყო. მაგრამ ოთხი წლის წინათ დამნაშავემ განაცხადა, თავს მამაკაცად აღარ გრძნობს, თანაც ერექციული დისფუნქციით იტანჯება. სასამართლომ გაითვალისწინა მისი მდგომარეობა და გადაიყვანა ქალთა საპყრობილეში, სადაც კარენს, როგორც ჩანს, დაუბრუნდა მამაკაცობა.

გაირკვა, რომ 2016 წლის თებერვლიდან დეკემბრამდე კარენ უაიტი სამჯერ დაესხა თავს პატიმარ ქალს. არსებობს იმის ალბათობაც, რომ კიდევ ორი ძალადობა ჩაიდინა 2017 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე. ამას გარდა, იუწყებიან, რომ 2003 წელს კიდევ ერთხელ იძალადა, მაგრამ არ იციან, ვინ იყო მსხვერპლი — ქალი თუ კაცი.

უაიტი უარყოფდა ყველა ბრალდებას, მაგრამ ამჯერად აღიარა, რომ დამნაშავეა ოთხ ეპიზოდში. ამასთან, არ უარყოფს, შესაძლოა კიდევ ორი გაუპატიურება იყოს მის სინდისზე. რა სასჯელი ელოდება მას, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ კაცების ციხეში რომ გადაიყვანენ, უეჭველია.



# ნეოლიბერალური ზნეობა

## მრავალეროვნული დივიზია «ჩრდილოეთი-აღმოსავლეთის» შტაბის სათავეში პედოფილი დგას: ნატოს სამხედროები ხმას არ იღებენ

**54 წლის პოლკოვნიკი რობერტ ორლოვსკი ამბიციური ოფიცერი და პოლონეთის არმიის სიამაყე იყო. მას გენერლობას უწინასწარმეტყველებდნენ... და ეს ყოვლად სანიმუშო და თითით საჩვენებელი ოფიცერი ჩვეულებრივი გარყვნილი ადამიანი აღმოჩნდა: 14 წლის გოგონას სექსუალური ურთიერთობის დამყარებისკენ უბიძგებდა, თავგზას უბნევდა.**



გაცუდებული გენერალი ამის გამო გრუძენძეს სასამართლოს წინაშე წარდგა: დანაშაული სრულად დაუმტკიცდა, მაგრამ შეუსაბამოდ რბილი სასჯელი მიიღო. პროცესი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა იმის გამო, რომ საქმე არასრულწლოვანთა პირად ცხოვრებას ეხებოდა.

ცნობილია მხოლოდ ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, მაღალი თანამდებობის პოლონელი ოფიცერი ცდილობდა, სექსუალური ინტიმისთვის დაეყოლიებინა არასრულწლოვანები. სასამართლომ მას 1 წლით თავისუფლების პირობითი აღკვეთა მიუსაჯა და განაჩენი 3 წლით გადაუვადა, ასევე დაეკისრა ათასდოლარიანი ჯარიმა.

სამართალდამცველთა მიერ დაკავების შემდეგ პოლკოვნიკი ორლოვსკი მოხსნეს მრავალეროვნული დივიზიის „ჩრდილოეთი-აღმოსავლეთი“ შტაბის უფროსის თანამდებობიდან და ჩარიცხეს თავდაცვის სამინისტროს საკადრო რეზერვში.

მიაქციეთ ყურადღება: კი არ გააგდეს სამარცხვინოდ, არამედ შინ დასვეს, ცოტა ხანს დაისვენეო. უფრო მეტიც — პოლონეთის არმია მას ხელფასს უხდის.

სასჯელი ჯერჯერობით ძალაში არ შესულა და, შესაძლოა, გაასაჩივროს. მას შემდეგ, რაც სამხედრო პროკურატურა დეტალურად შეისწავლის პოლკოვნიკის საქმეს, გადაწყვეტს, გაასაჩივრებს თუ არა სასამართლოს განაჩენს.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა პოლონეთის არმიის მოსამსახურე მსგავს დანაშაულს ჩადის. შარშან დააკავეს მესანგრეთა ბატალიონის რიგითი ნისკო, რომელსაც წაუყენეს არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ხასიათის ძალადობისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შენახვის ბრალდება. ზემოთ დასახელებულ არც ერთ შემთხვევაზე თავდაცვის სამინისტროს კომენტარი არ გაუკეთებია.

გამოდის, რომ პოლონეთის თავდაცვის უწყებისთვის სულერთია, რომ არმია რიგითით დაწყებული გენერლამდე დეგრადირდება, ან, ეგებ, ის არის ევროპული ტოლერანტობისა და იდეალების განსახიერება?

# გამოქვეყნდა 120 პედოფილი მღვდლის სია

**ეს გააკეთა კათოლიკურმა ეკლესიამ ეპარქიის ოფიციალურ საიტზე. მათი უმრავლესობა გარდაცვლილია, ზოგიერთს ჩამოერთვა წოდება ან დათხოვნილია თანამდებობიდან. პედოფილები დანაშაულს ჩადიოდნენ გასული საუკუნის 50-იან-60-იან წლებში.**

დოკუმენტში მოცემულია სტატისტკური მონაცემები, რომლებიც ასახავს ეკლესიაში ძალადობის გავრცელების სურათს. გრაფიკებში აღნიშნულია ვითარება, რომელიც ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვის ქარტიის მიღებიდან 2002 წელს დარეგისტრირებულია ღვთისმსახურთა მხრიდან ძალადობის მხოლოდ ორი შემთხვევა.

პირველი დიდი სკანდალი, რომელიც კათოლიკური ეკლესიის წიაღში აგორდა, 90-იან წლებში საყოველთაო განსჯის საგანი გახდა. მაშინ გამჟღავნდა 11-14 წლის ბავშვებზე ძალადობის არაერთი შემთხვევა. გაზეთმა New York Times-მა გამოიკვლია ვითარება და გაარკვია, რომ ოფიციალური ვატიკანი არა მხოლოდ ფარავდა მსგავს შემთხვევებს და არაფერს ატყობინებდა საერო ხელისუფლებას, არ აწარმოებდა შიდა გამოძიებას მოძალადეობაში შემჩნეულთა მიმართ.



# ლიბიაში მასობრივი გაუპატიურების წვრილმანები გამოაშკარავდა

**აფრიკის ქვეყნებიდან ევროპისკენ წამოსული ყველა ლტოლვილი საბოლოო მიზნამდე რომ ვერ აღწევს, ცნობილია. მაგრამ ის ძალადობა, წამება და გაუპატიურება, რომელსაც ისინი გზაში განიცდიან, ახლახან გაირკვა. განსაკუთრებით ხშირად ეს ხდება ლიბიაში, სადაც მამაკაცები ისევე ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი, როგორც ქალები, — იუწყება Daily Mail.**



ლტოლვილი ქალების საქმეთა კომისიამ გაარკვია, რომ ლიბიის ტერიტორიაზე კონტრაბანდისტები სასტიკად აწამებენ მიგრანტებს და ამ ყველაფერს ვიდეოზე იღებენ. ამ მხეცობას აქვეყნებენ „სკაიპში“ მოგების მიღების მიზნით.

კომისიის ერთმა ფსიქოლოგმა საზოგადოებრიობას აცნობა საძმო საფლავების შესახებ, რომლებიც სავსე იყო გენიტალიებმოჭრილი მამაკაცებით. ეს ინფორმაცია მას ლტოლვილებმა მიაწოდეს.

კონტრაბანდისტების მიერ დატყვევებული მიგრანტები ყვებიან მასობრივი გაუპატიურების შესახებ, რომელთა თვითმხილველებიც გახდნენ, ან თავად განიცადეს ძალადობა. ქალებს კოლექტიურად აუპატიურებდნენ იქამდე, სანამ ისინი გონს არ კარგავდნენ და სისხლისგან არ იცლებოდნენ. იგივე ხვედრი ხშირად ერგებოდათ მამაკაცებსაც. ბიჭებს აიძულებდნენ, გაეუპატიურებინათ თავიანთი პატარა დები.

მიგრანტებს ციხეებში ამწყვდნენ, საიდანაც მათი დახსნა ან ახლობლების მიერ შეტანილი გამოსასყიდით, ან გაქცევით, რასაც ზოგიერთი ახერხებს, მაგრამ გაქცეულ კაცს თუ დაიჭერენ, ციხეში მყოფ მამაკაცებს აიძულებენ მის გაუპატიურებას.

„მე გამაფრთხილეს: თუ ევროპაში მოვყვები ყველაფერს, რაც ლიბიაში ხდება, ჩვენი დები და ძმები, რომლებიც ციხეებში იმყოფებიან, ამაზე პასუხს აგებენ“, — აქვეყნებს გამოცემა ცხრამეტი წლის ნიგერიელი გოგონას სიტყვებს.

**ამას წინათ ჩატარებული კვლევებით გაირკვა ყველა ქალზე — ლტოლვილსა თუ მოგზაურზე, რომლებმაც ჩრდილოეთ აფრიკა გადაკვეთეს, სექსუალურად იძალადეს. ნიშანდობლივია, რომ ასეთი ძალადობის შემთხვევები მამაკაცებზე დიდად ნაკლები არ ყოფილა. ამ მხეცურმა დამოკიდებულებამ იმატა მას შემდეგ, რაც ევროპამ დაბლოკა სამაშველო ოპერაციები ზღვაზე და თავისი საემიგრაციო პოლიტიკა ლიბიის სანაპიროს დაცვას მიანდო.**

ლტოლვილების საქმეთა გაეროს უმაღლესი კომისრის შეფასებით, ლიბიაში დღეისთვის 670 000 მიგრანტია. მათგან 6000-მდე ციხეში ჰყავთ გამომწყვდეული.

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს მოსახლეობის მთავარი დაკვეთა სამართლიანობის აღდგენა იყო. ამ საკითხში უმნიშვნელოვანეს რგოლად სასამართლო სისტემაა მიჩნეული. მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა კონსტიტუციითაა განსაზღვრული, მაგრამ იგულისხმება მათი დანიშვნა, ვინც იმსახურებს. თქვენს ინტერვიუში კი დაიცავით არაკეთილსინდისიერებაში ეჭვმიტანილი მურუსიძე და მისთანები, ხოლო გაამტყუნეთ ბესელია და მისი მხარდამჭერი კოლეგები. სწორედ თქვენმა ასეთმა პოზიციამ გადამაწყვეტინა ამ წერილის დაწერა.**

**თქვენსავით მეც ფეხი ავიდგი და ათ წელზე მეტი გავატარე კამოს სახელობის თბილისის საჩამომსხმელო-მექანიკურ ქარხანაში (მუშაობა დავიწყე 1954 წელს, ვიყავი საამქროს აღმრიცხველი, ქარხნის ეკონომისტი, მთ. ბუღალტერი). დიდი სიხარულითა და იმედით შევხვდი თქვენს გამოჩენას 2011 წელს ქართულ პოლიტიკაში. გავხდი ღარიბი გლეხის შვილის, საამქროს დამლაგებლად მუშაობის დამწყებისა და უკვე მილიარდების მფლობელის მიერ ჩამოყალიბებული „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი. დარწმუნებული ვიყავი თქვენს გამარჯვებაში, იმედი მქონდა სამართლიანობის აღდგენის, სამინისტროებში კეთილსინდისიერი, პროფესიონალი კადრების მოყვანის და ისეთი ღონისძიებების განხორციელების, რომლებიც სწრაფად წაწევდა ქვეყანას წინ.**



# ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს

**ბატონო ბიძინა!**
**ეკონომიკის განვითარებაში ძალიან ჩამოვრჩით, ერთ დროს წარმატებული ქვეყანა სილატაკეში ვართ. ვკითხოთ ხალხს: იქნებ ლუკაშენკოს მსგავსი დიქტატორის მიერ მართული ქვეყანა ურჩევნია ასეთ დემოკრატიასა და სილატაკეში ყოფნას?! ისე, ლუკაშენკოს რუსებთანაც კარგი ურთიერთობა აქვს და ამერიკელებიც პატივისცემით ეპყრობიან. სხვათა შორის, პუტინის «დიქტატორულ» სახელმწიფოში საქართველოს მილიონამდე მოქალაქეა გადახვეწილი, იქ მუშაობენ და იქიდან გამოგზავნილი ფულით არჩენენ ოჯახებს**

როცა თქვენი სახელიც კი არავინ იცოდა, ინკოგნიტოდ ყველანაირად ეხმარებოდით საქართველოს, რესურსს არ ზოგავდით მისი მეცნიერებისა და კულტურის განსავითარებლად, ეწეოდით დიდ ქველმოქმედებას ცნობილი ადამიანების მიმართ. საქართველოს მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა მოიპოვეთ და წარმატებით შეასრულეთ დადებული პირობა, რომ კონსტიტუციურად, არჩევნების გზით შეცვლიდით საძულველ ხელისუფლებას. ჩემი აზრით, თქვენ ისეთი დიდი მხარდაჭერით სარგებლობდით, რომ არ იყო საჭირო გამარჯვების უზრუნველსაყოფად ისეთი დაპირებების გაცემა, რომელთა შესრულებასაც, დარწმუნებული ვარ, იცოდით, საკუთარი რესურსის გამოყენების გარეშე (მაგ., ელექტროენერგიის ტარიფი და სხვ.) ვერ შეძლებდით. თქვენ ისეთი დაპირებებიც გაეცით, რომელთა შესრულება ძნელი, მაგრამ შესაძლებელი იყო. კერძოდ, შეზღუდავდით მონოპოლიებს (მაგ. საწვავი, წამალი). თქვენ შეიძლება მოგისმენიათ წინასაარჩევნო გამოსვლები **კუკავასა** და **ბაღათურიასი.** თურმე წნევის **წამალი კაპტოპრილი** ჩვენთან 8-ჯერ უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე თურქეთში(!). ეს კუკავასთან საუბარში დაადასტურა წამლის მომხმარებელმა. ჩემთვის ეს დაუჯერებელი რამ გადავამოწმე სხვადასხვა აფთიაქში და აღმოჩნდა, რომ იგივე წამალი, ოღონდ ქართული წარმოების, 7-ჯერ ძვირად(?) იყიდება. არა მგონია, თურქეთში ფარმაცევტები ზარალზე მუშაობდნენ. ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ წამლის მონოპოლისტების სიხარბეს საზღვარი არ აქვს. ისინი 100-%-იან მოგებასაც არ სჯერდებიან, როცა 15-%-იანი მოგება ნორმალურად ითვლება. ასეთი არანორმალური ფასები ხომ ხალხის ძარცვას ნიშნავს?! ნორმალურია, რომ ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე სხდომათა დარბაზში მძარცველის გვერდით იჯდეს?! სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ბიზნესში, მაგრამ ხალხის ძარცვა კანონიერი ბიზნესია?!

**დიდი ანალიტიკოსობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში „ოცნების“ დამარცხება, ძირითადად, პენსიონერთა განწყობამ განაპირობა. ჩემთვის ცნობილია, რომ გაცემული დაპირების შეუსრულებლობა, განსაკუთრებით ბიზნესმენთა შორის, დაუშვებელია, იგი მოტყუებასა და შეურაცხყოფას უთანაბრდება. ამან და იმის თქმამ, რომ ჩვენი ამოცანა თურმე „ნაცმოძრაობის“ გადარჩენა ყოფილა, უარყოფითად იმოქმედა თქვენს ავტორიტეტზე.**

პრემიერ **ღარიბაშვილის** მიერ თავდაცვის მინისტრის სრულიად მოულოდნელად შეცვლამ და თინა ხიდაშელის დანიშვნამ დაადასტურა თქვენი ნათქვამი, რომ გარე ძალების გავლენა ქვეყანაზე დღეს ადრინდელზე არანაკლებია. ამასთანავე, ისიც ცხადი შეიქნა, რომ ე.წ. კოაბიტაცია თქვენი იდეოლოგიიდანაც მომდინარეობდა და მხოლოდ უცხო ძალებს ვერ დაბრალდებოდა, როგორც ეს ბევრს ეგონა. გეთანხმებით, რომ **ძველი კადრების** გამოყენება არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც იყო, მაგრამ არა წამყვან თანამდებობებზე (განყოფილების, სამმართველოს, დეპარტამენტის უფროსი, მოადგილე) მით უმეტეს დაუშვებელი იყო მათი დაწინაურება. ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილება დარჩებოდა ახალ ხელისუფლებაზე პროკურატურაში მისულ დაზარალებულს, როცა დაინახავდა, რომ მისი საჩივრის განმხილველი მასზე, მის ოჯახზე მოძალადე პროკურორი იყო.

საქართველოს მოსახლეობის მთავარი დაკვეთა **სამართლიანობის აღდგენა** იყო, ამ საკითხში უმნიშვნელოვანეს რგოლად **სასამართლო სისტემაა** მიჩნეული, მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა კონსტიტუციითაა განსაზღვრული, მაგრამ იგულისხმება იმათი დანიშვნა, ვინც იმსახურებს. თქვენს ინტერვიუში კი დაიცავით არაკეთილსინდისიერებაში ეჭვმიტანილი **მურუსიძე** და მისთანები, ხოლო გაამტყუნეთ **ბესელია** და მისი მხარდამჭერი კოლეგები. სწორედ თქვენმა ასეთმა პოზიციამ გადამაწყვეტინა ამ წერილის დაწერა.

თქვენ იმდენი გაიღეთ საქართველოსთვის, რომ დარწმუნებული ვარ, მისთვის მხოლოდ კარგის კეთება გინდათ, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებთ. მე არ ვიზიარებ იმ თვალსაზრისს, თითქოს თქვენ რაც გააკეთეთ, მხოლოდ ინვესტიცია იყო პოპულარობის მოსახვეჭად, რათა მომავალში ხელისუფლებაში მოსულიყავით. ჩემი აზრით, ბესელია მართებულად მოიქცა, როცა გადადგა თანამდებობიდან, რადგან არ სურდა, მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ იურიდიულ კომიტეტს გაეცა მოწონების დასკვნა. ის დარწმუნებული იყო, რომ პარლამენტი დაამტკიცებდა მოწონებულ ათკაციან ჯგუფს ყოველგვარი კრიტერიუმის გარეშე. მე გამაკვირვა თქვენმა პოზიციამ და გამახსენა ცნობილი ფაქტი ანტიკური რომის ისტორიიდან: როცა **იულიუს კეისარმა** გადაწყვიტა, გაყროდა ცოლს, შეკითხვაზე, თვითონაც ხომ არ ეჭვიანობდა მასზე, უპასუხა: კეისარს არა აქვს უფლება, ეჭვმიტანილი ცოლი ჰყავდესო! **განა შეიძლება 21-ე საუკუნეში საქართველოს მოსახლეობას ეჭვმიტანილი მოსამართლე ჰყავდეს?!** იმავე ინტერვიუში, მიუხედავად სტრასბურგის ცნობილი გადაწყვეტილებისა, თქვენ გაამართლეთ მურუსიძე **ბირგვლიანის** საქმეშიც კი და მიუთითეთ, **შავგულიძის** მოქმედების თუ უმოქმედობის გამო იგი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდაო (თანამდებობიდან რომ გადამდგარიყო არ შეიძლებოდა?). 2012 წელს, თქვენი აზრით, შავგულიძე კარგი, პრინციპული ადვოკატი იყო.



თქვენი გუნდი ხელისუფლებაში მოიყვანა საქართველოს მოსახლეობამ, ამიტომ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე მისი აზრის გათვალისწინებაა საჭირო. ჩვენ კი სააკაშვილის მიერ დიდი ხნის წინათ ჩატარებული რეფერენდუმით ვხელმძღვანელობთ. რეფერენდუმის შედეგები ზუსტადაც რომ იყოს ასახული, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ხომ შეიძლებოდა, რაღაც შეცვლილიყო? ჩემი აზრით, დარწმუნებულიც რომ ვიყოთ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას ხალხის ნება-სურვილში, გამოკითხვა მაინც საჭიროა (მაგალითად, იტალია). თქმა იმისა, რომ რეფერენდუმის ჩატარება არ შეიძლება, სანამ ტერიტორიები გვაქვს დაკარგული, არადამაჯერებელია. თუ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ვახერხებთ და ეს ნორმალურად მიგვაჩნია, რეფერენდუმის ჩატარებასაც მოვახერხებთ და ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე მოსახლეობის აზრის გაგებას, მაგრამ ეს რატომღაც არ კეთდება.

დიდი ცოდვაა **უმადურობა.** როგორც კი დავიხსენით თავი რუსეთის იმპერიისგან, წიხლი ვკარით რუსებს და აღმოვჩნდით არანაკლები (თუ უფრო მეტის არა) სისასტიკის — ამერიკული იმპერიალიზმის კლანჭებში. ჩვენ, ▶

**თქვენს ასაკში მეც მომსვლია შეცდომები, რასაც ახლა ვაცნობიერებ. ნუ გგონიათ, რომ ყოველთვის მართალი ხართ, სხვების ნათქვამიც შეიძლება შეიცავდეს ჭეშმარიტებას**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა 2011-2012 წლებში მოსახლეობას ჰპირდებოდით ცხოვრების დონის თანდათან გაუმჯობესებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ბევრი ემიგრანტის სამშობლოში დაბრუნებას, გულწრფელი იყავით. თქვენ ამ ყველაფრის გაკეთება შეგეძლოთ, მაგრამ რაღაც მოხდა: ვიღაცას ხელს აძლევს, რომ მდიდარი რესურსების მქონე ქვეყანა არ აღორძინდეს, სიღატაკეში დარჩეს და ქართველებისგან დაიცალოს, ამიტომ თქვენ განზე გადექით; მეტიც — როგორ გაბედა საგარეო საქმეთა უწყებამ გაეროს იმიგრანტთა მიღების პაქტზე ხელის მოწერა, როცა თვით ამერიკამაც კი უარი განაცხადა ამაზე? ამის გამო მინისტრ ზალკალიანისთვის საყვედურიც კი არ უთქვამთ.**

◀ ალბათ, თვალი მოგვჭრა დასავლეთის დემოკრატიამ და სხვა რამეზე აღარ დავფიქრებულვართ. არადა, **ჩვენივე ინტერესებიდან გამომდინარე, გვაავიწყდება, რომ ვალდებულნი ვართ, ანგარიში გავუწიოთ სხვათა ინტერესებსაც. ერთხელ მაინც წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი რუსების ადგილზე. ისინი შეიძლება ასე ფიქრობენ (მეც ვეთანხმები მათ): ჩვენი ჯარისკაცების დაღვრილი სისხლის საფასურად თქვენ (ქართველებს) თავის დროზე დაგეხმარეთ თურქეთის მიერ ადრე მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებაში (აჭარა, სამხრეთი საქართველო). წახვედით და აღარ გინდათ ჩვენთან მეგობრობა, მაგრამ მიდიხართ ჩემს მტერთან(!), რატომ?** ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ ჩვენ მათ მტრად მივაჩნივართ და არც უნდა გვიკვირდეს მათი მხრიდან ზოგჯერ გადადგმული არამეგობრული ნაბიჯები.

ქართველებს წამბაძველობა გვიყვარს, ამასთანავე, ჩვენი თავი სხვებზე ჭკვიანად მიგვაჩნია — რატომ არ ვირჩევთ კარგ მაგალითებს?

რუსებს არ დაველაპარაკებით! — ამაყად აცხადებს ჩვენი პრეზიდენტი. **საქართველოს მეგობარ უკრაინას რუსებთან ომი აქვს, მაგრამ მათთან დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ გაუწყვეტია.** უჭკუო ხალხად არც იაპონელები ითვლებიან, მაგრამ, კურილიის კუნძულების ანექსიის მიუხედავად, რუსებს არა მხოლოდ ელაპარაკებიან, მასთან გაცხოველებული ვაჭრობაც აქვთ. აშშ-მა ატომური ბომბებით ორი ქალაქი გაუნადგურათ, ასიათასობით დიდი და პატარა დაუხოცეს ამერიკელებმა, მაგრამ ამ ქვეყნის პრეზიდენტ **ობამას** გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ჩვენს უშუალო მეზობლებზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოზე გაცილებით ძლიერი ევროპის სახელმწიფოები (ფინეთი, ავსტრია, შვედეთი, შვეიცარია) არ მიიჩნევენ თავიანთი ქვეყნებისთვის სასარგებლოდ **ნატოში** შესვლას. ჩვენ კი, ნატოს არაწევრი ქვეყანა, აქტიურად ვმონაწილეობთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის „სამშვიდობო" ოპერაციებში და ამ მისიებში მონაწილე სამხედროების რაოდენობით საპატიო მეორე ადგილი გვიჭირავს, რისთვისაც მადლობას კი გვიხდიან, მაგრამ გვეუბნებიან: მაგის გამო ნატოში ვერ მიგიღებთო. ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებაში გარკვეული წარმატებები გვაქვს, მაგრამ ეკონომიკის განვითარებაში ძალიან ჩამოვრჩით, ერთ დროს წარმატებული ქვეყანა სიღატაკეში აღმოვჩნდით. ვკითხოთ ხალხს: იქნებ **ლუკაშენკოს** მსგავსი დიქტატორის მიერ მართული ქვეყანა ურჩევნიათ ასეთ დემოკრატიასა და სიღატაკეში ყოფნას? ისე, ლუკაშენკოს რუსებთანაც კარგი ურთიერთობა აქვს და ამერიკელებიც პატივისცემით ეპყრობიან. სხვათა შორის, **პუტინის** „დიქტატორულ" სახელმწიფოში საქართველოს მილიონამდე მოქალაქეა გადახვეწილი, იქ მუშაობენ და იქიდან გამოგზავნილი ფულით არჩენენ ოჯახებს.

ქვეყნის სწრაფ განვითარებას ვერ მივაღწევთ ეკონომიკის წლიური 4-5%-იანი ზრდით, საჭიროა ნახტომისებური განვითარება, რაც მხოლოდ მეცნიერების თანამედროვე მიღწევების ფართოდ დანერგვით არის შესაძლებელი. ჩვენს ხელისუფლებაში დიდი გავლენა გაქვთ და ძალიან მიკვირს, რომ არ ხდება არათუ მსოფლიოს მიღწევების, არამედ ქართველი მეცნიერების მიღწევების ფართოდ დანერგვა. მაგალითად, **ევგენი უშვერიძის** გამოგონებებისა (მარცვლეულის დეფიციტის შემცირება) და **პაატა გიორგაძის** პროექტის (მიწისქვეშა გრუნტის სასმელი წყლების გამოყენების შესახებ), რომელსაც სრულად გამოყენებისას თურმე შეუძლია წლიურად 12 მლრდ დოლარის მოტანა. არსებობს ვინმე **ერისთავის** პროექტი (დაპატენტებული), რომლის მიხედვით, თურმე შესაძლებელია მდინარეებზე ჰიდროელექტროსადგურების აშენება დიდი წყალსაცავების გარეშე. ეს ხომ გადაარჩენდა ასე ძვირფას რაჭასა და სვანეთს?! ელექტროსადგურების აშენება რომ აუცილებელია, ეჭვს არ იწვევს. ეს გერმანიაშიც იციან, ისინი ჩვენსავით მდიდარი არ არიან ჰიდრორესურსებით, ამიტომ რამდენიმე ატომური სადგური გააჩერეს და მზის ელექტროსადგურებზე (გაუმჯობესებული და უფრო იაფი ტექნოლოგიით) გადავიდნენ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, როცა 2011-2012 წლებში მოსახლეობას ჰპირდებოდით ცხოვრების დონის თანდათან გაუმჯობესებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ბევრი ემიგრანტის სამშობლოში დაბრუნებას, გულწრფელი იყავით. თქვენ ამ ყველაფრის გაკეთება შეგეძლოთ, მაგრამ რაღაც მოხდა: ვიღაცას ხელს აძლევს, რომ მდიდარი რესურსების მქონე ქვეყანა არ აღორძინდეს, სიღატაკეში დარჩეს და ქართველებისგან დაიცალოს. ამიტომ თქვენ განზე გადექით. მეტიც — როგორ გაბედა საგარეო საქმეთა უწყებამ გაეროს იმიგრანტთა მიღების პაქტზე ხელის მოწერა, როცა თვით ამერიკამაც კი უარი განაცხადა ამაზე?! ამის გამო მინისტრ **ზალკალიანისთვის** საყვედურიც კი არ უთქვამთ.

ან როგორ გავიგოთ თქვენი დიდი ძალისხმევა დენდროლოგიური პარკის აშენების მიმართ? თქმა არ უნდა, კარგია, მაგრამ ვისთვის ვაშენებთ? იმ სოლიდური თანხით ხომ შეიძლებოდა რაიონებში თუნდაც ხილის წვენების რამდენიმე უმარტივესი ქარხნის აშენება და ემიგრაციაში წასასვლელად გამზადებული რამდენიმე ქართველის შეჩერება? ეს თქვენ ჩემზე უკეთ იცით, მაგრამ ვერ ბედავთ, მითითებულ გზას გადაუხვიოთ. თქვენს ასაკში მეც მომსვლია შეცდომები, რასაც ახლა ვაცნობიერებ. ნუ გგონიათ, რომ ყოველთვის მართალი ხართ, სხვების ნათქვამიც შეიძლება შეიცავდეს ჭეშმარიტებას.

დასასრულ, **რაკი თავი შეყავით კრაზანების ბუდეში, გარისკეთ, დაძლიეთ ხელისშემშლელი ძალები, თუნდაც ეს მთელი თქვენი რესურსისა და სიცოცხლის ფასად დაგიჯდეთ. ღმერთმა მოგცათ შანსი, ისტორიაში შეხვიდეთ, როგორც დიდი დადებითი პიროვნება, გამოიყენეთ ეს შანსი!**




თქვენი გულშემატკივარი და იმედგაცრუებული მოქალაქე
**ოთარ ველიაშვილი**

**დიდი ცოდვაა უმადურობა. როგორც კი დავიხსენით თავი რუსეთის იმპერიისგან, წიხლი ვკარით რუსებს და აღმოვჩნდით არანაკლები (თუ უფრო მეტის არა) სისასტიკის — ამერიკული იმპერიალიზმის კლანჭებში. ჩვენ, ალბათ, თვალი მოგვჭრა დასავლეთის დემოკრატიამ და სხვა რამეზე აღარ დავფიქრებულვართ. არადა, ჩვენივე ინტერესებიდან გამომდინარე, გვაავიწყდება, რომ ვალდებულნი ვართ, ანგარიში გავუწიოთ სხვათა ინტერესებსაც. ერთხელ მაინც წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი რუსების ადგილზე. ისინი შეიძლება ასე ფიქრობენ (მეც ვეთანხმები მათ): ჩვენი ჯარისკაცების დაღვრილი სისხლის საფასურად თქვენ (ქართველებს) თავის დროზე დაგეხმარეთ თურქეთის მიერ ადრე მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებაში (აჭარა, სამხრეთი საქართველო). წახვედით და აღარ გინდათ ჩვენთან მეგობრობა, მაგრამ მიდიხართ ჩემს მტერთან(!), რატომ?**



## იტალიის სასამართლომ გეიმამების მშობლებად დარეგისტრირება არ დაუშვა

**იტალიის უმაღლესმა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გეიწყვილს არ შეუძლია შვილების მშობლებად დარეგისტრირდეს.**

ჰომოსექსუალმა წყვილმა იტალიის ქალაქ ტრენტოდან შვილების ყოლას კანადაში კვერცხუჯრედის დონორებისა და სუროგაციის გზით მიაღწია. ორივე მამაკაცი ბავშვების დაბადების მოწმობებში მამებად არიან მითითებულნი, თუმცა უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ ბიოლოგიური მამა დარეგისტრირდება კანონიერ მშობლად, ხოლო მის პარტნიორს მოუწევს, შვილად აყვანის თაობაზე გააკეთოს განაცხადი. იტალიაში სუროგაცია აკრძალულია, მათ შორის ჰეტეროსექსუალი წყვილებისთვისაც და ორ წლამდე პატიმრობით ისჯება. იტალიაში არც ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინებაა დასაშვები და შვილის აყვანა მხოლოდ დაქორწინებული ჰეტეროსექსუალი წყვილებისთვის არის ნებადართული. თუმცა ზოგიერთმა ლგბტ ადამიანმა თავისი პარტნიორის ბავშვები იშვილა.



## აზერბაიჯანელებმა დავითგარეჯას დროშებით შემოუარეს

**საპასუხოდ ქართველთა აქციისა, რომლებმაც აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ დავითგარჯის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელების ჩაკეტვა გააპროტესტეს და სამონასტრო კომპლექსის აზრებაიჯანულ უბანს ცოცხალი ჯაჭვი შემოავლეს. აზრებაიჯანული დასახლება გაზახის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეთა ჯგუფმა სამონასტრო კომპლექსს (კეშიკჩიდაგი — ასე ეძახიან აზერბაიჯელები დავითგარეჯას) აზერბაიჯანის დროშებით შემოუარა.**

დავითგარეჯას პრობლემის კომენტირებისას აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა **ლეილა აბდულაევამ** განაცხადა, რომ აზერბაიჯანი ყოველთვის მომხრე იყო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სასწრაფოდ დელიმიტაციისა.

„აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საკითხი წყდება ორმხრივი ფორმატის ჩარჩოებში, ასეთ საკითხებზე შეთანხმების საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე. აზერბაიჯანი ყოველთვის მომხრე იყო აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრის სასწრაფო დელიმიტაციისა. აზერბაიჯანი მზად არის, უახლოეს ხანში დაასრულოს ეს პროცესი", — განაცხადა ლეილა აბდულაევამ.

**აზერბაიჯანული გამოცემა hagqqin.az-ის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი დღევანდელი რეალობა სავალალო სურათს წარმოადგენს — დაცარიელებული სოფლები, დაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები... ასე თუ გაგრძელდა, ცუდი ბოლო და უნუგეშობა მერე ნახე. ვინ გამოიდებს თავს, ვინ დაძრავს იმ დიდ ყინულს, რომელიც დაღუპვას უქადის არა მხოლოდ სოფლის მეურნეობას, როგორც დარგს, არამედ მთელ ქვეყანას?**

# «რამდენიც გვიახლოვდება ევროპიული ცივილიზაცია, იმდენი უფრო ჰმოქმედებს ის ჩვენზედ, როგორც დამჩაგრავი მოვლინება»

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

„გუთნის დედა“ პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი იყო, რომელიც თბილისში 1861 წლის დეკემბრიდან 1876 წლის ოქრომბრამდე გამოდიოდა. 1861-1872 წლებში „ცისკრის“ დამატება იყო, 1873 წლიდან კი დამოუკიდებელი ჟურნალი გახდა. სხვადასხვა დროს მას რედაქტორობდნენ ივანე კერესელიძე, ა. ვართანოვი და ანტონ ფურცელაძე. ამჟერად მკითხველს ვთავაზობთ ანტონ ფურცელაძის პუბლიკაციას „სასოფლო წერილები“, რომელშიც საუბარია იმ დადებით და უარყოფით მხარეებზე, რომლებიც ევროპულ ცივილიზაციასთან ზიარებას მოაქვს.

ავტორი პუნქტებად აყალიბებს იმ საკითხებს, რომელთა წამოჭრა და გადაწყვეტა აუცილებლად მიაჩნია ქვეყნის განვითარებისთვის. იქვე დასძენს იმასაც, რომ ბევრს მისი აზრი, შესაძლოა, ახირებად მოეჩვენოს, მაგრამ, „ვინც კარგათ დააკვირდება იმ ფაქტთა და გარმოებათა, რომელნიც მე აქ წარმოვადგინე, ყველა დამერწმუნება, რომ ეს ცვლილებანი და დაწესებანი არიან აუცილებელი საჭიროებანი, თუ გვინდა, რომ ჩვენი მეურნეობა, ჩვენი მდგომარეობა სრულს უკანასკნელობას და განწირულებას არ მიეცეს“-ო, ხოლო, „ვისაც შეუძლიან შორს გახედვა და დანახვა იმ მოვლინებათა, რომელიც მოსდევს ეხლანდელს მდგომარეებას, ის არამცთუ დაგვეთანხმება ამ ცვლილებათა საჭიროებაში, არამედ ჰპოვებს, რომ უამისოთ ჩვენი საბოლოვო ცუდი სანახავი და უნუგეშო რამ არის“-ო.

ჩვენი დღევანდელი რეალობაც სავალალო სურათს წარმოადგენს — დაცარიელებული სოფლები, დაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები... ასე თუ გაგრძელდა, ცუდი ბოლო და უნუგეშობა მერე ნახე.

ვინ გამოიდებს თავს, ვინ დაძრავს იმ დიდ ყინულს, რომელიც დაღუპვას უქადის არა მხოლოდ სოფლის მეურნეობას, როგორც დარგს, არამედ მთელ ქვეყანას? — საკითხავი აი ეს არის.



ანტონ ფურცელაძე

## სასოფლო წერილები

წინა წერილში მოხსენებულთ ჩვენი გაწრიოკების მიზეზთა უნდა დაურთოთ კიდევ ისა, რომ **რამდენიც გვიახლოვდება ევროპიული ცივილიზაცია, იმდენი უფრო ჰმოქმედებს ის ჩვენზედ როგორც დამჩაგრავი მოვლინება. თქმა აღარ უნდა, ამ ცივილიზაციისა, რომ კარგი მხარე ჰმოქმედებს ჩვენზედ და შემოდიოდეს ჩვენში იმისი სიკეთე, ჩვენ ის კი ვერ დაგვჩაგრავდა, დიდს წარმატებას მოგვცემდა, რათგან ჩვენი გონების გარემოება არ არის უცხო თავის ფიზიოლოღიური წყობილებით ამ მოვლინებათათვის, მაგრამ გვჩაგრავს ჩვენ ისა, რომ ამ ცივილიზაციისა ჩვენამდის მოდის და ჩვენ გვეცნობა მხოლოდ ცუდი მხარენი, რათგან ცუდი უფრო ადვილი მისაღებია და ამასთან პირველ ჟამად სასიამოვნოცა, ვიდრე კარგი.** სხვათა შორის ამ ევროპის ცივილიზაციის ცუდი მხარის მიბაძვამ ჩვენში გააღვიძა მრავალი მოთხოვნილებანი, მეტადრე მაღალს და შუათანა წოდებებში, საიდამაც ედება დაბალ საზოგადოებასაც; მაგრამ ეს მოთხოვნილებანი ვერა ჰკმაყოფილდებიან ჩვენის უშვერებისა და უმეცრებისა გამო. მოთხოვნილებანი თან და თან ჰმატულობენ, და სწავლა ჩვენი არის იმავე გარემოებაში, რაშიაც იყო მამა თარგამოსის დროს. ყველა, რაც ძალი და ღონეა, იწევს, რომ დიდ მდიდრაჟულს ცხოვრებაში და კოხტაპრუწაობაში უკან არავის ჩამორჩეს, და საზრდოს შეძენის სახსარი კი არავინ იცის და ვერცარავისაგანა სწავლობს. ამას ყველას მოსდევს მარად ვალები და ცარცვა ადგილ მამულისა. მე დავეჩვიე კალიასკებში თუ სხვა ეკიპაჟებში ჯდომას, ჩაისა და ყავას, ვერცხლის იარაღს და ხავერდისა და ფარჩის ტანისამოსს, ბზისა და კაკლის მებელს ხავერდისა და ზარბაბ გადაკრულს, დიდროვან მრავალ ოთახიან სახლებს, მრავალ მსახურებს და ფრანციცულს პოვრებს და ფრანციცულს საჭმელებს და კი აღარ მამდევს მათდა შესავსებლათ სუკი. მაგრამ უამათოთ ცხოვრება აღარ შემიძლიან, ეს ცხოვრება მაქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი. მამაკლდა ეს ცხოვრება, — გარდა ამისა, რომ თვითონაც აღარ ვარგივარ უამისოთ, — ტოლ-ამხანაგი ხმას აღარ მცემენ, ახლოს აღარ მიკარებენ, მიყურებენ თაკილით, თითქო ერთი რამ ცუდი საქმე ჩამედინოს. ჩემ ქვეით საზოგადოებაც ძაღლათაც არ მაგდებს, თითქო ნიშანს მიგებს, რომ მე აღარ შემიძლიან წინანდელი ცხოვრება, ისიც ამაყათ დამჩხავის თავსა და თაკილით მიყურებს, რომ ამ გარემოებას, როგორც არის დღითი დავაღწიო თავი, უჭერ უჯეროთ, უწესოთ, უცოდვნელად, შეუბრალებლათ მამულებსა და, ვინ ამ მამულებს ჰსაჭიროებენ, იმათა. ამამაქვს ამ მამულებიდამ, რაც შემიძლიან, და სამაგიეროს აღარ უბრუნებ, რათგან არ მესმის, რომ რაც ამოდის მიწიდამ, თუ არ დაუბრუნე, წახდება მამული; ამასთან, **თუ მაქვს სადმე ტყე, ვყიდი, ვჩეხავ ყოვლად შეუწყალათ და მოუსაზრებლათ. სადაც უწინ იყო დაბურული და გაუტანებელი ტყეები, დღეს აქ არიან ცარიელი უნაყოფო გატიტვლებული ველები. აი ამგვარათ გვჩაგრავს ჯეროვნით და ამგვარს მდგომარეობას ჰბადებს ჩვენი მოუსაზრებელი წაბაძვა ევროპის ცივილიზაციის ცუდი მხარისა.** მართლაცა და გადავავლოთ ახლა თვალი, სადამდის მიაღწევინა ამ ჩვენმა გაუგებრობამ ჩვენს ტყეებს. რამდენიც წელიწადი გადის, იმდენი ცხადლივ ატყობს კაცი, რომ ტყეები იქცევიან ცარიელ ველებათ. რამდენიც წელიწადი გადის, იმდენი მცირდებიან წყარო მდინარენი და ნაკადულნი. რამდენიც წელიწადი გადის, იმდენი გვალვა და სხვა სასტიკი ბუნების მოვლინებანი ამრავლებენ მოუსავლობას. რა არის მიზეზი ამგვარის ტყის უწყლოთ განადგურებისა? გარდა ზევით მოხსენებული ჩვენი გაჭირვებისა და უშვერებისა, უფრო მომეტებული ჩვენი შენობანი. ჩვენებურს შენობაზედ შეშის მტერი და შთამთქმელი ძნელი წარმოსადგენია რამე და სადმე, ქართლი ხომ არის და არის, და კახეთი და იმერეთი კიდევ ერთი ორათა. ქართლში ეს მაინც არის, რომ შენობა ხისა ძვირია, კახეთსა და იმერეთში შენობაებიც სულ ხისაა, რომელიც ჰნთქავს დიდს ძალს ტყეს. ამას დაურთოთ ახლა ისა, რომ არც ქართლსა, არც კახეთსა და არც ლიხს იქითა მხარეს არ არის სრულიად ფეჩი, მაშინ მივხვდებით, რა მიზეზიც არის უწყალოთ ტყის ჩანთქმისა. ჩვენებური შენობა არის უფანჯრო, ერდოიანი, რომლისაგამო ზამთარ ზაფხულ თუ კარი სულ ღია არა გაქვს, ვერას დაინახავ. ბანი, ან ერდო არას დროს ვერ დაიხურება, რათგან კომლს ასასვლელი გზა შეეკვრის და სახლს რამდენიც გინდა კარი გაუღო მაინც შუა ადგილას ვერას დაინახავ. ამის გამო უნდა ნიადაგ ჩაუქრობლივ თითქმის საკირის მსგავსი ცეცხლი გენთოს, რომ მცირეც არის ჰგრძნობდე სითბოს, თორემ სახლი იქცევა საყინულედ, და ისეც არის. დღე და ღამ ამ ჩვენს შენობაებში აგზვნიან საკირეები და იწვის აუარებელი შეშა. თქმა აღარ უნდა, რომ ამ ხალხის გამრავლებასთან, ტყეები იჩეხებიან უწყალოთ, რომელიც ამ ათ ოცს წელიწადს საშოვნელათაც გაჭირდება თვით შენობაებისთვის და უწყლობა და ჰაერის უზომობა ხომ თავისას დაგვმართებს.

**ამ ტყეებს არა ჰყავს არც მმართველი, რომელიც წესიერათ იცავდეს ამათა და უგდებდეს ყურს მომავლისათვის, არც ჰყავს მზოგველი, რათგან უშვერებისაგამო არ იციან მცხოვრებთა, რა მოსდევს ამ გვარ შეუწყალებლათ ტყის ჩეხვას და მოსპობას.** მებატონენი არა ჰზოგვენ იმას, რათგან უჭირთ ცხოვრება, არა აქვთ ფული და არ იციან თვის მოთხოვნილებაების მოვლა, ამის გამო თითო ოროლა გროშათ აჩეხინებენ და ანადგურებინებენ ტყეს. მეორეს მხრივ, რომ არ გააჩეხინონ კიდეც, რა უნდა ჰქნან, როდესაც ჰსაჭიროებს ხალხი შეშას და ვერ იცხოვრებს უშეშოთ?! რაც მდგომარეებაში ვხედავთ ტყეებს, იმავე მდგომარეებაში არიან სხვა მამულები. გარდა საქონლის პატივისა, ჩვენმა ხალხმა არა ნივთისა არ იცის პატივათ ხმარება. ამისგამო მრავალნი საგანგებო პატივნი, როგორც მაგალითად ადამიანის განავალი, ძვლები, ნაგავი, თხის და ცხვრის ფეინი, ფრინველის ფეინი, ნახადები არყისა თუ ზეთისა თუ სხვისა, დამპალი ჩალა, ბზე, თივა და სხვა ამგვარები იკარგებიან სრულიად ამაოდ წყლებსა, სანაგვეებსა და ამგვარ ადგილებში. არამც თუ ესენი, ბევრგან საქონლის პატივიც იკარგება ამაოთ და მეტადრე იმ ადგილებში, სადაც წვრილი მებატონის ნაყმევები არიან, ამ ნაყმევებს არა აქვთ საკუთარი ნადელები, ჰხნავენ სხვის მამულებში, ამის გამო არცა აქვთ მიზეზი, რომ დააყარონ თავის საქონლის პატივი სხვის მამულს, რომელიც მემრისვე იქნება სხვას დარჩეს მოსახნავათ, ამის გამო იმას უყრია ეს პატივი და უხდება ტყუილათ კარებზედ, რომლითაც პატივი პატივათ ხდება და სოფელს და თვით პატრონებს უყროლებს არემარეს, ახდენს ჰაერს და ამრავლებს სნეულებას. თქმა აღარ უნდა, რომ ამგვარს გარემოებას მოსდევს სრული მიწების მოღლა და კიდეც იღლებიან. სადაც მიწა ამ ერთი ორმოცი წლის წინათ დღიური ოც კოდს იძლეოდა, დღეს აღარ იძლევა ათს კოდს. ►

**«თქმა აღარ უნდა, ამ ცივილიზაციისა რომ კარგი მხარე ჰმოქმედებს ჩვენზედ და შემოდიოდეს ჩვენში იმისი სიკეთე, ჩვენ ის კი ვერ დაგვჩაგრავდა, დიდს წარმატებას მოგვცემდა, რათგან ჩვენი გონების გარემოება არ არის უცხო თავის ფიზიოლოღიური წყობილებით ამ მოვლინებათათვის, მაგრამ გვჩაგრავს ჩვენ ისა, რომ ამ ცივილიზაციისა ჩვენამდის მოდის და ჩვენ გვეცნობა მხოლოდ ცუდი მხარენი, რათგან ცუდი უფრო ადვილი მისაღებია და ამასთან პირველ ჟამად სასიამოვნოცა, ვიდრე კარგი»**

**„მეტათ შევეჩვიეთ სხვის ხელის შეცქერას და ამაში მივეცით ნება სხვათა, რომ გვაყურონ როგორც ალუცასა, რომელსაც, რასაც უბრძანებენ, ის უნდა შეასრულოს და ისე უნდა მოიგცეს; რომელსაც არა აქვს გაღვიძებული არავითარი საკუთარი მკვიდრი მოთხოვნილება და მოსაზრული საჭიროება. ხანი გადის და ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ დიდი დაფიქრება და მეცადინეობა გვმართებს, რომ დავიცათ ჩვენი საკუთარი ბუნების ნიშნები, ჩვენი საკუთარი ნიჭი და ჩვენი განსაკუთრებითი ხასიათები. ერთის სიტყვით ჩვენ უნდა დავინახოთ და შევეჩვიოთ იმ აზრსა, რომ ჩვენი თავის პატრონნი ვართ ჩვენა“.**

საკითხავი
აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც ხანი გადის, იმდენი ცხადლივ ეტყობა მოსავალს კლება და ხალხი კი თან და თან მრავლდება. ამ უპატიოსის გარდა, ჩვენი მიწების გაღარიბებისათვის ისიც საკმაო იქნებოდა, რომ ჩვენი მოსავლისა კარგი წილი გადის სხვა ადგილებში და აღარ უბრუნდება ამ მიწებს. მაგრამ ჩვენ ამასაც არ ვაჯერებთ, და ვაკლებთ იმ პატივსაც, რისაც მიცემა ჩვენ ხელთ არის.**

გადაავლეთ ახლა თვალი ჩვენს ხელოსნობას. გარდა ჩვენებური გუთნისა და გუთნის იარაღის გაკეთებისა, ურმისა და ურმის იარაღის გაკეთებისა, **ჩვენმა სოფლელებმა არ იციან არავითარი ხელოსნობა. აქამდის იყვნენ ფეიქრები, მღებრები, ჭონები, მეჯარეები და სხვანი. ესენიც ალმოიკვეთნენ.** ნიჩბისა, ფიწლისა, არნადებისა, სარცხლებისა, კევრებისა, ცხავებისა, საცრების, ვარცლებისა, კიდობნებისა, კასრებისა, თაბხებისა, ქვევრებისა, რუმბებისა, ტიკებისა, კუპრისა და სხვა ათასი ამგვარი წვრილმანი სოფლის მეორნეობის საჭირო ნივთეულობის მკეთებლები სრულიად არ არიან ჩვენს სოფლებში და ესენი ყველან ოროლა ზემოელ იმერელთ და რაჭველთაგან, სადაც იციან მხოლოდ თითო ოროლა ხელობა. ლიხს იქითა მხარე კიდევ უფრო მწირია ამისთანა ხელოსნობაში გარდა საჩხერისა და რაჭისა. არამთუ ამისთანაებში თვით პირველი უსაჭიროესი არ იციან იქ. მაგალითათ სამეგრელოში არ იციან ერბოს გაკეთება და კარაქის ამოღება, არ იციან არაყის ხდა (თუმცა დიდი ზარალი კი არ არის უარაყობა). იქ რომ ფიცრული სახლი მოუნდეთ უნდა დაიბარონ რაჭველნი ან ზემოელი იმერლები, რომელნიც უფრო დახელოვნებულნი არიან სხვა ჩვენს ხალხს შორის ხელოსნობაში. არამც ესეები, ჩვენმა ხალხმა (გარდა მთის ხალხთა და მეგრელთა არ იციან ჩოხის ქსოვნა და ან უნდა მამასისხლათ ყიდულობდნენ ქალაქ ადგილას, ან ოსთა და სხვა მთის ხალხთაგან. სხვა რიგი იარაღების კეთება, რომელნიც თან და თან გვჭირდებიან ჩვენ, რამდენიც უფრო და უფრო იღვიძებს ჩვენი რომელიმე მოთხოვნილებანი და შემოვა სხვა რიგი ადგილ მამულის მართვა, ხომ სათქმელი არ არის და არცა რა ვინ უცხო ტომთაგანი გვყავს ამისი მკეთებელი და მსწავლებელი. კაცი, რომელთაც გული შესტკივოდათ ჩვენი ამგვარის მდგომარეებისთვის და რომელთაც ეყურებოდათ ეს ცუდი მხარე ჩვენი მეურნეობისა, დაწყეს ცდა, რომ ჩვენ სოფლებში დაკეთებულიყო სახელოსნო სასწავლებლები, სადაც ჩვენი სოფლის კაცი მომზადებულიყო იმგვარ ხელოსნად, რომ შესძლებოდათ სამეურნეო იარაღისა როგორც კეთება, ისე მართვა და დაკერებაცა, რომ ამაზედ ჩვენს მეურნეობას დაბრკოლება არ მისცემოდა და არ დაგვჯდომოდა იარაღებისა სყიდვა მოტანა მამასისხლათა, რომ ამათის გაჩენით, ზარალი კი არა, სარგებლობა გვენახა. მაგრამ ამგვარმა აზრმა ვერა ჰპოვა თანაგრძნობა ვერც საზოგადოებაში, რომელიც სრულიად მოუხვედრელია ჯერ თავის ნანდვილს სარგებლობაზედ. და ვერც უმაღლეს ადგილას სხვა და სხვა მიზეზისა გამო. ამგვარი აზრი ეკუთვნოდა კოსტანტინე მამაცაშვილს, რომელიც წერითა თუ პირადის ქადაგებით შეჰღაღადებდა საზოგადოებას და მართებლობას, მაგრამ პასუხათ მიიღო განსვენებული „კავკაზის“ რედაქტორის ბაბილიოვის უშვერი და ამაყი სტატია, რომლითაც იხსენიებდა უპატიურათ ამგვართა აზრთა და მოთხოვნილებათა. საზოგადოებამ ყურიც არ გაიბერტყა, თითქო ეს ჩვენ არ შეგვეხებაო. აი ამგვარს გარემოებასა და მდგომარეებაშია ჩვენი სასოფლო მეურნეობა. ყოველი ეს გარემოებანი თხოულობენ საძირკვლიანათ შეცვლას ჩვენი ცხოვრებისას, თუ გვინდა, რომ ჩვენი მეურნეობა წავიდეს იმ გზაზედ, რომელიც მიანიჭებს ნანდვილს ბედნიერებას ხალხს და ჩაუდგამს სულს ახალის ცხოვრებისას. ჩვენი ეკონომიური და გონებითი მდგომარეება ისეა ერთმანეთზედ გადახლართული, რომ ორივეს ცვლილება ერთათ უნდა დაიწყოს. მართალია, რომ ჩააკვირდე კარგა ამ მოვლინებათა, ამ ჩვენს ცუდს გარემოებაში ბრალი უფრო სხვათა აქვთ, რომელთაც ჩვენთვის პირველადვე უნდა მეეცათ ცოდვნა და ეჩვენებინათ ღონე თავის პატრონობისა. მაგრამ ამაში არც ჩვენა ვართ უნაწილონი.

რუსები იტყვიან: дитье неплачеть, мать не разумъеть. თუ ჩვენ არ დავანახვებთ ჩვენს ნაკლებულებას, ჩვენს საჭიროებას, სხვები ამას ძნელათ მიხვდებიან. მართალია, ესეც ძნელი საქმეა ზოგიერთი გარემოებისა გამო, მაგრამ, რაც შეიძლება ის მაინც უნდა გაგვემჟღაპრებინა. მაგრამ ჩვენ არც ამაში მიგვიწვდა გაბედვა და მოხერხება. გარდა ამის ჩვენა გვაქვს ამაში კიდევ ის ბრალი, რომ **მეტათ შევეჩვიეთ სხვის ხელის შეცქერას და ამაში მივეცით ნება სხვათა, რომ გვაყურონ როგორც ალუცასა, რომელსაც, რასაც უბრძანებენ, ის უნდა შეასრულოს და ისე უნდა მოიგცეს; რომელსაც არა აქვს გაღვიძებული არავითარი საკუთარი მკვიდრი მოთხოვნილება და მოსაზრული საჭიროება. ხანი გადის და ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ დიდი დაფიქრება და მეცადინეობა გვმართებს, რომ დავიცათ ჩვენი საკუთარი ბუნების ნიშნები, ჩვენი საკუთარი ნიჭი და ჩვენი განსაკუთრებითი ხასიათები. ერთის სიტყვით, ჩვენ უნდა დავინახოთ და შევეჩვიოთ იმ აზრსა, რომ ჩვენი თავის პატრონნი ვართ ჩვენა,** რომ ჩვენს თავს ჩვენვე ვეცადნეთ, რომ მოუაროთ იმდენათ მაინც, რამდენათაც ამაში გვეხმარებიან ჩვენი გარემოებანი. იქ, სადაც ხალხი არის ნიადაგ სხვების ზრუნვის ქვეშ, და თითონ ყური მიგდებული აქვს თავის საკუთარ საქმეებზედ, იქ ყოველთვის დაცემულა და გაწრიოკებულა ხალხი, **სადაც ხალხი თვითონ ყოფილა თავის საქმეების თაოსანი და საქმის მზრუნველი, იქ ხალხი ყოველთვის ყოფილა დაწინაურებული და წარმატებაში.** თქმა აღარ უნდა, რომ მინამ ეს არ შეგვიძლიან, მინამ ეს მაინც უნდა, რომ ჩვენი საჭიროება ვაცნობოთ მათ, ვისდამიც ჯერ არს და მოვთხოვოთ, შეგვისრულონ ისა, რაც საჭიროებაა. ამის გამო სასარგებლოთ სასოფლო მეურნეობის წარმატებისა. იმდენათ მაინც, რამდენათ ეხლანდელს მდგომარეებაში შესაძლებელია, აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ ადმინისტრაცია, ესე იგი, მმართებლობა გაერიოს საქმეში და მოახდინოს რამდენიმე ცვლილება და დაწესება. ეს ცვლილება და წესები ესენი არიან:




**«თუ მაქვს სადმე ტყე, ვყიდი, ვჩეხავ ყოვლად შეუწყალათ და მოუსაზრებლათ. სადაც უწინ იყო დაბურული და გაუტანებელი ტყეები, დღეს აქ არიან ცარიელი უნაყოფო გატიტვლებული ველები. აი ამგვარათ გვჩაგრავს ჯერობით და ამგვარს მდგომარეობას ჰბადებს ჩვენი მოუსაზრებელი ნაბაძვა ევროპის ცივილიზაციის ცუდი მხარისა»**

1. **დაიმართოს სასოფლო სასწავლებლები და შეძლების დაგვარად ალაგ ალაგ მაინც ისეთები, სადაც ასწავლიდნენ სასოფლო მეურნეობას წიგნით თუ ჩვენებით** (თეორიულათ თუ პრაქტიკულათ). აქ კიდევ არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ მეცადინეობა ი. ქრ – ძე მამაცაშვილისა, რომელიც ყოველიც ღონისძიებით ცდილობდა სოფლებში სასწავლებლების დარდგენას და ზოგან კიდეც დაარდგინა გორის უეზდში, მაგრამ ჯერ ერთი ეხა, რაკი არ იყო საკმაო ღონისძიება, ვერ მოვიდა იმ სისრულეში, რომელიც იმასა ჰსურდა მიეცა სასწავლებლებისათვის, და მეორეც ესა, რაკი სხვა და სხვა მიზეზისაგამო მოისპო იმისი განვნენა, ეს დარდგენილი შკოლებიც გაჰქრნენ.

2. **დაიმართოს ალაგ ალაგ სამეურნეო სახელოსნო, სადაც აგრეთვე ასწავლიდნენ წიგნს, რომელნიც უხსნიდნენ ამ მხრივ იმათ გონებას.**

3. **დასაცველად ტყეთა დაიდვას კანონი,** რომ ვინც ახლად დაიწყოს შენობა, ჯერ ერთი ესა ყველამ გაიკეთოს სახლი ალიზისა, რომელზედაც არ იხარჯება ტყე და არც სხვაფრივ უნდა დიდი ხარჯი; მეორეც ესა, სახლი იყვეს ფანჯრებიანი, უერდოვო; მესამეც ესა — სახლსა ჰქონდეს ფეჩი, რომელიც იხურებოდეს; მეოთხეც ესა, ალიკრძალოს თონეები, რომელნიც ჰთქმენ მეტათ ბევრ ტყესა, აძლევენ ცხობაში ზარალს კუტებით და აუძლურებენ თვით პურის მცხობელთაც: პური აცხონ ფეჩებშივე. ფეჩებს ჰქონდეს დასახურავები. რასაკვირველია, ვისაც შეძლება აქვს — არ აეკრძალოს ალიზის სახლის მაგივრათ ქვიტკირისა, ოღონდ სახლი ნუ იქნება ხისა, რომელიც მეტად აზარალებს ტყესა. ალიკრძალოს ხის შენობა, გარდა რომელთამე აუცილებელთა საჭიროებათა.

4. დასაცველათვე ტყეთა და მდინარეთა, რათგან ტყის კერძო პატრონნი ვერასოდეს ვერ შეძლებენ წესიერათ ტყის დაცვას სასარგებლოთ თვით ტყისა და მთლათ მხარისა, რომელმაც უნდა იცხოვროს ამ ტყითა და მის ძალითა, **ყველა კერძო ტყეები დაიდგას სახასოდ და გადვიდეს ტყეთა სამმართველო უწყებაში.** მეპატრონეთა მიეცით ამაში ფასი, რომელიც გამოერთვას მხარეს წვრილ-წვრილად, მხოლოდ მხარეს მიეცეს ნება რომ მუქთათ ახმაროს ტყე შინ სახარჯავათ. მხოლოდ გასასყიდში ერთვას ხარჯი, სასარგებლოთ ტყეთა მმართველობისა.

**«ჩვენი მოსავლისა კარგი წილი გადის სხვა ადგილებში და აღარ უბრუნდება ამ მიწებს. მაგრამ ჩვენ ამასაც არ ვაჯერებთ, და ვაკლებთ იმ პატივსაც, რისაც მიცემა ჩვენ ხელთ არის»**

5. სივიწროვისა გასაფართოვებლათ სოფლებში აღეკრძალოთ სამკურნალო წესით რაც სივრცეა საჭირო, იმ სივრცეზედ მცხოვრებთ ერთმანერთზედ ახლო დგომა და მახლობლათ იმ შენობათა კეთება, რომელნიც ჰვნებენ ხალხის სისაღეს, რომელთაც არა ჰქონდეთ იმდენი მამული, რომ სადგომათ ეყოთ ერთმანთზედ ამ წესით მოშორებითა და არცა ჰქონდეთ შეძლება სხვათაგან ამის შეძენისა, მაშინ მიეცეთ ამათ ან სახელმწიფო და საეკლსიო მამულთაგან, სადაც ეს მამულები არიან; თუ არა და ამგვარ გაჭირვებულთათვის დაიდოს კანონათ, რომ **სოფელმა შეიძინოს ერთობრივ სადგომათა ადგილები იმ პირთაგან, რომელთაც ამ სოფელში, ან მახლობლათ აქვთ სხვებზედ მეტი მამული და ამ მამულში სოფელმა მისცეს ამ პატრონთ ერთხელ და ერთხლ ტაქსით სოფელ სოფელ დადებული ფასი.** ყველა ამ მამულზედ დამდგარს თავის სადგომი მამულის ფასი გამოერთვას წვრილ წვრილათ, შეძლების დაგვარათ.

6. **თუ შეიძლება ერთბაშათ, თუ არადა ცოტ ცოტათი მაინც ეცადნენ, რომ მამულები სოფლებში შეიქნეს საზოგადო სასოფლო საკუთრებათ, როგორც არის ეს რუსეთში.** მხოლოდ დაყოფის დროს შემუშავებული მამულები დაიყონ შემმუშავებელთა. **ვენახები ორმოცდა ათ წლამდის ეჭიროთ გამშენებლებთა და შემდეგ დაიყოს შეფარდებით ვენახის პატრონებს შორის:** კარგი ვენახები კარგის შემმუშავებლებს და ცუდი — ცუდი შემმუშავებლებს შორის. ამგვარი ხნიერება და შერჩევით დაყოფა არ დაუკარგავს მუშას ვენახისა და მამულის გაკეთების ხალისსა. ამგვარათ საზოგადოთ მამულების დადება, სხვა სიკეთეთა შორის, უშველის იმ საშინელს სივიწროვესაც, რომელსაც ეხლა ითმენს სოფლის ხალხი.

7. **რამდენსამე სოფელზედ დაწესდეს თითო საქონელთა ნასწავლი მკურნალი.**

8. **გაიმართოს მასწავლებელთა სემენარიები** (учительская семинария) სხვა და სხვა საქართველოს ადგილებში, როგორც ამგვართა ექიმთა დასაზრდელი სასწავლებისათვის, ეგრეთვე სხვარიგი სამეურნეო სასწავლებლისათვის.

მართალია, ბევრს ეს მოთხოვნილება და ცვლილება ეჩვენება ახირებულ საქმეთა. მაგრამ ვინც კარგათ დააკვირდება იმ ფაკტთა და გარმოებათა, რომელნიც მე აქ წარმოვადგინე, ყველა დამერწმუნება, რომ ეს ცვლილებანი და დაწესებანი არიან აუცილებელი საჭიროებანი, თუ გვინდა, რომ ჩვენი მეურნეობა, ჩვენი მდგომარეობა სრულს უკანასკნელობას და განწირულებას არ მიეცეს. ვისაც შეუძლიან შორს გახედვა და დანახვა იმ მოვლინებათა, რომელიც მოსდევს ეხლანდელს მდგომარეებას, ის არამცთუ დაგვეთანხმება ამ ცვლილებათა საჭიროებაში, არამედ ჰპოვებს, რომ უამისოთ ჩვენი საბოლოვო ცუდი სანახავი და უნუგეშო რამ არის.

**„გუთნის დედა“,**
**თბილისი, 1873 წელი**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანტონიო გაუდის მიერ შექმნილმა ნაგებობებმა შეცვალა ბარსელონა. აღსანიშნავია, რომ გაუდის მიერ შექმნილი 17 ცნობილი და გრანდიოზული პროექტიდან წარმატებით განხორციელდა 7 და ეს არქიტექტურული ძეგლები იუნესკომ მსოფლიოს მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. სპეციალისტები დღესაც კამათობენ, რომელი სტილის მიხედვით ქმნიდა დიდი ხუროთმოძღვარი, თუმცა მისი შედევრების კლასიფიკაცია შეუძლებელია. თეორიულად ეს არის მოდერნი, რომელშიც ოსტატურადაა შერწყმული სხვადასხვა მიმდინარეობის ელემენტები.**

# 7 ცნობილი არქიტექტორი, რომელთა სახელებიც უნდა იცოდეთ

**არქიტექტურულ ნაგებობებს, მნიშვნელობა არ აქვს, პატარა აგარაკია ეს, გრანდიოზული ხიდი თუ ფანტასტიკური აეროპორტი, უზარმაზარი გავლენა აქვს საზოგადოების განვითარებაზე, ბიზნესის აყვავებაზე და, რა თქმა უნდა, ადამიანების ცხოვრებაზე. მიუხედავად იმისა, რომ პლანეტაზე ათიათასობით არქიტექტორია, მხოლოდ რამდენიმემ შეძლო, შეექმნა უნიკალური შედევრები, რომლებიც დამთვალიერებლებს აიძულებს, აღფრთოვანდეს, გაოცდეს და დაფიქრდეს.**





## ანტონიო გაუდი (1852-1926)

დედამიწაზე, ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ცივილიზებული ადამიანი, რომელსაც არაფერი სმენია ამ კატალონიელი ხუროთმოძღვრის შესახებ, რომლის შექმნილი არქიტექტურული ძეგლები მნახველს აღარფოვანებს. ანტონიო გაუდის მიერ შექმნილმა ნაგებობებმა შეცვალა ბარსელონა. აღსანიშნავია, რომ გაუდის მიერ შექმნილი 17 ცნობილი და გრანდიოზული პროექტიდან წარმატებით განხორციელდა 7 და ეს არქიტექტურული ძეგლები იუნესკომ მსოფლიოს მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. სპეციალისტები დღესაც კამათობენ, რომელი სტილის მიხედვით ქმნიდა დიდი ხუროთმოძღვარი, თუმცა მისი შედევრების კლასიფიკაცია შეუძლებელია. თეორიულად ეს არის მოდერნი, რომელშიც ოსტატურადაა შერწყმული სხვადასხვა მიმდინარეობის ელემენტები, თანაც ისეა გადამუშავებული და შეცვლილი, რომ მსგავს ნაგებობებს ამჟამად „გაუდის სტილში" შესრულებულს უწოდებენ. მრუდე ზედაპირები, ფანტასტიკური ფორმები საოცრადაა გადმოცემული მის გენიალურ ქმნილებებში — **გუელის მარნებში, ბალიოს სახლში, მილას სახლში** და, რა თქმა უნდა, **წმინდა ოჯახის ტაძარში.**



გაუდის ბალიოს სახლი



## ეერო საარინენი (1910-1961 წწ.)

ეერო საარინენი XX საუკუნის სახელგანთქმული ავეჯის დიზაინერი და არქიტექტორია. საარინენის ქმნილებები ადამიანებს აცვიფრებს და აღაფრთოვანებს, რადგან მისი ინტერესები ისეთი მრავალფეროვანი იყო, რომ გაკვირვებას ვერ დამალავთ, როგორ შეძლო ეს ერთმა ადამიანმა. საარინენმა კაცობრიობას დაუტოვა არა მხოლოდ შესანიშნავი ფორმების სავარძლები და სკამები, არამედ **მემორიალური კომპლექსი თაღი სენტ-ლუისში, ცათამბჯენი რადიომაუწყებელი კომპანია CBS-ისთვის, იელის უნივერსიტეტის ჰოკეის მოედანი, ტერმინალ Trans World Airlines-ი ნიუ-იორკში და სხვ.**









ფრენკ გერის ქმნილებები





## ფრენკ გერი (1929)

ფრენკ გერის გაბედულ, „თავხედ" და შოკისმომგვრელ არქიტექტორს უწოდებენ. მისი პროექტები ხასიათდება ზოგჯერ უხეში და მოულოდნელი ტეხილი ზედაპირებით. მისი ყველა ქმნილება განსხვავებულია და არქიტექტურის არც ერთი სტილის ნამუშევრებს არ ჰგავს. სწორედ სტილმა მოუტანა გერის საერთაშორისო აღიარება. ის 1989 წელს დააჯილდოვეს პრიტცკერის პრემიით (ყოველწლიური ჯილდო არქიტექტურის სფეროში). ფრენკ გერის (ნამდვილი სახელი — ეფრაიმ ოუენ გოლდბერგი) ყველაზე ცნობილი პროექტები, რომლებიც ტურისტებს იზიდავს: **გუგენჰაიმის მუზეუმი ბილბაოში; უოლტ დისნეის სახელობის საკონცერტო დარბაზი ლოს-ანჯელესში, მუსიკის მუზეუმი სიეტლში და სხვ.**





ეერო საარინენის ნამუშევრები





**არაბული წარმოშობის ერაყელ-ბრიტანელი ზაჰა ჰადიდი იყო შესანიშნავი ქალი-არქიტექტორი, რომელსაც „ფორმების დედოფალს“ უწოდებდნენ. ჰაზა ჰადიდი თავის ქმნილებებს ჰარმონიულ ფორმას აძლევდა. ჰადიდის ფუტურისტული სტრუქტურები ცვლის ფუნდამენტურ წარმოდგენას დიზაინსა და გეომეტრიაზე. ის პირველი ქალია, რომელიც დააჯილდოვეს პრიტცკერის პრემიით.**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ფრენკ ლოიდ რაიტი (1867–1959)

ფრენკ ლოიდ რაიტის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა მსოფლიოს არქიტექტურის ისტორიაში. რაიტმა თავისი შემოქმედებით დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე არქიტექტურის ჩამოყალიბებაში. მისი ქმნილებები ჰარმონიულად ერწყმის გარემომცველ ბუნებას. რაიტის პროექტებიდან აღსანიშნავია **სახლი ჩანჩქერის თავზე, Roby Hosy, კომპლექსი „ტალიესინი“, იამამურას სახლი, კომპანია Jonson Wax-ის ოფისი, სოლომონ გუგენჰაიმის მუზეუმი მანჰეტენზე და სხვ.**





ფრენკ ლოიდ რაიტის ნამუშევრები





## რიჩარდ როჯერსი (1953)

ეს სახელგანთქმული ბრიტანელი არქიტექტორი თანამედროვე სტილის — high-tech-ის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ის მთავარი მხარდამჭერია არქიტექტურული მოძრაობისა, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „მოწინავე ტექნოლოგიები და სტრუქტურული ექსპრესიონიზმი“. როჯერს 2000 წელს მიანიჭეს საიმპერატორო პრემია, ხოლო 2007 წელს — პრესტიჟული პრიტცკერის პრემია. რიჩარდ როჯერსის ცნობილი ქმნილებებია: **მადრიდის აეროპორტ ბარახასის მე-4 ტერმინალი, სადაზღვევო კომპანია ლოიდის შტაბ-ბინა ლონდონში, მილენიუმის სახლი გრინვიჩში, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აღდგენის პროექტი ნიუ-იორკში და სხვ.**



რიჩარდ როჯერსის ნამუშევრები





## რენცო პიანო (1937 წ.)

პოპულალური იტალიელი არქიტექტორი, რომელიც არქიტექტურაში high-tech-ის სტილის დამფუძნებლად ითვლება. რენცო არა მხოლოდ აპროექტებს და ქმნის, არამედ მონაწილეობს ისტორიული ღირსშესანიშნაობების რესტავრაციაში. არქიტექტურის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის სფეროებში უამრავი ჯილდოს, პრემიისა და ორდენის მფლობელისთვის ყველაზე პრესტიჟულია სამეფო ოქროს მედალი, დიდი ჯვარი ორდენისა იტალიის რესპუბლიკის წინაშე დამსახურებისთვის, არის საიმპერატორო და პრიტცკერის პრემიების, აგრეთვე, ერაზმის პრემიის ლაურეატი. მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევრებია: **კალიფორნიის აკადემიის შენობა; ნუმეაში ჟან-მარი ტჟიბაუს კულტურის ცენტრი, პაულ კლეის ცენტრი ბერნში; ნიუ-იორკ თაიმს ბილდინგი: ნემოს მუზეუმი ნიდერლანდებში და სხვ.**

რენცო პიანოს ნამუშევრები









## ზაჰა ჰადიდი (1950–2016 წ.წ.)

არაბული წარმოშობის ერაყელ-ბრიტანელი ზაჰა ჰადიდი იყო შესანიშნავი ქალი-არქიტექტორი, რომელსაც „ფორმების დედოფალს“ უწოდებდნენ. ჰაზა ჰადიდი თავის ქმნილებებს ჰარმონიულ ფორმას აძლევდა. ჰადიდის ფუტურისტული სტრუქტურები ცვლის ფუნდამენტურ წარმოდგენას დიზაინსა და გეომეტრიაზე. ის პირველი ქალია, რომელიც დააჯილდოვეს პრიტცკერის პრემიით, აგრეთვე, არის საიმპერატორო და ჯეინ დრიუს პრემიების ლაურეატიც. მისი ყველაზე ცნობილი ქმნილებებია: **ჰეიდარ ალიევის სახელობის ცენტრი ბაქოში, სპორტის საწყლოსნო სახეობების ცენტრი ლონდონში, ტრანსპორტის მუზეუმი გლაზგოში, XXI საუკუნის ეროვნული მუზეუმი რომში, საოპერო თეატრი გუნჯოუში და სხვ.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



იუბილარი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანებთან პირადი ურთიერთობა, თანადგომა, სიხარულისა და ჭირ-ვარამის გაზიარება ბატონ ოთარის ცხოვრების წესია. მისი მოღვაწეობის გზაზე იყო სირთულეები, პრობლემები, მაგრამ ყოველთვის დაუძლევია ისინი.**

# ოთარ ფაცაცია — გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

**დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა სასიქადულო მამულიშვილს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი ქვეყნის საინჟინრო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელს, პარტიული და სამეურნეო საქმიანობით გამორჩეულ პიროვნებას, უკეთილშობილეს ადამიანს, ბატონ ოთარ ფაცაციას.**



**ბატონი ოთარი უაღრესად კეთილშობილი, მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე პიროვნებაა, რომლის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, მაღალი პროფესიონალური ავტორიტეტი და საყოველთაო საზოგადოებრივი საქმიანობა ქვეყნისა და ხალხისათვის გაწეული დიდი ღვაწლის ჭეშმარიტი მაგალითია**

ბატონი ოთარის მიერ განვლილი ცხოვრების გზა მაგალითია ერისა და ქვეყნის წინაშე ერთგულებისა და უანგარო მსახურებისა. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე ხასიათდება საქმის ღრმა ცოდნით, სიახლეებისადმი მუდმივი სწრაფვით, ადამიანებისადმი გულთბილი დამოკიდებულებით, რამაც სავსებით დამსახურებული ავტორიტეტი და აღიარება მოუპოვა მას. ბატონი ოთარი ახალგაზრდობის წლებიდანვე აქტიურად ჩაება ქვეყნის აღმშენებლობაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში, მან, როგორც პროფესიონალმა, საზოგადო მოღვაწემ და ხელმძღვანელმა, მუხლჩაუხრელი შრომით ყველა განვლილ იერარქიულ საფეხურზე დიდი სიყვარული და პატივსცემა დაიმსახურა, როგორც ქვეყნის ხელმძღვანელებისგან, ასევე, რიგითი მოქალაქეებისაგან.

ბატონი ოთარი ფაცაცია დაიბადა 1929 წლის 15 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში. ბავშვობისა და ყრმობის წლები თავის „ოდაბადეში“ გაატარა და დღესაც იქ ცხოვრობს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ლენინგრადის ცელულოზისა და ქაღალდის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, რომელიც ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით წარჩინებით დაამთავრა 1955 წელს. იმავე წელს მუშაობას დაიწყო ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატში, სადაც ამ საწარმოს აქტივთან ერთ-ერთი შეხვედრისას გაიცნო ზუგდიდის რაიკომის იმჟამინდელმა პირველმა მდივანმა, ბატონმა **აკაკი ქვარცხავამ,** ახალგაზრდა კადრების შერჩევითა და დაწინაურებით ცნობილმა ხელმძღვანელმა და თავისთან გადაიყვანა სამუშაოდ ჯერ ინსტრუქტორად, ხოლო მოკლე ხანში — მეორე მდივნად. შემდეგ იყო პარტიის სამრეწველო-საწარმოო კომიტეტის პირველი მდივანი.

1965 წელს ბატონი ოთარი დაინიშნა ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის დირექტორად. სწორედ აქ გამოვლინდა მისი, როგორც ხელმძღვანელის, ორგანიზატორული ნიჭი. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ კომბინატის დირექტორად მისი დანიშვნისას საწარმოო დოტაციაზე იყო და ყოველწლიურად სახელმწიფოსაგან 7 მილიონ მანეთს იღებდა, კომბინატიდან მისი წასვლისას კი მოგებამ 22 მილიონი მანეთი შეადგინა.

როგორც ცნობილია ქაღალდის წარმოებისათვის საჭირო ნედლეული ხე-ტყეა, რომელიც მზადდებოდა სვანეთში, რის ბაზაზეც აშენდა კომბინატი, მაგრამ ეს იწვევდა სვანეთის ტყის გაჩანაგებას. ამაში ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში დარწმუნდა ბატონი ოთარი. დირექტორად დანიშვნის დღიდანვე ინტენსიურად დაიწყო ოპტიმალური გზების ძიება პრობლემის გადასაწყვეტად. როცა უკვე მომზადდა ეკონომიკური და ტექნიკური დასაბუთება იმისა, რომ შესაძლებელი იყო რუსეთიდან შემოსული ნედლეულით ჩანაცვლებულიყო ადგილობრივი ხე-ტყე, მიმართა საქართველოს მთავრობას, კერძოდ, **გიორგი ჩოგოვაძეს,** რომლის აქტიური მხაედაჭერით შეძლო თავისი წინადადების რეალიზაცია.

ქაღალდის მრეწველობაში ცელულოზა ერთ-ერთ მავნე ნივთიერებადაა აღიარებული, რომელიც გარემოს აბინძურებს და უარყოფითად მოქმედებს ეკოლოგიაზე. ბატონი ოთარის ძალისხმევით პირველად საქართველოში „ენგურქაღალდკომბინატში“ დაინერგა დაბინძურებული სადინარების მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური გაწმენდის მეთოდი, რითაც კომბინატისგან ჰაერის, მდინარე ენგურის და შავი ზღვის დაბინძურების პრობლემა მოიხსნა. სვანეთში ხე-ტყის ჭრის შეწყვეტით კი საშვილიშვილო საქმე გაკეთდა.

**საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირება მოითხოვდა სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას. სწორედ კომბინატის დირექტორად მისი მუშაობის პერიოდში აშენდა ორი საშუალო სკოლის, ორი საბავშვო ბაღის შენობები, ამოქმედდა სამედიცინო-სანიტარული და დიაგნოსტიკური ცენტრი, აშენდა კულტურის სასახლე (600 ადგილით), საცურაო სპორტული კომპლექსი, სასტუმრი „ეგრისი“, ექსპლუატაციაში შევიდა მრავალი საცხოვრებელი ბინა და 300 ადგილიანი საერთო საცხოვრებელი ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის**. ასევე ამოქმედდა ერგეტის აგრარული სექტორი: სასათბურე მეურნეობა, შეიქმნა მეცხოველეობის მექანიზირებული ფერმა, გაფართოვდა მაღაზიათა და საზოგადოებრივი კვების ქსელი. ღამის ცვლაში მუშებისათვის ყველა საამქროში გახსნილი იყო ბუფეტები, სადაც კვება იყო უფასო. აღსანიშნავია ისიც, რომ კომბინატში მუშაობდა სასადილო 300 ადგილზე შვედური მაგიდის პრინციპით. ანაკლიაში, შავი ზღვის სანაპიროზე მოქმედებდა კურორტი „თოლია“ 500 მოზარდზე და კურორტი „იუჟნი“ 300 დამსვენებელზე. დაიწყო ფეხბურთის სტადიონის მშენებლობა. აღნიშნული საწარმოს სახით საქართველოში შეიქმნა მეურნეობრიობის ისეთი ფორმა, რომელიც საწარმოოეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის თავისებურად ახალი მეთოდი იყო. ამიტომაც ამბობდნენ კიდეც, ბატონმა ოთარმა ქალაქში ქალაქი ააშენაო.

ბატონი ოთარ ფაცაცია „ენგურქაღალდკომბინატის“ ისტორიაში ბერმუხას სახელით შევიდა. დღესაც ფესვმაგარ ხეს ჰგავს, რომელიც ვერც წლებმა წააქცია და ვერც ქარიშხალმა. „ენგურქაღალდკომბინატის“ 4,5-ათასიანმა კოლექტივმა მისი ხელმძღვანელობის პერიოდში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობით მიდგომისა და მეურნის არაჩვეულებრივი ნიჭის წყალობით კომბინატი ერთ-ერთი მოწინავე გახდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქაღალდის მრეწველობაში. ბატონმა ოთარმა დიდი წვლილი შეიტანა არა მოლოდ ქართული ქაღალდის წარმოებისა და განვითარების, არამედ საინჟინრო კადრების, მექაღალდეთა თაობების აღზრდის საქმეშიც. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ განათლების მაშინდელ საკავშირო მინისტრ **ი. ელიუტინთან** შეთანხმებით ლენინგრადის ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლის მსურველი ახალგაზრდებისათვის მისაღები გამოცდები ტარდებოდა ადგილზე, კომბინატში, ლენინგრადიდან ჩამოსული საგამოცდო კომისიის მიერ. ინსტიტუტში ჩარიცხულ სტუდენტებს, რა თქმა უნდა საწარმო უხდიდა სტიპენდიას.

ბატონ ოთარს გააჩნია საწარმოო პროცესში მრავალათასიანი კოლექტივის ორგანიზების ფენომენალური უნარი, მაღალი შრომითი მაჩვენებლების მისაღწევად იგი შეუვალი იყო, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ. მაღალი მომთხოვნელობითა და პრინციპულობით თითქმის შეუძლებელს აღწევდა. მექაღალდეთა ათასობით ოჯახი მას უმადლოდა შრომისა და ყოფის სანიმუშო პირობების შექმნას, საცხოვრებელი კომპლექსის აშენებას, ჯანმრთელობის, განათლების, კულტურისა და სპორტის ობიექტების ამოქმედებას. ბატონი ოთარი მუდამ გრძნობდა დიდ პასუხისმგებლობას დაკისრებული მოვალეობისადმი. იყო მომთხოვნი, ამავე დროს შრომის დამფასებელი. მუშაობის პერიოდში ყოველთვის იქ იდგა, სადაც აუცილებელი იყო მისი ყოფნა, საქმის კურსში იყო დღე-ღამის განმავლობაში კომბინატის მაჯისცემისა.

ბატონი ოთარი თითქმის 30 წლის განმავლობაში მუშაობდა „ენგურქაღალდკომბინატის“ დირექტორად, სანამ ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე რთულ პერიოდში, 1992 წელს, ზუგდიდის რაიონის გამგებლად არ დაინიშნა. ეს იყო დრო, როცა საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება პიკს აღწევდა, ღვთის წყალობით, სიკვდილს რამდენიმეჯერ გადაურჩა და გადაარჩინა ამ კუთხის მოსახლეობაც. ასე გალია დაძაბული მუშაობის ორი წელი და 1994 წელს დანიშნეს საქართველოს პრემიერმინისტრად, მთავრობის წინაშე დადგა ქვეყნის სტაბილიზაციის, ეკონომიკის აღორძინების, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების ამოცანები. სწორედ ამიტომ ბატონი ოთარი მთელი ძალისხმევით მუშაობდა ენერგეტიკის, მოსახლეობის მარცვლეულითა და საწვავით მომარაგების პრობლემების გადასაწყვეტად.

**ბატონი ოთარი უაღრესად კეთილშობილი, მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე პიროვნებაა, რომლის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, მაღალი პროფესიონალური ავტორიტეტი და საყოველთაო საზოგადოებრივი საქმიანობა ქვეყნისა და ხალხისათვის გაწეული დიდი ღვაწლის ჭეშმარიტი მაგალითია.** აღსანიშნავია მისი უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულება საქმისადმი, პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა. ამ თვისებების გამო ის სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს უდიდესი ავტორიტეტით, მის მოსაზრებებსა და წინადადებებს ყურადღებით უსმენდნენ და ითვალისწინებდნენ საზოგადოებაში და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებში. **ადამიანებთან პირადი ურთიერთობა, თანადგომა, სიხარულისა და ჭირ-ვარამის გაზიარება ბატონ ოთარის ცხოვრების წესია. მისი მოღვაწეობის გზაზე იყო სირთულეები, პრობლემები, მაგრამ ყოველთვის დაუძლევია ისინი. ის არის პიროვნება, რომელსაც ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში შეუძლია საკუთარი ღირსების დაცვა და წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. საკუთარ დამსახურებაზე საუბარი არ უყვარს, სხვისგან მოსმენილი ეუხერხულება, იგი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ყოველგვარი ხმაურის, პომპეზურობისა და რეკლამირების გარეშე აკეთებენ საქვეყნო საქმეს.**

მისი დაუღალავი შრომისა და აღიარებული ავტორიტეტის დასტურია ის ჯილდოები და წოდებები, რომლებიც დამსახურებულად აქვს მიღებული: ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი, ღირსების ორდენი, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმინდა გიორგის ოქროს ორდენი, საბჭოთა კავშირის პერიოდში დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით. იყო სსრკ სახალხო დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის წევრი. ბოლო წლებში ბატონი ოთარი სათავეში ჩაუდგა საზოგადოება „ზუგდიდელს“ და ღირსეულად უძღვება ამ საპატიო საქმეს.

ასეთი გახლავთ ბატონი ოთარ ფაცაცია, მაგალითი სწორად ცხოვრებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მოღვაწეობისა. წლებსა და რთულ ცხოვრებას ოდნავაც არ შეუცვლია ის. იგი დარჩა ერთგულ, უღალატო და ყურადღებიან მეგობრად.

ღმერთმა ჯანმრთელად, სიკეთითა და სიყვარულით ატაროს ცხოვრების დარჩენილ დროში ქვეყნისა და ერის წინაშე ვალმოხდილი პიროვნება, რომლის წინაშე თავს ვხრით მადლიერებით აღვსილი მისი მეგობრები.

ჭეშმარიტ კოლხს, ღირსეულ მამას, ბაბუას, მაღალი ზნეობის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ოთარ ფაცაციას ვულოცავთ 90 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

**საზოგადოება „ზუგდიდელის“ სახელით:**

**ნოდარ ჭითანავა,
ბონდო ჯიქია,
თამაზ ცანავა,
იური გუგუჩია,
მურმან ნაჭყებია,
კარლო ვეკუა,
ვაჟა ფიფია,
ზურაბ გოგოხია**

**პირველ მეოთხეფინალური მატჩი, რომელიც მიმდინარე წლის 30 აპრილს ლონდონში, „ტოტენჰემის“ ახალ სტადიონ „ტოტენჰემ სტედიუმზე“ გაიმართა, ამსტერდამელთა ახალგაზრდული გუნდის გამარჯვებით დასრულდა. გოლი ვან დე ბეკმა გაიტანა, მეორე შეხვედრაში ლონდონელები 0:2-ს აგებდნენ, მაგრამ წარმოშობით ბრაზილიელმა ლუკას მოურამ ჯერ 2 ბურთი გაიტანა, შემდეგ კი — უკვე მატჩის ბოლო წამებზე მესამე ბურთიც შეაგდო „აიაქსის“ კარში და „ტოტენჰემ ჰოსტპურს“ დაუჯერებელი ქამბექი შეასრულებინა. 1 ივნისს მადრიდში ფინალურ მატჩს „ტოტენჰემ ჰოსტსპური“ და „ლივერპული“ ითამაშებენ.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 10 ყველაზე საოცარი ქამბექი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში

**ჩემპიონთა ლიგაში საოცარ ქამბექებზე (to come back — დაბრუნება. ტერმინი სპორტში, რომელიც აღნიშნავს მოულოდნელ გამარჯვებას, მოგებას გუნდისა (სპორტსმენის), რომელიც დიდი ანგარიშით აგებდა) საუბრისას აუცილებელია გავიხსენოთ, არა მხოლოდ გამაოგნებელი ორმატჩიანი ბრძოლები ფლეი-ოფში (თამაშების სერია გავარდნაზე, მაგალითად, მერვედფინალში, მეოთხედფინალში, ნახევარფინალში), არამედ ყველაზე შთამბეჭდავი ფინალები.**



### 1998/99. „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ბავარია“ – 2:1

1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი“ აგებდა მიუნხენის „ბავარიასთან“ ანგარიშით 0:1, მაგრამ მოიგო დამატებითი 30 წუთისა და პენალტების სერიის გარეშე. გერმანელები უკვე ემზადებოდნენ შამპანურის გასახსნელად და ჩემპიონობის საზეიმოდ, მაგრამ კომპენსირებულ დროში **ტედი შერინგემისა** და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ამჟამინდელი მწვრთნელის — **ულე-გუნარ სულშერის** (სოლსკიაერის) გოლებმა ჩემპიონთა ლიგის თასი მანჩესტერში გაგზავნა.

აღსანიშნავია, რომ მანჩესტერელთა მწვრთნელმა **ალექს ფერგიუსონმა** ორივე ფეხბურთელი შეცვლაზე გამოუშვა მოედანზე.

### 2003/2004. „მილანი“ – „დეპორტივო“ – 4:1, 04.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ლა-კორუნიის „დეპორტივომ“ შეძლო 4:0 მოეგო „მილანის“ (პირველ მატჩში იტალიელებმა გაიმარჯვეს — 4:1) **კაკა, ანდრეი შევჩენკო, ანდრეა პირლო** და კომპანია პირველ მატჩში ისე თამაშობდნენ, როგორც სურდათ. ლა კორუნიაში კი მასპინძლები პირველ ტაიმში 3 ბურთით დაწინაურდნენ. საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე კი „დეპორტივოს“ ფეხბურთელმა **ფრანმა** ბოლო ბურთი გაიტანა — 4:0. ამის გამო „დეპორტივოს“ ბედნიერმა მთავარმა მწვრთნელმა გალისიის დედაქალაქ სანტიაგო დე კომპოსტელას ცნობილ ტაძარში ლოცვა აღავლინა.

### 2004/2005. „ლივერპული“ – „მილანი“ – 3:3, პენალტებით 3:2

პირველი ფანტასტიკური მატჩი „ლივერპულის“ მონაწილეობით 2005 წელს. **რაფა ბენიტესის** გუნდი პირველი ტაიმის შემდეგ 3:0-ს აგებდა. ეს ანგარიში სასიკვდილო განაჩენს ჰგავდა „ლივერპულისთვის“, მაგრამ ინგლისელები არ დანებდნენ. მეორე ტაიმის 15 წუთში **სტივენ ჯერარდმა, ვლადიმირ შმიცერმა და ჩაბი ალონსომ** სამი ბურთი გაიტანეს და საქმე პენალტებამდე მივიდა. პენალტების სერიაში კი გადამწყვეტი აღმოჩნდა „მილანის“ თავდამსხმელის, **შევჩენკოს** მიერ აცილებული დარტყმა.

### 2012/2013. „მილანი“ – „ბარსელონა“ – 2:0, 0:4

„მილანი“ და „ბარსელონა“ ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში შეხვდნენ. პირველი მატჩი იტალიელთა სასარგებლოდ დასრულდა, **სალი მუნტარისა** და **კევინ-პრინს ბოატენგის** გოლების შემდეგ ფავორიტი იყო „მილანი“, რომელსაც ტერინის „იუვენტოსის“ ამჟამინდელი მწვრთნელი **მასიმილიანო ალეგრი** ხელმძღვანელობდა. „კამპ ნოუზე“ კი კატალონიელებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს. თავდაპირველად 2 ბურთი **ლიონელ მესიმ** გაიტანა, შემდეგ კი **დევიდ ვილიამ** და **ჟორდი ალბამ** საბოლოოდ გაანადგურეს მეტოქე — 4:0.

### 2016/2017. პსჟ – „ბარსელონა“ – 4:0, 1:6

ეს იყო ყველაზე დიდი საოცრება ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში. „ბარსელონამ“ 0:4 წაგებული მატჩის შემდეგ (**ანხელ დი მარიას** 2 გოლი, აგრეთვე, **იული?ნ დრაქსლერისა** და **ედისონ კავანის** გოლები) „ნოუ კამპზე“ 6 გოლი გაუტანა პარიზულ კლუბს და შემდეგ ეტაპზე გავიდა. კატალონიელებმა შესვენებამდე 2 ბურთი გაიტანეს, შემდეგ მესიმ და კავანიმ გოლები გაცვალეს მატჩის ბოლოს კი ნეიმარის 2 გოლითა და სერხი რობერტის 95-ე წუთზე გატანილი ბურთით „ბარსელონამ“ ფრანგული კლუბი გათამაშებას გამოთიშა.



### 2018/2019. „ბარსელონა“ – „რომა“ – 4:1, 0:3

ბოლო წლებში ქამბექების რაოდენობამ მოიმატა. გასულ სეზონში ერნესტო ვალვერდეს „ბარსელონა“ თითქმის ისევე სამარცხვინოდ გამოვარდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან, როგორც წელს „ლივერპულთან“. „კამპ ნოუზე“ კატალონიელების ორ გოლს (პიკე და სუარესი) რომაელებმა საკუთარ კარში გატანილი 2 ბურთი დაუმატეს — 4:1. რომში კი კატალონიელებს არაფერი გამოსდიოდათ — **ჯეკოს, დანიელე დე როსისა** და **კოსტას მანოლისის** გოლების წყალობით „რომამ“ მრისხანე მეტოქე გათამაშებას გამოთიშა.



### 2018/2019. „ატლეტიკო“ – „იუვენტუსი“ – 2:0, 0:3

ჩემპიონთა ლიგის ამჟამინდელი გათამაშება განსაკუთრებით მდიდარია განსაცვიფრებელი სცენარებით.

მადრიდში **ხოსე ხიმენესისა** და **დიეგო გოდინის** გოლების წყალობით „ატლეტიკომ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა, მაგრამ ტურინში **რონალდუს** ჰეთ-თრიკმა „იუვენტუსი“ გათამაშების შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.

### 2018/2019. „მანჩესტერ იუნაიტედი“ – პსჟ – 0:2, 3:1

მანჩესტერში, „ოლ ტრაფორდზე“, 0:2 დამარცხების შემდეგ ახლა უკვე მწვრთნელის რანგში მყოფი სულშერის შეგირდებს მეოთხედფინალში გასვლის შანსები ცოტა ჰქონდათ. პსჟ-დან ბურთები გაიტანეს **კემპემბემ** და **კილიან მბაპემ**, მაგრამ პარიზში მანჩესტერებმა ყველა მომენტი გამოიყენეს და 3 ბურთი გაიტანეს, ბოლო პენალტით — კომპენსირებულ დროში.

### 2018/2019. „ბარსელონა“ – „ლივერპული“ – 3:0, 0:4

„ბარსელონასა“ და „ლივერპულის“ ეს დაპირისპირება, ალბათ, ათეული წლების განმავლობაში ემახსოვრებათ, ისევე, როგორც ახსოვთ „ლივერპულის“ გამარჯვება „მილანთან“ შეხვედრაში 2004/2005 წლების სეზონში. ბარსელონაში მესის 2 და სუარესის ერთი გოლით კატალონიელებმა თითქმის მოკლეს ინტრიგა— ალბათ, მხოლოდ „ლივერპულის“ თავგადაკლულ გულშემატკივრებს თუ სჯეროდათ, რომ მათი საყვარელი გუნდი ბურთს არ გაუშვებდა და თვითონ 4-ს გაიტანდა. მოხდა ისე, როგორც ზღაპარში — **დივოკ ორიგიმ** და **ჯორჯინიო ვეინალდუმმა** 2-2 ბურთი გაიტანეს საშინლად მოთამაშე „ბარსელონას“ კარში.

### 2018/2019. „ტოტენჰემ ჰოტსპური“ – „აიაქსი“ – 0:1, 3:2

პირველ მეოთხეფინალური მატჩი, რომელიც მიმდინარე წლის 30 აპრილს ლონდონში, „ტოტენჰემის“ ახალ სტადიონ „ტოტენჰემ სტედიუმზე“ გაიმართა, ამსტერდამელთა ახალგაზრდული გუნდის გამარჯვებით დასრულდა, გოლი **ვან დე ბეკმა** გაიტანა, მეორე შეხვედრაში ლონდონელები 0:2-ს აგებდნენ, მაგრამ წარმოშობით ბრაზილიელმა **ლუკას მოურამ** ჯერ 2 ბურთი გაიტანა, შემდეგ კი — უკვე მატჩის ბოლო წამებზე მესამე ბურთიც შეაგდო „აიაქსის“ კარში და „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ დაუჯერებელი ქამბექი შეასრულებინა. 1 ივნისს მადრიდში ფინალურ მატჩს „ტოტენჰემ ჰოტსპური“ და „ლივერპული“ ითამაშებენ.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**





# რუსეთში სტალინის კიდევ ერთი ძეგლი გაიხსნა

**9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღის აღსანიშნავად რუსეთში, ნოვოსიბირსკში გენერალისიმუს იოსებ სტალინის ძეგლი გახსნეს.**

ასობით ნოვოსიბირსკელი დაესწრო ამ საზეიმო ცერემონიას, მომსვლელები ძეგლის მიმდებარე მოედანზე რომ ვერ დაეტივნენ, მეზობელ გორაკებზე განლაგდნენ.

— სტალინის სახელით უტევდნენ მტერს ჩვენი მეომრები. ეს ლიტერატურული შტამპი კი არ არის, ისტორიაა, რომელსაც უნდა ვიცნობდეთ და გვახსოვდეს, — აცხადებდნენ ზეიმის მონაწილენი.

— ძეგლის დადგმა ხალხის გადაწყვეტილება იყო. ხალხი მოითხოვს სიმართლესა და სამართლიანობას. ჩვენ გამარჯვებულთა მემკვიდრენი ვართ და უნდა გვახსოვდეს ამ გამარჯვების შემოქმედი **იოსებ სტალინი.** ჩვენი მიზანია დავიცვათ ისტორიის სიწმინდე, არავის გავაბინძურებინოთ ჭუჭყიანი ხელებით! — ამბობდნენ ვეტერანებიც და ახალი თაობის წარმომადგენლებიც და დასძენდნენ, რომ სწორედ სტალინს უნდა უმადლოდნენ ევროპის ხალხები ფაშისტური უღლისგან გათავისუფლებას, ზოგიერთი ერი კი — სრული განადგურებისგან.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა **ვერა განზიამ** სტალინის ძეგლის გახსნისადმი გამართულ მიტინგზე გამოსვლისას განაცხადა:



— დღეს ძეგლი დავუდგით გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, გამარჯვების სულისჩამდგმელ სარდალს იოსებ სტალინს. იგი ისტორიაში შევიდა, როგორც XX საუკუნის უდიდესი პოლიტიკოსი. ძეგლის გახსნა ეს ქვეყნის ახალი ისტორიაა.





მან თხოვნით მიმართა პოლიტიკოსებსა და ისტორიკოსებს არ გააბინძურონ ისტორია, რადგან იგი არავის აპატიებს მისდამი უდიერ დამოკიდებულებასა და ისტორიული გაკვეთილების უგულებელყოფას.

„ყოველთვის აკეთეთ სიკეთე!" — ასეთი იყო მიტინგის მონაწილეთა საერთო მოწოდება.

***მომზადდა უცხოურ მედიაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით***

# 1 მლნ დოლარად ღირებული წყალქვეშა სახლი

**იტალიელმა დიზაინერმა წყალქვეშა სახლის კონცეფცია შეიმუშავა. პროექტის სახელწოდებაა UFO2.0, რომელიც იშიფრება, როგორც ამოუცნობი მცურავი ობიექტი.**

წყალქვეშა სახლი ორი სართულისგან შედგება, ზედა სართულზე განთავსებულია სამუშაო ზონა და ჯაკუზი, წყლის ქვეშ კი — საძინებელი. ამასთანავე, ოთახს აქვს პანორამული ფანჯარა, რომელიც წყალქვეშა ბინადრების დათვალიერების შესაძლებლობას იძლევა. სახლში ასევე მოქმედებს წყალქვეშა ნავიგაციის სისტემა და მზის პანელები. მისი გადაადგილება კი ვერტმფრენითაა შესაძლებელი.

ალნიშულ კონცეფციაზე დიზაინერი რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა. წყალქვეშა სახლის დასრულება 2021 წლისთვის იგეგმება, ამისთვის მილიონი დოლარია საჭირო.





საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ჯეომედია" — ტელ: 593 209 526
„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# სერგეი ლავროვი — მაიკ პომპეოს: დროა, მოსკოვმა და ვაშინგტონმა დაივიწყონ უნდობლობის წლები



**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 14 მაისს სოჭში აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს უმასპინძლა. შეხვედრაზე ლავროვმა განაცხადა, რომ დროა, მოსკოვმა და ვაშინგტონმა დაივიწყონ უნდობლობის წლები და კონსტრუქციულად მუშაობის გზები გამონახონ.**

„ჩვენ ვხედავთ, რომ არის ეჭვებიც და ცუდი განწყობებიც. ეს ხელს უშლის თქვენსა და ჩვენს უსაფრთხოებას და იწვევს შეშფოთებას მსოფლიოში. ჩვენი აზრით, დროა, ახალი და უფრო კონსტრუქციული მატრიცის შექმნა ჩვენი ურთიერთობისთვის", — აღნიშნა **სერგეი ლავროვმა.**

თავის მხრივ, მაიკ პომპეომ აღნიშნა, რომ პრეზიდენტი ტრამპი ყველაფერს აკეთებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

„ჩვენი ქვეყნები, ბუნებრივია, იცავენ თავიანთ ინტერესებს, ჩვენი პოზიციები ზოგჯერ განსხვავებულია, მაგრამ არის უამრავი საკითხი, რომელთა მიმართაც ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ამ სფეროებზე დაყრდნობით მივაღწიოთ ორმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესებას ჩვენივე უსაფრთხოებისთვის", — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა. იმ სფეროებს კი, რომლებშიც რუსეთისა და აშშ-ის ინტერესები ემთხვევა, პომპეომ მიაკუთვნა ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, შეიარაღების შემცირება, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა და რეგიონული კონფლიქტების მოგვარება. „უნდა განვაგრძოთ ეს დიალოგი, ჩვენმა პრეზიდენტებმა მოგვიწოდეს, ძალისხმევა არ დავიშუროთ ჩვენი ურთიერთობისა და, საერთოდ, ურთიერთობის სტაბილიზაციისთვის მსოფლიოში", — დასძინა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

სიახლე!

ტიბეტური მედიცინით მკურნალობა



ლიცენზია N 035121

- პროსტატიტი, პოტენციის დაქვეითება, გაძნელებული შარდვა;
- ფიბრომა, მასტოპათია, მენსტრუალური ციკლის მოშლა, გართულებული კლიმაქსი, უშვილობა;
- თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, ინსულტი, მეხსიერებისა და შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, დეპრესია;
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, სახსრებისა და ძვლების ტკივილი, ართროზი, ოსტეოპოროზი, სკოლიოზი.

მკურნალობა მაღალეფექტური, ორგანიზმისთვის უვნებელი მეთოდებით. ქიმიური წამლებისა და ჰორმონალური პრეპარატების გარეშე.

☎ 599-54-18-30, 247-57-18

სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?

დაიწყეთ ახლავე!



574 47 39 04
0790 30 94 35

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894